



# მეშველთვანი

სამთავროს წმიდა ნინოს ღვთისმშობლის პარიოლული გამოსვლა.  
ქრისტიანი გამოსვა სამ თვეში ერთხელ. 2010 წლის 5 ივნისი.  
№1



მეშველთვანი  
ღვთისმშობლის  
დამწერის  
გვთხოვს  
უცნობი  
წილი მუცელისა

წილი მუცელისა



„როცა ვფიქრობთ იმაზე, თუ რა არის ქართული იდეა, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართველი ერის დანიშნულებაა – იქადაგოს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ხომ არსებობს წინასწარმეტყველება, რომ საქართველო, ქართველი ერი უკანასკნელ ჟამს გაბრწყინდება. ვიცით სახარებიდან, რომ უკანასკნელ ჟამს ყველგან დაეცემა რწმენა, ზნეობა, საქართველო კი ღვთის მადლითა და წყალობით გაბრწყინდება და ჯილდოდ ამისა, როგორც დიდი მამა და მოღვაწე ამბობს, მეორედ მოსვლის ჟამს მთელი ქვეყნიერება განიკითხება “ქართულითა ენითა”. ეს იქნება კიდევ ერთი მადლი, რომელსაც მოგვანიჭებს უფალი. მადლობას ვწირავთ უფალს მისი დიდი წყალობისათვის; მადლობას ვწირავთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას, რომელმაც ინება, რომ იყოს პატრონი საქართველოსი . . .

ჩვენთან არს ღმერთი! ქრისტე აღსდგა!


უწმიდესი და უნეტარესი  
ილია II  
12 მაისი. 2004 წელი

**შინაარსი**

“მაყვლოვანი” – მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის საგანე.....	4	სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II და სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი.....	22
სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II -ის ლოცვა.....	6	სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის ისტორია .....	27
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე) წმიდა ნინოს მაყვლოვანი.....	9	მოგონებები არქიმანდრიტ გაბრიელზე.....	30
სამთავროს დედათა მონასტრის იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი) მონასტერში უმთავრესია ლოცვა.....	11	წმიდა ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) ქართული ბერ-მონაზვნობის და მონასტრების ღვაწლი დედა ეკლესიის და საზოგადოების წინაშე.....	39
წმიდა მეფე მირიანი და წმიდა დედოფალი ნანა.....	12	წმიდა ექვთიმე აღმსარებელი სიტყვა კეთილმსმენელთათვის..	44
წმიდა აბიბოს ნეკრესელი .....	19	ქრონიკა.....	46

**სუთშაბათობით, 14 საათზე, სამთავროს ფერისცვალების ტაძარში, სამთავროს ივერიის სასწაულმოქმედ ხატთან, მონასტრის მოძღვარი არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე) აღასრულებს პარაკლისს მძიმე სნეულთათვის.**

# მაყვლოვანი – მხეთის სამთავროს წმიდა ნინოს ღაღათა მონასტრის სავანე



მოციქულთასწორი წმიდა ნინოს სასწაულმოქმედი ხატი, რომელშიც 21 წმიდანის ნაწილი ასვენია

ღვთისმშობლის საკუთარი მოწაფის, მოციქულთასწორ წმიდა ნინოს მიერ საქართველოს მეფე-დედოფლის, წმიდა მირიანისა და ნანა დედოფლის მოქცევის ადგილი, საიდანაც საქართველოს ფერისცვალების საიდუმლო აღსრულდა – არის “მაყვლოვანი”, ნიში – სადაც წმიდა ნინომ დაივანა, სადაც მოციქულთასწორმა, ქართველთგანმანათლებელმა, ღვთისმშობლის მიერ საღმრთო გამოცხადებით მირჩმული ჯვარი ვაზისა დაასვენა. სადაც დღემუდამ ღოცვებს ადავლენდა, მრავალ სულს კურნავდა და საიდანაც ქართველი ერი სულიერი პერობილებისაგან გამოიხსნა. სწორედ ამ ადგილას აღმართა IV საუკუნეში წმიდა მეფე მირიანმა სამთავროს ტაძარი და მასთან წმიდა ნინოს სამლოცველო – ხილული სახე “მაყვლოვანის” საიდუმლოსი.

მოციქულთასწორმა მეფე მირიანმა “მაყვლოვანის” სახელით ცნობილი საღმრთო




ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი. დაწერილია 1905 წ. ათონის წმიდა მთის ივერთა მონასტერში

გამოცხადება განიცადა და ღაღადპეო წმიდა ნინოს წინაშე: “მიყვარან მაყვალნი ესე შენნი და მუნ მნებავს გონებითა”. წმიდა მეფე მირიანმა და ნანა დედოფალმა აქ დაიდეს საუკუნო განსასვენებელი და მიუთითეს ქართველებს ადგილი, სადაც მას საკუთარი თავი უნდა ეცნო.

სამთავროს მონასტრის “მაყვლოვანის” საიდუმლოს ანალოგია ბიბლიური “მაყვალნი შეუწველი”, რომლისთვისაც უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ქადაგებაში “წმიდა ადგილის პატივისცემისათვის” გვაუწყებს:

“მე მინდა მოსე წინასწარმეტყველის ისტორია შეგახსენოთ, როცა მან თავისი მშობელი ერი ეგვიპტის მონობიდან გამოიყვანა, ებრაელებმა, სანამ პალესტინას მიაღწევდნენ, ორმოცი წელი უდაბნოში იხეტიალეს. სინას მთაზე მოსე წინასწარმეტყველმა ააღებული მაყვლის ბუჩქი იხილა, რომელიც არ იწვოდა.



წმიდა ნინოს სამლოცველო მაყვოვანში (IV) და მაყველის ცხიველი ბუჩქი

გაოცებულ მოსეს უფლის ბრძანება მოესმა: “ გაიხადე ფესხაცმელი, რადგან ადგილი, რომელზეც დგეხარ, წმიდაა”, რაც მან მაშინვე შეასრულა. მართლაც, ეს ადგილი, სადაც ძალი უფლისა მკვიდრობდა, რჩეული ადგილი იყო. როგორც წმიდა მამები განმარტავენ, „შეუწველი მაყვალი“ წინასახეა ყოვლადწმიდა ქალწული მარიამისა, რომლისგანაც კაცობრიობის მხსნელი და მაცხოვარი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე იშვა.


... ბედნიერება გვქონდა ფეხი დაგვედგა სინას უდაბნოს კურთხეულ მიწაზე და საკუთარი თვალთა გვეხილა ეს ბუჩქი. როგორც წმიდა ეკატერინეს მონასტრის ბერებმა გვიამბეს, მათ სცადეს, რომ მაყველის ნერგები სხვა ადგილებშიც გადაეტანათ, მაგრამ ამაოდ, ვერსად ვერ ახარეს. სინას უდაბნოში ესაა ერთადერთი ადგილი, სადაც მაყვალი ხარობს. წმიდა ადგილისა და მაყველის ბუჩქის სანახავად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან უწყვეტ ნაკადად მოედინებიან ადამიანები, რომელთაც სურთ, თან წაიღონ თუნდაც ერთი პატარა ფოთოლი ამ მაყველისა. ამიტომ ბერები იძულებულნი გახდნენ მის გარშემო უზარმაზარი კედელი აეშენებინათ.”

მცხეთაში, ქალაქის გაღავანს მიღმა, მაყვლოვანში, ვითარცა ღვთისმშობლის საფარველში, დაივანა მოციქულთა სწორმა ნინომ და ცისა და ქვეყნის დედოფლის წინამძღოლობით და მისგან ბოძებული ვაზის ჯვარის ძლიერებით, სულიერი ტყვეობისაგან გამოიხსნა მისი

წილხვდომილი ივერია; წმიდა მირიანმა კი ამ დიდი საიდუმლოს თაყვანისცემისათვის ააგო მაყვლოვანში სამთავროს ტაძარი და მცირე ეკლესია წმიდა ნინოს სახელზე და ადიდა დედა ქართველთა, წმიდა ნინო და დედა ღვთისა და ყოველთა ჭეშმარიტებით მადიდებელთა, ღვთისმშობელი ქალწული მარიამი.

მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული მრავალჯერ დაარბიეს ქართული სალოცავები და მათ შორის სამთავროსა და წმიდა ნინოს სალოცავიც; მრავალჯერ სცადეს “მაყვლოვანის” ნიშის – მაყველის ბუჩქის ამოძირკვაც, მაგრამ მისი ხელყოფა ვერ შესძლეს. გადმოცემის მიხედვით, კომუნისტური რეჟიმის მიერ ქრისტიანთა დევნულების შუამს, წმიდა ნინოს სალოცავთან მაყველის ბუჩქი რამოდენიმეჯერ სრულად ამოძირკვეს და შიგ მუავაც ჩაასხეს, მაგრამ მაყველის ბუჩქი მაინც ვერ მოსპეს, იგი განსაცვიფრებლად აღმოცენდებოდა ხოლმე, ხარობდა და დღემდე ახარებს და კურნავს უხილადად, წმიდა ნინოს ღოცვით, სრულიად საქართველოს.

საგულისხმოა, რომ მონასტერში ინახება უწმიდესის მიერ შემოწირული სინას მთიდან ჩამოტანილი მონასტრის ფოტო, რომელიც “მაყვალი შეუწველის” სამი ფოთლით არის გამშვენებული. მისმა უწმიდესობამ იგი იღუ-



წმიდა ენატერინეს მონასტრის „მაყვალი შეუწველი“, სადაც მოსეს უფალი გამოეცხადა

მენია ქეთევანს გადასცა კურთხევით: “ერთი ფოთოლიც არ ჩამოუვარდესო”. ეს ფოტო დღემდე ინახება იღუმენიას სალოცავ კუთხეში. (იხ. გვ.7) აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტრის “მაყვალი შეუწველის” ფოტო მცხეთის დედათა მონასტერს შემოსწირა ალავერდელმა მიტროპოლიტმა აბბა დავითმა (სამხარაძე). (ფოტო იხ. გვ.7).

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უნივერსისა და უნებარესის ილია II -ის ლოცვა

(ლოცვა აღევლინა სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტერში,  
სადაც უშალმა მოსე წინასწარმეტყველს 10 მცნება უბოძა)



**მამაო ჩვენო, - დიდება შენდა!  
ძეო ღმრთისაო, - დიდება შენდა!  
სულო წმიდაო, - დიდება შენდა!  
ყოვლადწმიდა სამებაო, ერთარსებაო,  
შემოქმედო და განმგებელო ორსავე  
სამყაროსაო, - დიდება შენდა!**

ვითარ ვთქვა ქება მე უღირსმან და გლახაკმან შემკობად შენდა; გონება ჩემი და გული ჩემი ვერ შემძლებელ არს გამოთქმად დიდებისა შენისა. გარნა გვედრი, მითუაღე იგი, ვითარცა უმეცარი სიტყუა ყრმისა მშობლისა მიმართ. ბავითა ჩემითა მით ცოდვითა, ღმერთო ჩემო, შენ შეგლადადებს ერი ჩემი, შენს მიერ შეყვარებული.

უფალო ჩემო, შენ გიგალობენ სერაფიმნი და ქერუბიმნი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი, ურიცხვნი ძალნი ზეციური. მე რა

ვთქვა, როგორ შეგასხა ქება? ან რა საქმენი გიჩვენო; ოდეს დვაწლითა თვისითა განბრწყინდნენ წინასწარმეტყველნი, მოციქულნი, მოწამენი, მღვდელმთავარნი, ღირსნი მამანი და ყოველნი სხვანი წმიდანნი შენნი?

ვითარ სახელ გსდვა? არა უწყი. დამიდუმა ენა ჩემი წინაშე დიდებისა შენისა. ვიცი ოდენ, რომ ჩვენთანა ხარ და არა განგვეშორები, რომ ხარ დაუსაბამო და უსასრულო სიყვარული, რომ თბილა შენთან და გარეშე შენსა არა არს ცხოვრება ჩვენი.

წმიდაო, წმიდაო, წმიდაო, უფალო საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანაი დიდებითა შენითა! დიდებაი შენი, ვითარცა სიყვარული შენი, დაუტყვევლი შენში, ეფინება ყოველსა ქმნულსა შენსა. და ჩვენც მდაბალნი, ზიარებულნი მადლსა შენსა დიდებისასა, ვმადლდებით უფალო, ვიწმიდებით, მამაო ჩვენო.

მსგავსად წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა, მე, ცოდვილი მონა შენი, ილია II, ყოველთა ქართველთა სახელით ვხმობ: „დიდება და მადლობა შენდა ყოვლისათვის“, გადიდებ შენ, რომელი ყოველგან ხარ, რომელი ხარ ჩვენთან და რომლისა წიადშიც ვართ ჩვენ, გადიდებ შენ, რომელმან სავანედ თვისსა აღირჩიე გული ჩვენი და მუნიტგან გვსწავლი და გვწვრთნი, ვითარცა ასწავებდი მოსეს და ელიას ქორების წმიდასა მთასა ზედა.

გადიდებ შენ და გმადლობ შენ, მოწყალეო, რამეთუ გვქმენ მსგავსად შენდა, რამეთუ მოგვანიტე ენა ქართული და რწმენა ჭეშმარიტი, სიყვარული ღმრთისა და სიყვარული მოყვასისა, მოგვფინენ ნათელი გონებისა და ჭეშმარიტებაი მეცნიერებისა!

გარნა რაი არს ჭეშმარიტი? ადამის მოდგმა დასაბამიდან ეძიებდა მას. ერნი მრავალნი, ჩვენზე ძლიერნი, მოსწყდნენ და აღიხოცნენ პირისაგან მიწისა მის ძიებაში. ჩვენზე მოიღე მოწყალეობა სახიერო და გამოგვიცხადე თავი შენი, და ოდეს კაცობრიობას მოუვლინე ძე შენი საყვარელი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე,

შენი კურთხევით, შენი წყალობით ერმა ჩემმა ისმინა მისი, შეისისხლხორცა მცნებანი მისნი შენგნით ბოძებულნი, სიყვარულით იტვირთა უღელი მისი ტკბილი და ტვირთი მისი სუბუქი. ამისთვის გმადლობთ შენ, რამეთუ მოძღვრავდი და მოძღვრავ ხალხსა ჩემსა, ატარებ რა მას გზითა მით შენითა იწროითა, ვითარცა ატარებდი ერსა ისრაელისასა უდაბნოთა შინა.

გმადლობ მამაო უფალო, რამეთუ გვრწამს და აღვიარებთ, სულსა წმიდასა შენგნით გამომავალსა, სულსა, რომელი ყოველგან არს და ყოველსავე ადავსებს მადლითა შენითა; რომელი არს უძღურთა მკურნალი, დაცემულთა საყრდენი, ნაკლულევანთა სრულმყოფელი. გმადლობ შენ, წმიდაო სამებაო, აღმავსებელი ჩვენო ძალითა შენითაო.

და კვლავ გმადლობ შენ, დმერთო ჩემო, იმ მრავალთა წყალობისათვის, რომელი გარდამოავლინე, თავსა ზედა ჩემსა, რომე დამადგინე მოძღვრად ერისა შენისა ივერიისა. ხოლო დღეს მონა შენი ცოდვილი ღირს მყავ ხილვად წმიდისა მთისა ამისა და თაყვანისცემად ღიდისა სიწმიდისა მისისა.


„ითხოვდით და მოგეცეთ თქვენ, ეძიებდით და ჰპოვოთ, ირეკდით და განგელოს თქვენ“, - ბრძანებს მაცხოვარი და იტყვის ესე: „რასაცა ითხოვდით მამისაგან სახელითა ჩემითა,



„მაცვალი შეუწველის“ ფოტო, რომელიც სამთავროს ფერისცვალების მონასტერს შემოსწირა ალავერდელმა მიტროპოლიტმა აბბა დავითმა (სამხარაძე)

გეყოს თქვენ“. მამაო სახიერო, გვედრები სახელითა ძისა შენისათა, ნუ განეშორები ერსა ჩვენსა, შეცოდებათა გამო ჩვენთა; მოგვიძიენ ვითარცა მამაი მოიძიებს ძესა თვისსა წარწყმედულსა; შეგვინდევ ურწმუნოებაი, გულფიცხოებაი, ამპარტავენებაი, შური და ვერცხლისმოყვარებაი, გეაჯებით, აღხო-

ცენ ცოდვანი ჩვენნი და განკურნენ სულნი ჩვენნი ვნებულნი. მოგვმადლე, სარწმუნოებაი ჭეშმარიტი, ძალი წყლისა და ძლიერებაი ცეცხლისა, აღგვავესე მადლითა ყოვლადწმიდისა სამებისა, სარწმუნოებასა და სიყვარულსა შინა შენსა, სულიერად განამტკიცე მთავრობა ჩვენი, გვაკურთხე მშვიდობითა, უფალო, მოგვიწიე სული სიწმიდისაი, თავ-



„მაცვალი შეუწველის“ სამი ფოტოლი წმიდა ეკატერინეს მონასტერიდან, რომელიც სინას მთიდან ჩამოიტანა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ და საჩუქრად გადასცა ილუმენია ქეთევანს, კურთხევით: „ერთი ფოტოლიც არ ჩამოვარდესო“

მდაბლობისაი და მოთმინებისაი.

განამრავლენ შვილნი და შვილთა შვილნი ჩვენნი, გული წმიდაი დაბადე მათ შორის, სული წრფელი განუახლე გვამსა მათ შინა.

აკურთხე გვირგვინი ქორწინებულთა და სიყვარულითა განამტკიცე კავშირი მათი, ცოდვანი სიჭაბუკისა და უმეცრებისანი შეუნდევ და ნათელ ჰყავ მომავალი მათი.

სრულასაკოვანთა მიჰმადლე გული ბრძენი და მოწყალე, გონება საღი, რათა გიცნან შენ და აღასრულონ ნებაი შენი.

მსცოვანთა წელინი აკურთხენ სიმშვიდითა. განამრავლენ მოდგმა მათი, ცხოვრება მათი სათნო ჰყავ, რათა უშფოთველად შეერთონ საუკუნეთა.

გვედრები უფალო, განუნათლე გონება მეცნიერთა, მწერალთა და ხელოვანთა ჩვენთა. დალოცე საქმე მათი, რათა იქმნას ნაღვაწი მათი საკეთილოდ ქვეყნისა, რათა შრომითა თვისითა გემსახურონ შენ, ემსახურონ ერსა შენსა ივერიისასა.

დალოცე ჩვენი მშრომელი ხალხი, ყოველი



სინას მთა, წმიდა ეკატერინეს მონასტერი

მაშვრალი და ტვირთმძიძე. ჩვენთა დიდთა წინაპართა რწმენა, სიყვარული და სიწმინდე მიანიჭე მათ.

ღმერთო, განამტკიცე და განაძლიერე ჩვენი წმიდა სამოციქულო ეკლესია და მღვდელმსახურნი მისნი, ყვენ ივინი ნათელ ერისა, ალაღვინე ტაძარი და მონასტერნი ჩვენნი და შეგვეკრიბე საფარველსა ქუეშე შენსა.

გარნა რა გთხოვო, უფალო, მათთვის, რომელნი უარგყოფენ შენ, რომელნი ვლენან გზასა ცთომილთასა? გეაჯები, შეიწყალენ ივინი, მოაქციე და მრევლსა შენსა შეუერთე: „რათა იყოს ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“.

მერმეცა გევედრები ღმერთო, რათა მოიხსენო სასუფეველსა შენსა სულნი ქართველთა მოღვაწეთა სინას მთისათა, გევედრები, რათა მოიხსენო მეფენი და დედოფალნი ჩვენნი, მამამთავარნი, კათოლიკოს-პატრიარქნი, სამღვდელო და სამონაზვნო წესით აღსრულებულნი, პატიოსანი შრომით დაღლილნი, აღმშენებელნი ტაძართა და მონასტერთა, ბრძოლის ველზე მოწყვეტილნი და ყოველნი შვილნი შენნი ქართველნი. დალოცე სავანენი ზეციურისა საქართველოსა, შეუნდე შეცოდებულთა და იხსენ ტანჯვისაგან, მოჰფინე მათ ნათელი შენი და სიყვარული შენი.

მუხლმოდრეკილი აღვაკლენ ლოცვებს,

უფალო, მშვიდობისათვის სოფლისა, რათა სუფევდეს ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება: მამაო წმიდაო, გეაჯები, შეისმინე ლოცვისა ჩემისაი და დაგვიფარე ჩვენ!

დასაბამო და მიზეზო ყოველისაო, არსთა-გამრიგეო, სავსე დიდითა წყალობითა შენითა კვალად ვხმობ: დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა! დიდება შენდა, შემოქმედო ჩვენო, მწყალობელო ჩვენო, დიდება შენდა! დიდება შენდა, ღმერთო ერისა ჩვენისაო, რომელმან დაწერე სახელნი ჩვენნი წიგნსა მას ცხოვრებისა კრავისასა!

„მე ვარ ანი და ჰოე, იტყვის უფალი ღმერთი, რომელი არს და, რომელი იყო და, რომელი მომავალ არს, ყოველისა მპყრობელი“ (გამოცხადება 1,8) მოვედ ჩვენთანა უფალო, და გვაცხოვნენ ჩვენ ღმერთო ჩვენო, ამინ!



## წმიდა ნინოს მაცხოვრებელი



სამთავროს მონასტრის მოძღვარი  
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის მცირე ეკლესია მაცხოვრებელში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საფუძველთა საფუძველია. აქ, ამ წმიდა ადგილიდან მოუფინა სრულიად საქართველოს ქრისტიანობა. ამიტომ გვმართებს განსაკუთრებული პატივით მოვეპყრათ ამ ადგილს, ამ მონასტერს, ამ ტაძარს, ჩვენს წინ აღმართულს. ესაა ჩვენი დედა ეკლესიის კერა, ჩვენი ერთობის, ჩვენი ქრისტიანული სიყვარულის, საქართველოს ერთიანობის სიმბოლო, ვითარცა კვართი უფლისა.

ახლახან ჩვენ განვაახლეთ და აღვადგინეთ წმიდა ნინოს სამლოცველოს საკურთხეველი, რაც უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიიჩნევა.

წმიდა ნინოს შემოსვლამ ქართულ მიწაზე ძირეულად შეცვალა ქართლის ცხოვრება. თუ მოციქულების: ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელის და მატათას მიერ

სახარების ქადაგებამ ქრისტიანობის საფუძველი დანერგა ქართულ ცნობიერებაში. წმიდა ნინომ, თავის მოციქულებრივი ღვაწლით, ხელი შეუწყო ჯერ ქართლის, შემდეგ მთელი საქართველოს ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევას, საქართველოში წარმართული ცნობიერების რღვევას და ქვეყნად ახალი, ქრისტიანული აზროვნების ჩამოყალიბებას.

წმიდა ნინოს მოციქულებრივი ღვაწლით, ქართული სახელმწიფო სრულად გაემიჯნა წარმართულ სამყაროს, მთლიანად დაუკავშირდა წმიდათა კონსტანტინე დიდისა და ელენე დედოფლის მიერ წმიდა მიწაზე, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპის კონტინენტზე აღორძინებულ ქრისტიანულ სულისკვეთებას.

წმიდა ნინოს მიერ ქრისტიანობაზე მოქცეულმა წმიდანებმა: მეფე მირიანმა და დედოფალმა ნანამ, – ისევე როგორც წმიდა კონსტანტინე დიდმა და დედოფალმა ელენემ, რომის იმპერიაში – საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადეს (324წ.); რამაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ქრისტიანული კულტურის ჩამოყალიბებას და მის შემდგომ აყვავებას.

წმიდა ნინოს სახელს უკავშირდება საქართველოში სულიერი და ინტელექტუალური აღმავლობა. ქრისტიანობამ განავითარა მწიგნობრობა. ქართლის მოქცევისთანავე დაიწყო წმიდა წერილის ძველი და ახალი აღთქმის და სხვა საღვთისმსახურო წიგნების თარგმნა; ქრისტიანობამ ხელი შეუწყო ქართველი ერის გაერთიანებას და მისი განვითარების მიმართულება ბიზანტიისაკენ და ზოგადად, ევროპისაკენ გადაიხარა, რაც ბრძნული ნაბიჯი იყო.

წმიდა ნინოს შემდგომ, ჩვიდმეტი საუკუნის განმავლობაში, მის მიერ ქრისტიანობაზე მოქცეულმა ქართველმა ხალხმა მრავალგზის განიცადა დაცემა და აღმასვლა; მაგრამ მისი მოციქულებრივი ღვაწლის შედეგად დაფუძნებულმა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დღემდე განუხრევლად განვლო მძიმე გზა, ისე, რომ არც მარჯვნივ და არც მარცხნივ მას არ გადაუხვევია სამეფო გზიდან. საქართველოს მართლმადიდებელმა



ლოცვა წმიდა ნინოს სამლოცველოში განახლებული საკურთხეველისათვის

ეკლესიამ და მრევლმა სიმტკიცე გამოიჩინა ისეთი ძნელბედობის ჟამს, როგორც იყო რუსი ეგზარქოსების და საბჭოთა ათეისტთა მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ხელყოფა, ჩვენი ეკლესიის ლეგიტიმურობის საკითხიც კი. მაგრამ საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ, ქრისტეს მოძღვრებისა და მისი საქართველოში მქადაგებლის, წმიდა ნინოს მადლით, დირსეულად განვლო ყველა განსაცდელი. . .

დღეს, წმიდა ნინოს დედათა მონასტერში, სადაც ყოველივე დაკავშირებულია ქრისტეს მართლადმსარებელი დიდი ქართველების სახელებთან, მონასტრის მონაზვნები მზრუნველად უვლიან მათ ნაკვალევს; ცდილობენ პირვანდელი სახე და სულისკეთება შეუნარჩუნონ მონასტრის ცხოვრებასა და მის იერსახეს – მაყვლოვანს, წმინდა ნინოს სამლოცველოს, რომელიც მის მხილველს განაცდევინებს იმ სულიერ რეალობას, რომელიც აქ სუფევდა წმიდა ნინოს მიწიერ ცხოვრებაში. ამ განცდას კიდევ უფრო აძლიერებს აქ განსვენებულ პირველ ქრისტიან გვირგვინოსანთა, წმიდა მეფე მირიანისა და წმიდა ნანა დედოფლის საფლავები, რომლის აღდგენა-რესტავრაციაც ამჟამად მიმდინარეობს. ქრისტიანულ სარწმუნოებასთან წმიდა ნინოს ძალისხმევით ნაზიარები ყველა ჭეშარიტი მართლმადიდებელი იდუმალად ყოველთვის გრძნობს წმიდა ნინოს მადლს, წირვა-ლოცვის ჟამს. ეს მადლი არ მოგაკლოთ ღმერთმა თქვენ და სრულიად საქართველოს.

გეწოდეთ წმიდა ნინო, წმიდა მეფე მირიანი და დედოფალი ნანა. ამინ!

წმიდა ნინოს სამლოცველოს განახლებული საკურთხეველი



წმიდა ნინოს სამლოცველოს განახლებული საკურთხეველი

# მონასტერში უმთავრესია ღოცვა

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი ზოგადცხოვრებულთა ტიპისაა. იგი ქრისტესმიერი სულიერი ერთობით, ერთიანი მმართველობით და სამეურნეო-ყოფითი ურთიერთობებით შეკავშირებულ დათა კრებულია, რომელიც აღიარებს, სწამს და იცავს ქრისტეს წმიდა სამოციქულო ეკლესიის მართლმადიდებლურ მრწამსს, მის წმიდა გარდამოცემას, წმიდა მამათა სწავლებებს, შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებებს, აღასრულებს სახარებისეული მცნებებიდან გამომდინარე სამონასტრო ცხოვრების წესს. მონასტერი მცხეთა-თბილისის ეპარქიას ეკუთვნის და ექვემდებარება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს, და მას განაგებს მისი უწმიდესობის მიერ დადგენილი წინამძღვარი და სულიერი მოძღვარი. ისინი ურთიერთ თანხმობით ხელმძღვანელობენ და ზრუნავენ დების სულიერ სრულყოფაზე, შეეწევიან მათ სახარებისეული მცნებების აღსრულებასა და სულიერი სათნოებების მოხვეჭაში.



სამთავროს დედათა მონასტრის მიმართ, ეგზარქოსობის ხანაშიც კი, ცალკეული პირველიერარქი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ, ქართველი პირველიერარქები ყოველმხრივ ცდილობდნენ მონასტრის გაძლიერებას. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის ილია II-ის ღვაწლი განსაკუთრებით არის დაკავშირებული წმიდა ნინოს მონასტერთან, რომლის შეწვევითაც მონასტერი ცდილობს თავის პირველსახეს დაუბრუნდეს.

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში მოღვაწეობდნენ სულიერი წინამძღვრები, ისეთი ღირსი მამანი, როგორებიც იყვნენ წმიდა ექვთიმე აღმსარებელი (კერესელიძე), მღვდელი სამსონი (ლეჟავა); მღვდელი გრიგოლი (ნადარეიშვილი); არქიმანდრიტი კონსტანტინე (ქვარაია), არქიმანდრიტი გაბრიელი (ურგებაძე) და სხვანი.

მონასტერი არის ერთი ორგანიზმი და ერთიანი სულისკვეთებით ცხოვრება, სადაც ყოველი წევრი ვალდებულია, დაიცვას მონასტრის წესდება (ტიპიკონი). მონასტრის ცხოვრება ღოცვი-

თა და შრომით წარმართება. მისი უმთავრესი ღვაწლი არის ღოცვა. როგორც უწმიდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს: “მონასტერში ყველაზე დიდი საქმე არის ღოცვა”.

მონაზვნად აღკვეცისას სამონაზვნე უპოვარების, ქალწულების, მორჩილების და სხვა სახის აღთქმას დებს. წმიდა მამები მორჩილებას ღოცვასა და მარხვაზე მაღლა აყენებენ, რამეთუ მორჩილებს სული წმიდის მაღლი ეძლევათ, ხოლო “ამპრტავანთა ღმერთი შემუსრავს”.

ამჟამად მონასტერში ორმოცზე მეტი მონაზონია; მათ შორის არიან უხუცესები და უძღურები. ყოველი მათგანი ღვთის წინაშე თავის მსახურებას ძალისაებრ აღასრულებს. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, საქართველოს ძნელბედობის ჟამი დაუდგა, მაგრამ ყოველადწმიდა ღვთისმშობლის მფარველობით და წმიდა ნინოს მეოხებით, მონასტერი ძლიერდება.

მისი უწმიდესობის ღოცვა-კურთხევით, წმიდა ნინოს საგანეში მონასტრის ტიპიკონისა და შეიდგზის ღოცვების გარდა, მოქმედებს უწმიდესის სამი კანონი: 1. არ განიკითხო; 2. რაჟამს მოყვასი ბრალს გდებდეს, თავს ნუ იმართლებ, სთხოვე შენდობა, განშორდი; 3. ყოველ ადამიანში დაინახე მხოლოდ სიკეთე, მიმართე მას კეთილი სიტყვით, თუ ეს არ

ძალგობს – ნურაფერს ეტყვი“. მონასტერი ძველი ქართული სამონასტრო ტრადიციების გამგრძელებელია.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი დრო გავიდა, თითქმის 30 წელი, მის უწმიდესობასთან სულიერ კავშირს და სითბოს დღემუდამ ვგრძნობ. მონასტერში ნათქვამი პატრიარქის სიტყვები: “მე ყოველთვის თქვენთანა ვარ, თქვენ ვერ მხედავთ“ – სიყვარულითა და სასოებით მიმიძღვის მაცხოვრის ეკლიან გზაზე. ვმადლობ უფალს და ეკლესიისა და ერის სულიერ მამას, მის უწმიდესობას, იმ დიდი წყალობისათვის, რომ ღირსმყოფე ცოდვილი ვზიარებოდი ბერ-მონაზვნურ ცხოვრებას. მისი უწმიდესობის მაღლიანი სიტყვა და ღოცვა შეეწიოს ჩვენს მონასტერს, და განაძლიეროს სრულიად საქართველო. ამინ.

# მოსიქულთასწორნი ნიღა მჟუა მირიანი ღა ნიღა ნანა დედოფალი

სხანება — 5 ივნისი (23 მაისი) — 1 ოქტომბერი (14 სექტემბერი)

საქართველოს ეკლესიის მნათობნი, წმიდა მოციქულთასწორნი, მეფე მირიანი და დედოფალი ნანა, საქართველოს ქრისტიანული სახელმწიფოს დამამყარებელნი არიან (IV ს.). მირიანი საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფეა და იგი თვით წმინდა ნინოს მიერ არის დამტკიცებული და კურთხეული სამეფო ტახტზე, მღვდელმსახურთა მეოხებით. წმინდა ნინო თავის ნათლულს, სამოციქულო მეფე მირიანს, ჯვრის აღმართვისას ამგვარად ახარებს: “აწ უწყებულ იყავნ, ვითარმედ მოგხედნა შენ ღმერთმან და პატივგცა უფროის ყოველთა მეფეთა ქვეყანისათა. გიხაროდენ და მხიარულ იყავ...” ხოლო კვლავაც ეტყვის: “...შენდა ჯერ არს სიხარული, მეფე, და დიდების მიცემი ყოველთა შემოქმედისა ღმრთისა, რამეთუ დღეთა შენთა მოხედნა ღმერთმან ქვეყანასა ამას ნაპრალსა ერთსა ჩრდილოისასა...”

წმინდა მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის ღვაწლი მართლმადიდებელი ეკლესიის და, კერძოდ, საქართველოს ეკლესიის ისტორიაში განუზომელია. “ღმერთმა მისით დიდი მნათობნი და საღმრთო დიდების მსურვალე მღალადებელნი მოაგვინა... მან უწინარეს და შემდგომთა ყოველთა განადიდა უფალი...ამავე დროს, იგი ერის ღვთისმოსაობის მოძღვარია (Натроев А. „Мцхет и его собор Свети-цховели“).

საეკლესიო და საერო ისტორია, ქართული თუ ბიზანტიური წყაროები ერთბაშად აღიარებენ წმინდა მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის ღვაწლს; რამეთუ მათ წარუმართეს წმინდა ნინოს და სამეფო ნებითა და ძალმოსილებით საქართველოში წარმართული ცდომილება აღმოფხვრეს და სახელმწიფო აღმსარებლობად დაამტკიცეს და განავრცეს ქრისტიანობა. მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის ღვაწლი ეკლესიამ განადიდა და ისინი მოციქულთასწორად შერაცხა; როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროები (ბიზანტიური, სომხური, ლათინური) მოწმობენ, რომ “მირიანი თავისი ხალხის მოციქული გახდა” (სოკრატე სქოლასტიკოსი); მირიანის თანამედროვე ისტორიკოსმა, რუფინუსმა, მას “თავისი ერის მოციქული უწოდა”; მსგავსადვე მოწმობს სოკრატე სქოლასტიკოსიც, რომ “მირიანი თავისი ხალხის მოციქული შეიქნა” (“წმინდა ნინო”, სამეცნიერო კრებული I თბ. 2008).

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, ერის სულიერ შობას, “ბნელისაგან ნათლად შეცვლას”, “ჯოჯოხეთის ქვესკნელით” აღმოყვანებას მოასწავებს; და ამ ღვაწლს, საეკლესიო სწავლებით, ოდენ ღვთივრჩეული, ხელდასხმული ადამიანები აღასრულებენ; ადმიანები, რომელთა სულშიც ერის წყვდიადში ყოფნის მახვილს ისე მტკივნეულად უნდა გაეგლო, როგორც წმიდა ნინოს სულში განვლო ტკივილმა და შეძრა იგი, როდესაც არმაზით, გაცით თუ გაიმით სახელდებული, წარმართული ფასეულობებისაგან აღტკინებული ერი იხილა. ასეთ ადამიანად გამოარჩია ღმერთმა მეფე მირიანი, რომლისთვისაც ნიკოლოზ გულაბერიძე იტყვის: “სავლე იქმნა პავლე”, ხოლო კათოლიკოს-პატრიარქი წმიდა კირიონ

II კიდევ უფრო აზუსტებს: “წმიდა მირიანი სავლეა, რომელიც იქმნა პავლე. მასაც დაუბნელდა დიდი შუქით. მსგავსადვე დაუბნელდა და გამოუბრწყინდა ნათელი მირიანს. მან განიცადა საკუთარი სიბნელე, ხოლო შემდეგ ღვთიური ნათლის მხილველი გახდა - ღვთიებრწყინვალე სვეტი იხილა” (“Пастир“, 1988)

საისტორიო წყაროებით, მეფე მირიან ხოსროიანი ზედმიწევნით მცოდნე და აღმასრულებელი იყო როგორც ქართული წარმართული პანთეონის, ასევე ირანული ორიენტაციის სპარსული საკულტო მსახურებისა. საქართველო ამ პერიოდისათვის თავის საკულტო კერპების მსახურებასთან ერთად ზარტუშტრას სწავლების მიმდევარიც არის. მემბტიანეთა გადმოცემით, მეფე მირიანი “აღიზარდა მსახურებასა შინა შვიდთა მათ კერპთასა და ცეცხლისასა”. “მოქცევაი ქართლისაი” მეფე მირიანს ქართველი მეფის, ლევის მემკვიდრედ იხსენიებს; ხოლო “ქართლის ცხოვრებისა” და სხვა წყაროების მიხედვით, მირიანი სასანიდების დინასტიის, სპარსთა მეფის ძეა. იგი უმემკვიდრედ გარდაცვლილი საქართველოს მეფე ასფაგურის ტახტზე აღასყდრეს შვიდი წლისა და ცოლად შერთეს მისი ქალიშვილი, რომელიც მალევე გარდაიცვალა. 15 წლის მეფე მირიანს ცოლად მოჰგვარეს საბერძნეთის მთავარსარდლის ასული, ნანა. მეფე მირიანი მრავალმხრივ განსწავლული და იმდროისათვის ცნობილ ყველა რელიგიურ მოძღვრებას იყო დაუფლებული. იგი მსახურებდა და აღმართავდა კერპებს და ბომონებს; როგორც ისტორიკოსი ალექსანდრე ნატროშვილი შენიშნავს, მეფე მირიანი ქურუმებთან იყო დაახლოებული და ერთგულად აღასრულებდა კერპთმსახურების რიტუალებს. “ქართლის ცხოვრების” მიხედვით, მირიანი ქრისტიანებს დევნიდა და მოგვიანებით იხსენებდა “მახვილითა მოწყვედასა ყოველთა ქრისტიანეთასა” (ქცხ. 1955წ.გვ.108.).

მეფე მირიანის ერთგულება ქართული წარმართული კულტებისადმი, რელიგიურ გრძნობებზე უწინარეს, პატრიოტული გრძნობებით იყო განპირობებული; რადგან მას ყოველგვარი ქართლისადმი განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა და “დაივიწყა სპარსული ენა და შეიყვარა ქართული”; იგი ზედმიწევნით აღასრულებდა ქართულ ტრადიციებს, უყვარდა ქართული ენა და ქართველი წინაპრები - მან ფარნავაზ მეფის საფლავი შეამკო; მრავალჯის ბრძოლა გადაიხადა საქართველოს მიწა-წყლის დასაცავად; იგი ფიზიკურად უმკლავდებოდა ირანის ურდოებს და საქართველოს ხსნისათვის თავგამოდებით იბრძოდა ხან ირანელთა მხარეს და ხანაც რომის მოკავშირედ გამოდიოდა; ამ უკანასკნელთა დახმარებით, მეფე მირიანმა მრავალი კავკასიელი ტომი ალაგმა: ოსები, ლეკები, ხაზარები, დიდოები და სხვა. ერთგვის, ლეონტი მროველის მიხედვით, ძმისშვილთან ერთად, მან საბერძნეთზეც გაილაშქრა. მემბტიანე საგანგებოდ ჩამოთვლის მის საქმეებს და აღნიშნავს, რომ: “ესე ყოველი ქართველთა სათნოებათათვის ქმნა” და რომ ქართველებმაც “შეიყვარეს იგი უმეტეს ყო-

ველთა მეფეთა”.

მაგრამ მეფისა და ერის სიყვარული ხორციელ დიდებისმოყვარებას მსახურებდა მხოლოდ; სულიერად კი მეფე მირიანიცა და მისი სამეფოც წყვილადს მოეცვა და მსხვერპლშეწირვის რიტუალებთან ერთად, მაზღვანობის ცეცხლსაც მისცემოდა. პოლიტიკურად დაშლილი ქვეყნის სულიერ-ზნეობრივ სახედ არმაზის მთაზე წარმოდგომილი “კაცი ერთი სპილენძისა” წარმოჩნდება. ქრისტიანობის პირველ საუკუნეშივე ღვთივგამორჩეული, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, საქართველო, სადაც ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ნიში - მაცხოვრის კვართი განისვენებდა, სადაც სამოციქულო ღვაწლი მოეფინათ წმინდა ანდრია პირველწოდებულს, სვიმონ კანანელს და სხვათ; ქვეყანა, რომლისთვისაც საბერძნეთიდან გამოწვეულმა ეპისკოპოსმა იოანემ თქვა: “აჰა, ესერა, პირველითგანვე დამარხულ არს ქვეყანა ესე ღმრთისაგან მსახურადთვისად” - სულიერად და ფიზიკურად მოეცვა ქურუმთა და მოგვთა წყვილადს.

საქართველოს ფერისცვალებისათვის მცხეთაში შემოსული ყმაწვილი ქალი, ღვთისმშობლის საკუთარი მოწაფე, წმიდა ნინო, იმ დღეს მოადგა პომპეუსის სახელით ცნობილ ხიდს, როცა ქართველი ერი სატანურ რიტუალს აღუსრულებდა კერპებს და ხიდის თავს მდგომი ნინო ატირდა; ტიროდა იგი ხიდს იქითა სამყაროსათვის - მოგვობასა და ცდომაში შთაფლული ქართველი ერისათვის, რომელიც “ცოცხლივ შთაენტქეს ეშმაკსა, ვითარცა მკუდარნი ჯოჯოხეთსა”; ხოლო ყოველივე ამას ვერ ხედავდნენ ვერც მეფე-დიდებულნი და ვერც ერი ყოველი.

“მოქცევაი ქართლისაი” ზედმიწევნით აღბეჭდავს გარეგნულ ბრწყინვალეობას, რომელსაც მეფე-დედოფალი მოეცვა და გადმოგვცემს ხიბლით მოსილ იმ მსვლელობას, რომელიც შიშსა და ძრწოლას ჰკვირდა გარშემომყოფთ: “სივლტოლაი და მიდამო დამალვაი იყო ყოვლისა კაცისაი და შეივლტოდა ყოველი კაცი საფარველსა ქუეშე, რამეთუ გამოსადმევიდა ნანა დედოფალი. და ვითარცა განვლო ნანა დედოფალი-მან, მაშინდა ნელიად-ნელად გამოვიდოდა ყოველი ერი”. მირიან მეფე კი “თვალთშეუდგამი ხილვითა” წარუდგება ერს, რომელსაც ყვავილებს უგებენ და ქება-დიდებას შეასხამენ. ყოველივე ამ სანახაობისათვის ჰურია დედაკაცი ეტყვის წმიდა ნინოს: “ღმერთი ღმერთთაი უწესს, რომელ არს არმაზ დაწყული”, - ასე წარუდგება კერპებისათვის მსხვერპლშეწირვის

რიტუალების აღმასრულებელი საქართველო მოციქულთასწორ დედა ნინო, რომლის შუამდგომლობითა და ღვაწლით 6 (19) აგვისტოს, ფერისცვალების დღეს, არმაზისა და სხვა კერპთა მსხვერპლით, საქართველოში წარმართული ცნობიერება დაიმსხვრა.

წმიდა ნინოს საკვირველი, დაუცადებელი ღვაწლით, შემდგომად ნანა დედოფლის გაკურნებისა და მოქცევისა, უწინარესად მეფე მირიანის სულიერი სამყარო შეიძვრება. მას მერე, რაც მეფეს თვალწინ ჩამოეშლება მამა-პაპათაგან შეთხზული ცდომილი კულტები - მსოფლმხედველობა, რომელსაც იგი და მისი ხალხი ახორციელებდა, იგი შინაგან წინააღმდეგობას მიეცემა და თითქმის მთელი წლის მანძილზე იბრძვის მასში ორი სამყარო: სულიერი - შინაგანი შჯულის, სინდისის სახით და ხორციელი - პოლიტიკური და



მოციქულთასწორნი წმიდა მეფე მირიანი და დედოფალი ნანა

ტრადიციული ჩვევებით განპირობებული. ამ შინაგან მერყეობას და გაორებას მეფე მირიანს ვერ გაუნელებს ვერც წმიდა ნინოს მიერ ნანა დედოფლის სასწაულებრივი განკურნება და ვერც “ფიცხლად გვეშული” მოგვის განკურნება. არამედ იგი, ქურუმ-მისანთაგან კიდევ უფრო შევიწროებული, ერთმანეთის გამომრიცხავ ქმედებებს აღასრულებს: ერთის მხრივ მეფე ურიათყოფილ ქრისტიან აბიათარს გამოიხსნის ჩაქოლვისაგან, ხოლო მეორეს მხრივ - ეშმაკეული მოგვის განკურნებისას, იგი წმინდა ნინოს ეუბნება: “რომლისა ღმრთისა ძალით იქმ კურნებასა ამას?! ანუ ხარ შენ ასული არმაზისა ანუ ზადენისა?” - მეფემ კარგად იცოდა, რომ წმინდა ნინო ქრისტეს სახელით აღასრულებდა ყოველივეს; მან ეს უწინარეს ყოვლისა საკუთარი მეუღლის, ნანა დედოფლისაგან უწყოდა. ამასთანავე, მირიანისათვის კარგად იყო ცნობილი ბიზანტიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად ცნობა და იგი ქრისტიანულ მოძღვრებასაც გულდაგულ ეცნობოდა; მაგრამ მეფეს სურდა, რომ წმიდა ნინოს ნებისმიერი კულტის მსახურად განეცხადებინა თავი, ოღონდ “რომაელთა ცდომილი სჯული არ აღიაროს და არ ასენოსო”. ამისთვის დიდ პატივს, სიმდიდრესა და მფარველობას დაჰპირდა ყმაწვილ ქალს, რადგან ამით შინაგანი სიმშვიდის მოპოვებას ფიქრობდა და როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე სპარსეთთან სარწმუნოებრივი, ზნეობრივ-კულტურული და პოლიტიკური დაპირისპირების აცილება სურდა.

“ეშმაკე ქართლისაი”, ქართველთა განმანათლებელმა წმიდა ნინომ სრულად ცნო და განიცადა გვემა მირიან მეფისა და ამ სიტყვებით დალოცა, უწინასწარმეტყველა და შეავედრა იგი უფალ იესო

ქრისტეს: “შენ, მეფეო, სახელითა ქრისტესითა და ვედრებითა დედისა მისისათა და მისთანა ყოველთა წმიდათა, მოავლინენ შენზედა ღმერთმან ცისა და ქვეყნის შემოქმედმან, დამბადებელმან ყოველისა დაბადებულისამან, დიდისა და დიდებისა მისისა და აურაცხელითა მრავალმოწყალებისაგან მოავლინენ შენ ზედა ვითარცა სახმილისაგან ნაბერწყალი ერთი მადლისა მისისა, რათა სცნა და გულისხმაჰყო სიმაღლე ცისა და ნათელი მზისა, სიღრმე ზღვისა და სივრცე ქვეყანისა და საფუძველი მისი... მეფეო, ახლოს არს მიახლება შენი ღმრთისა მიხედვად. რამეთუ არს ქალაქსა ამას შინა სასწაული ერთი. სამოსელი ძისა ღმრთისა აქა არს, და ხალენისა მის ელიასი თქუეს, ვითემე აქავეყოფა... და მრავალნი სასწაულნი არიან, რომელი ღმერთმან გამოაჩინეს. და აწ მე მთავარი ესე შენი განგკურნო ძალითა ღმრთისა ჩემისათა და ჯუართა ვნებისა მისისათა, ვითარცა დედოფალი განგკურნე სენისაგან დიდისა. და რა იგი ვაუწყე მას, ჰყოფს იგი, რაითა სულიცა თვისი განაბრწყინოს და ერიცა თვისი მიაახლოს ღმერთსა” (“ქართლის ცხოვრება”).

წმიდა ნინომ დალოცა მეფე და აუწყა, რომ მალე აეხილებოდა სულიერი თვალი; მან პირველად განუმარტა მეფეს სამეფო ხელისუფლების რაობა: “რაითა სულიცა თვისი განაბრწყინოს და ერიცა თვისი მიაახლოს ღმერთსა”, რისთვისაც ნანა დედოფლის გზაზე მიანიშნა მეფეს, იმ გზაზე, რომელიც “სულის გამაბრწყინებელია” და რომელსაც შედგომოდა დედოფალი: “რა იგი ვაუწყე მას, ჰყოფს იგი” - ეს იყო მორჩილების გზა, რომლითაც ნანა დედოფალმა მოციქულთასწორის მსახურებამდე განვლო და მით, წმიდა ნინოს ღირსეული მოწაფე, საქართველოს სულიერი დედოფალიც გახდა. სწორედ ასე მიმართავს წმიდა ნინო თავის სულიერ შვილებს და დებს: “ასულნო სარწმუნოებისანო, მახლობელნო ღმრთისანო, დედოფალნო ჩემნო, გხედავთ თქვენ, ვითარცა პირველთა მათ წმიდათა დედათა ყოველსა მას სარწმუნოებასა და სიყვარულსა ღმრთისასა”.

ქრისტიანობაზე მოქცევისთანავე, ნანა დედოფალი მეუღლის, მეფე მირიანის, სულისთვის ზრუნავს. იგი დღემუდამ შეაგონებს მეუღლეს და უქადაგებს ღვთის სიტყვას; ნანა დედოფალი არასდროს არ განეშორებოდა წმიდა ნინოს, იგი მთიულეთთან ქადაგების დროსაც გვერდით ედგა მას, როგორც დედოფალი და როგორც სულიერი შვილი; და არც “არასადა განეშორებოდეს ეკლესიასა, სვეტისა მის ცხოველისასა და ნათლისასა”. დედოფალი დღემუდამ განისწავლებოდა წმიდა ნინოს მიერ და საქართველოს განმანათლებლის პირველ მოწაფეთა შორის აღასრულებდა მოციქულთასწორთა ღვაწლს; იგი ყოველმხრივ შეეწოდა ქრისტეს სძალს, ნინოს, საქართველოს მოქცევისათვის - როგორც ერთი ქრისტიანთაგანი და როგორც - ქვეყნის დედოფალი; იგი პირველი ქართველი ქრისტიანი დედოფალია, რომელიც სულიერი დედოფლობისათვის უფრო იღვწოდა, ვინემ ხორციელისათვის. მოციქულთასწორმა წმიდა ელენემ თავის ხელით დაწერა ეპისტოლე, სადაც ნანა დედოფალი “სანატრელად” მოიხსენია. წმიდა ნინოს მოწაფე, დედოფალი ნანა ქურუმებისაგან შეგულიანებული მეფის რისხვა-მუქარასაც არ ერიდებოდა; მხოლოდ ღვთის განგებით გადაურჩა იგი მოსალოდნელ სასჯელს, რომლის აღსრულებაც, სანადიროდ გასულმა მეფე მირიანმა,

სამეფო კარის მსახურებს აღუთქვა: “აწ ესე არს განზრახვა ჩემი, რათა ბოროტად მოვსრნე ყოველნი მოსაგნი ჯუარცმულისანი; ვამხილო ნანას, ცოლსა ჩემსა, შენანება და დატეობა სჯულსა ჯუარცმულისასა და თუ არა მერჩდეს, დავივიწყო სიყვარული მისი და სხუათა თანავე წარვწყმიდო იგიცა”, - მაგრამ ამ სიტყვებთან ერთად მსწრაფლ მოიწია მეფე მირიანზე განსაცდელი: თხოთის მთაზე სანადიროდ გასულ მეფეზე (თეოდორიტე კვირელის თქმით) “კაცთმოყვარე უფალმა ინადირა მასზე, მსგავსად პავლესი”. მატინაეები სახიერად აღწერენ, თუ როგორ ჩამოწვა წყვედილი მეფეზე, როგორ “იქმნა დამე უკუნი” და დარჩა მარტო და “იარებოდა შეშინებული და შეძრწუნებული” და რომ იყო “ცოცხლივ ჯოჯოხეთს შინა”; და ვერ გავგო: ოდენ მის თავს ხდებოდა ყოველი ეს ჭირი თუ მთელი ქვეყანა მოიცვა ბნელმა... და როცა თავის კერპებს უხმო - არავინ გამოუჩნდა შემწედ; “ხოლო კეთილისმყოფელმან ღმერთმან აქცია გონებაი მისი უცნობელობისაგან ცნობად და უმეცრებისაგან მეცნიერებად”. გულისხმაყო მეფემ და განიცადა საკუთარი სულიერი წყვედი, ცრუმორწმუნეობა და უმეცრება მისი და მისი ხალხისა; ნადირობისას მოწვენილი განსაცდელით დაირღვა მაშინ და დაიმსხვრა ქურუმთა მაგიური ძალა და საკრველნი მეფე მირიანზე; მან უმაღლ მიმართა წმიდა ნინოს მიერ ქადაგებულ ღმერთს, ჯვარს და ჯუარცმულს: “ღმერთო ნინოსო, განმინათლე ბნელი ესე და მიხუენე საყოფელი ჩემი; და აღვიარო სახელი შენი, და აღვიმართო ძელი ჯუარისა და თავყანისვცე მას და აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ნინოსა რჯულსა ზედა ჰრომთასა”, - ეს იყო წმიდა მეფე მირიანის პირველი, მოკლე ლოცვა, რომელიც აღთქმის სახით წარმოთქვა მან. და აღუთქვა უფალს სარწმუნოება, ჯვარისა და სალოცავის აღმართვა და წმიდა ნინოს მორჩილება, რომლის აღსრულებასაც მიუძღვნა მთელი შემდგომი ცხოვრება.

ლოცვის უმაღლ აღმოუბრწყინდება მზე და ნათელი ჯვრის სახით მოველინება წმიდა მირიანს, მსგავსად კონსტანტინე დიდისა. მაგრამ მირიანმა მოგვიანებით, ბორცვზე ჯვრის აღმართვის შემდეგ გააცნობიერა, რომ ჯვრის სახით გამოუბრწყინდა მას ნათელი. მაშინ კი, სულიწმიდით გაბრწყინებული მეფე, ცხენიდან გარდამოხდა და სარწმუნოების აღსარება წართქვა: “შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყვის; და საქებელ არს სახელი შენი ყოველისა დაბადებულისაგან, ცასა ქუეშე და ქუეყანასა ზედა. რამეთუ შენ მიხსენ მე ჭირისაგან და განმინათლე ბნელი ჩემი. აჰა, ესერა მიცნობიეს, რამეთუ გინდა ხსნა ჩემი, ღმრთეობა და მიახლება შენდა, უფალო, კურთხეულო. ამას ადგილსა აღვიმართო ძელი ჯვარისა, რომლითა იდიდებოდეს სახელი შენი და იხსენებოდეს საქმე ესე სასწაული უკუნისამდე”.

საღმრთო ნათლით გაბრწყინებული მეფე მირიანი, ღვთისადმი დადადებდა და ხმამაღლა იძახდა: “მთეცით ღმერთსა ნინოსსა დიდება, რამეთუ იგი არს საუკუნიტგან ღმერთი და მას მხოლოსა შეენის დიდება უკუნისამდე”.

გახარებული მეფე ნანა დედოფლისა და ორმოცდაათი კაცის თანხლებით ეახლა წმიდა ნინოს მაყვლოვანში, სადაც მწუხრის ლოცვას აღასრულებდა ქართველთაგანმანათლებელი, “წყველებისაებრ მისისა”.

გულანთებული მეფე ეძიებდა საკვირველ ყმაწვილ ქალს, და ხმამაღლა იძახდა: “სადა არს დედაკაცი იგი უცხო, რომელ არს დედა ჩემი და ღმერთი მისი მხსნელი ჩემი?!” - მუხლი მოუყარა ღვთისმშობლის მოწაფეს და ითხოვა მისგან ნება, უფლის სახელის ხსენებისა: “აწ ღირსმყავ სახელისდებად, სახელსა ღვთისა შენისა და მხსნელისა ჩემისა”. წმიდა ნინომ იგი აღმოსავლეთით მიაქცია და ასწავლა ძე ღმერთის თაყვანისცემა.

მაყვლოვანში შედგა მოციქულთასწორთა წმიდა ნინოსა და წმიდა მირიანის სულიერი დედა-შვილობა და მას მერე მრავალჯის განისწავლებოდა მეფე წმიდა ნინოსაგან: “ხოლო ნეტარი ნინო ასწავებდა დედადამე მეფესა ყოველსა ჭეშმარიტსა გზასა ღმრთისასა აწ და უკუნისამდე” (“მოქცევაი ქართლისაი”).

მეფე მირიანი წმიდა ნინოს წინაშე ბავშვური სიწრფელით და მორჩილებით აღივსება; იგი, დღიდან მოქცევისა, მორჩილებისა და სიმდაბლის სრულად აღმასრულებელია და ყოველ მის ნაბიჯს, საკუთარს თუ საქვეყნოს, უფალს მიანდობს; რომლის ნებასაც მას წმიდა ნინო დაუცადებლად განუცხადებდა. წმიდა მირიანი ხშირად ეკითხებოდა ქრისტიანულ მოძღვრებაზე და მრავალს სწავლობდა პირველმდვდლისაგან, ურიათყოფილ აბიათარისაგან; ზედმიწევნით ეცნობოდა და გულდასმით სწავლობდა იგი ძველი და ახალი აღთქმის მოძღვრებას; გაეცნო ყოველივეს და “იწყო გამოძიებად სჯულისა”;

წმიდა ნინოსაგან მრავალჯის სულიერი განსწავლის შემდგომ მეფე განუცხადებს სულიერ დედას: “მესწრაფვის მე აღშენებად სახლსა ღმრთისასა და სადა აღვაშენო?”. წმიდა ნინო, მას, როგორც მეფეს, რომელიც სულ მალე პირველი მირონცხებული მეფე იქნება (მასზე, ნათლობის უმაღლ, მეფეთკურთხევის საიდუმლოც აღსრულდებოდა), გადაწყვეტილების მიღებას მიანდობს და ეტყვის: “სადაცა მეფეთა გონება მტკიცე არს”. აქაც ბავშვური სიწრფელითა და სიყვარულით გამოხატავს, რომ მისი სულიერი შობის ადგილი და სახლი მაყვლოვანში იყო, ხოლო სულიერი დედა - წმიდა ნინო; ამიტომაც ეტყვის მას: “მიყვარან მაყვალნი ესე შენნი და მუნ მნებავს გონებითა ჩემითაო”. მაგრამ კეთილმორწმუნე მირიანმა წმიდა ნინოსთვის ხილვით უწყებული ადგილი ვერ უგულუბელყო, სადაც კვართი უფლისა განისვენებდა და დასძინა: “... ჭეშმარიტად, სამოთხე ესე ხორციელი წარმწყმედელი შეგვეცვალოს სამოთხედ საუკუნოდ, და მუნ აღვაშენოთ სახლი ღმრთისა სალოცველად ჩვენდა, ვიდრე მოსვლადმდე მღვდელთა საბერძნეთით” და აიგო სვეტიცხოველი.

მემატიანეთა გადმოცემით, სვეტიცხოველის აღმარ-

თვისას, მრავალი საკვირველება აღესრულა: საზარელი მესხთა ტერციალი ისმოდა, მტკვარი ადიდდა და ქალაქი გადარეცხა, კერპები და საკერპო ბომონები დაიქცა. იმავე ღამით „მოუხდა“ მეფეს სპარსთა მხედრონიც; მას, როგორც ქრისტეს მხედარს, ერთობით წინ აღუდგა გარეშე და შინაური, ხილული თუ უხილავი მტერი. ხოლო წმიდა ნინომ უწყოდა ახლადმოქცულ სულიერ შვილზე მოწვევული ყოველი განსაცდელი, იცოდა სამოციქულო ჯვარის სიმძიმე, რომელიც მის სულიერ შვილს ეტვირთა და ამიტომაც: “დადგა წმიდა ნინო, განიპყრნა ხელნი და ილოცვიდა ღმრთისა მიმართ და იტყოდა: ”რათა არა დაებრკოლოს საქმე ესე, რომლითა წარმართებულ არს მეფე”. წმიდა ნინოს ღოცვით, იმ ღამით სასტიკ ბრძოლაში სძლია მეფემ სპარსელებს. ხოლო შეპრწუნებული ერი ამ სიტყვებით ანუგეშა მოციქულ-



წმიდა მეფე მირიანი. მინიატურა

თასწორმა ნინომ: “ნუ გეშინინ, დანო ჩემნო, მთანი მუნვე ჰგიან და წყალნი მუნვე დიან, და ერსა ყოველსა სძინავს... ხოლო ხმა ესე ტყებისა არს ეშმაკთა სიმრავლისა, რამეთუ იგლოვენ ივინი თავსა თვისსა, რომელ არიან მეოტ ამით ადგილით, ძალითა მადლისათა და ჯუართა ქრისტესითა. მოიქეცით და ილოცვედით ღმრთისა მიმართ. (ლეონტი მროველი).

ამ პერიოდისათვის ბიზანტიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად არის გამოცხადებული და მაცხოვრის ძელი ცხოველიც აღიმართა. წმიდა მეფე მირიანი, როგორც მონარქი, ახლა არა მარტო ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე ზრუნავს, არამედ მის სულიერ-კულტურულ და პოლიტიკურ მხარეზეც; მან თავისი ერის სულიერ-ზნეობრივი წყვდიადისაგან გამოხსნა და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება განიზრახა, რითაც ქართველი ერის ცნობიერება და მისი ისტორიული ნება

წარმართა. კათოლიკოს პატრიარქი წმიდა კირიონ II აღნიშნავს: “მთელი მისი მოქმედება, ღვაწლი და ყოველივე - დიდებული აზრის აღსრულებას, მის დიდ ადამიანობაზე მიუთითებს. რა დიდებული განზრახვაა თავის ოჯახის და ქვეყნის გარდაქმნა; რა ბრძნულ წინდახედულებას და სიფრთხილეს იხენს იგი თავის ქმედებაში და რა თავგანწირვას! რამეთუ ქრისტიანობის გამოცხადებით, მან აიმხედრა მონათესავე სასანიდების დინასტია; რა თანამიმდევრულობაა მის მოქმედებაში და რა უდრეკი სიმტკიცეა!.. ჩვენში, ქრისტიანობის გაბატონებით, სწორედ მეფე მირიანის დროს დაიწყო ჩვენი განათლების, წეს-ჩვეულების, ზნეობრიობის და რაც მთავარია - ჩვენი იმედების ახალი პერიოდი”. (იქვე).

ბიზანტიის იმპერიის ქრისტიანულ სახელმწიფოდ გამოცხადების უმაღლ, საქართველოში წარმართული ცნობიერება და კულტების მისტერია ირღვევა - სა-

ქართველი ქრისტიანული ბიზანტიის მხარდამხარ დადგება და საუკუნეთა მანძილზე მებრძოლი ეკლესიის წინა რიგებში დღესაქამომდე აღასრულებს მოწამებრივ ღვაწლს. წმიდა ნინოს წინამძღოლობით, მოციქულთასწორნი, მეფე მირიანი და დედოფალი ნანა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დამამყარებელი, ქართველი ერის ცნობიერებისა და მისი ისტორიის წარმმართველნი არიან. წმიდა მეფე მირიანი, სულიერი დედის, წმიდა ნინოს ღოცვა-კურთხევითა და სამეფო ნებით, საბერძნეთთან ამყარებს ურთიერთობას - "საქართველოს მომავალი ეკლესიის იერარქიული მოწყობისათვის" (წმიდა კირიონ II), საქართველოს ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის წიაღში დასამკვიდრებლად.

წმიდა მირიანმა, საქართველოში საყოველთაო ნათლისღების აღსასრულებლად, საბერძნეთიდან მოიწვია სასულიერო იერარქები და სამეფო ძალმოსილებით მოუწოდა ქართველ ერს ნათლისღებისათვის. ხოლო ერი, რომელიც პირველსაუკუნითვე ღვთივ განისწავლებოდა და განიწმინდებოდა საუფლო კვართის კეთილსუნელებით, ერი, რომელმაც იხილა სასწაული სვეტი ცხოველისა და რომელიც წმიდა ნინოს ქადაგებას ისმენდა - საკვირველი მოშურნეობით შეუდგა აღმსარებელი მეფის მოწოდებას. მემატიაზე სახიერად გადმოგვცემს: "და მიატყდებოდა ერი იგი ურთიერთას მოსწრაფებით და ევედრებოდა მღვდელთა, რათა პირველად მას ვისმე ნათელსცეს. და ესრეთ სურვიელ იყო ერი იგი ნათლისღებისათვის, რამეთუ ესმინა ქადაგება წმიდისა ნინოსი, რომელსა იტყვის: "ყოველმან, რომელმან არა ნათელილოს, არა კპოვოს მან ნათელი საუკუნო"...

წმიდა მეფე მირიანმა პირველი ქრისტიანული სახელმწიფოს დამამყარებელთან, წმიდა იმპერატორ კონსტანტინე დიდთან, ქრისტესმიერი სიყვარულით აღბეჭდილი მართლმადიდებელ ხელისუფალთა ურთიერთობა აღასრულა, რითაც ერთმორწმუნე ქვეყნების ურთიერთობის საღმრთო ნება გაცხადდა. საგულისხმოა, რომ მატიაზეში მოციქულთასწორნი წმიდა კონსტანტინე და წმიდა მირიანიც "მეორე პავლედ" იხსენიებიან. მათი ურთიერთპატივი და ურთიერთშეწვევა მართლმადიდებლური ქვეყნების ღმრთისადმი თანამსახურებას გამოხატავს. სწორედ ამის გამომხატველია ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინესა და ელენე დედოფლის ის დიდი სიხარული, რომლითაც საქართველოს მეფე-დედოფლის ეპისტოლეების მიღებისას აღივსებიან. მემატიაზე აღნიშნავს: "რამეთუ მადლი ღვთისა და სარწმუნოება ქრისტიანთა აღორძინდებოდა და განმტკიცდებოდა ყოველსა სოფელსა შინა..." მართლმადიდებელი საბერძნეთის ხელისუფალთა დიდი სიხარულის პოლიტიკურ მიზეზსაც წარმოაჩენს მემატიაზე, როდესაც აღნიშნავს, რომ: "განეშორებოდა მეფე მირიანი შეერთებისაგან და თანაშეწვევისაგან უსჯულოთა სპარსთა და განმტკიცდებოდა სჯული ქართველთა და ბერძენთა ერთბამად".

მოციქულთასწორ მონარქთა, წმიდა კონსტანტინესა და წმიდა მირიანის მიმოწერაში ქრისტესმიერი სიყვარული და ურთიერთპატივია აღბეჭდილი. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე ქრისტიანული სახელმწიფოს პირველდამამყარებელს, იმპერატორ კონსტანტინეს, ეპისტოლეში იხსენიებს, როგორც: "ნათელი ყოვლისა ქრისტიანობისა", "კონსტანტინეპოლის

სამეფოს სახედ მზისა განმანათლებელს", "სწორად წმიდათა მოციქულთა". მეფე მირიანი სიმდაბლით აღუარებს ქრისტესმიერ ძმას და გიხაროდენს უძღვნი: "აწლა სადმე წყალობითა სახიერისა ღვთისათა ძლით განფრთხობილი სიმთვრალისაგან უმეცრებისა და საშოსაგან დედისა სიბნელისა ახლად ვიდრემე ნათლად გამოსრული, ქრისტეს მიერსა გიხაროდენსა მიგიძღვანებ... მან უკუე სახიერმან არცაღა ვიდრემე ჩემი სათნო იჩინა უფსკრულსა შინა სიბნელესა და დავიწყებისასა და შთომამ..." ("საქართველოს სამოთხე"). ქართველთა მეფე, სულიერი დედის კურთხევითა და აღმსარებლური სიმდაბლით სთხოვს კონსტანტინე დიდს იერარქთა გამოგზავნას "ჭეშმარიტი, უცდომელი ქრისტიანობისათვის", რათა ღირსი გახადოს "სრული ნათლის მიმთხვევასა" და, აგრეთვე - იგი ქართველთა სულიერ შემწეს ძელი ჭეშმარიტის, სახარების და სხვა სიწმინდეების გამოგზავნას სთხოვს. ხოლო კონსტანტინე და ელენე დედოფალი თავის ხელით სწერენ საპასუხო ეპისტოლეს ქართველთა მეფე-დედოფალს, რომელთაც "სწორად წმიდათა მოციქულთა" იხსენიებენ. იმპერატორი კონსტანტინე ეპისტოლეში საკუთარ თავს ღმრთის "ახალ მონად" იხსენიებს და მეფე მირიანსაც "ჩემთანვე ახალნერგს" უწოდებს; იგი ქართველთა მეფეს ძმად, მორწმუნედ და "ღმრთივგანბრძნობილად" მიიხნევს და "სიყვარულსა ზედა ძმებრივსა ზედა" დგომას უცხადებს ("ქართლის ცხოვრება"). წმიდა ელენე დედოფალი კი, თავის მხრივ, პატივს მიაგებს საქართველოს წმიდა დედოფალ ნანას, რომელსაც "თვისთა სწორ დედოფლად" და "სანატრელად" მოიხსენიებს. მოციქულთასწორთა, ბერძენ და ქართველ მეფე-დედოფალთა ქრისტესმიერი სიყვარული, ქრისტიანულ სახელმწიფოთა ერთსულოვნების, ღვისმსახურების ერთობით აღსრულების და ურთიერთ თანადგომის გამოვლინებაა. მართლმადიდებელი კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიის სულიერი ერთობის ნიშნად და ქართული ეკლესიის განსამტკიცებლად გაწეული ღვაწლის მოწმობად წარმოჩნდება, წმიდა კონსტანტინე დიდის მიერ გაღებული მრავალი საბოძვარი, სულიერი თუ ნივთიერი: მაცხოვრის ძელი ცხოველის ნაწილი, ფერხთა ფიცარი, სამსჭვალნი, მაცხოვრის ხატი, წმიდა სახარება და ნივთიერი შეწვევა ყოვლითურთ.

ქრისტესმიერი ძმობის დასტურად, წმინდა კონსტანტინემ დიოკლეტიანეს მიერ მძევლად წაყვანილი ვაჟი დაუბრუნა წმიდა მირიანს; ეპისტოლეში აღმსარებლური სიმდაბლით დალოცა იგი და მიუწერა: "იყავნ შენდა მშვიდობა და სიხარული, ვინათგან იცან სამება ერთარსება... არღარა მიხმს მე შენგან მძევალი, არამედ კმა არს ჩვენს შორის შუამდგომელად ქრისტე ძე ღვთისა, პირველსაუკუნეთა შობილი... ვიყუნეთ ჩვენ სიყვარულსა ზედა ძმებრივსა; შეილი შენი შენადვე მიმინიჭებია და განიხარე". საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ეპისტოლეში მოციქულთასწორმა წმიდა კონსტანტინე დიდმა ღოცვა აღავლინა საქართველოსათვის: "ღვთისაგან მოვლენილი ანგელოზი იყავნ შენ თანა; მარადის განდევნენ ღმერთმან დამბადებელმან ეშმაკი მაცდური საზღვართაგან შენთა" ("საქართველოს სამოთხე", გვ. 152).

მოგვიანებით, იერუსალიმში მოსალოცად ჩასულ მეფე მირიანს, იმპერატორმა კონსტანტინემ მიწის ნაკვეთი უბოძა, წმიდა მიწაზე ეკლესიის ასაგებად - იქ, სადაც მოკვეთეს საუფლო ჯვარი. წმიდა მეფე მირი-



ანმა ამ ადგილზე “ჯვარის მონასტრის” მშენებლობას დაუდო საფუძველი, რომელიც დღემდე ყოველთა მართლმადიდებელთაგან არის განდიდებული და “თვისად” მიჩნეული; ტაძრის კედელზე წმიდა მირიან მეფის ფრესკა იყო გამოსახული, წმიდა ვახტანგ გორგასალთან და ბაგრატ კურაპალატთან ერთად. ფრესკის პირველმა თვითმხილველმა, ეპისკოპოსმა ტიმოთე გაბაშვილმა (XVIII ს.) ტაძრის კედლიდან პირი გადმოიღო და თავის დიდებულ თხოვლებს “მიმოსვლას” დაურთო.

ღვთიებრწინვალე მეფე მირიანის ცხოვრება კეთილმორწმუნეობის, სიმდაბლის და მორჩილების სახედ წარმოდგება, რასაც მოწმობენ მისი ღვაწლით აგებული ტაძრები: სვეტიცხოველის, სამთავროს, იერუსალემის ჯვრის მონასტრის (საფუძველი მან დაუდო), ერუშეთის, მანგლისის, ბოდბის და სხვათა.

წმიდა მეფე მირიანი საქართველოს ეკლესიის ისტორიაში საერო და საეკლესიო ხელისუფლების ბიზანტიური წესის, სიმფონიური ურთიერთობის, დამამკვიდრებელია. იგი საერო ხელისუფალთა ეკლესიისადმი მორჩილების პირველსახეა. მან მთელი თავისი ცხოვრება ქრისტიანული სახელმწიფოსათვის ამ აუცილებელი კანონის აღსრულებას და დამკვიდრებას მიუძღვნა, რითაც პირად ღვაწლთან ერთად სამეფო ღვაწლიც ღვთივსათნოდ განასრულა. მემატინეები წმიდა მეფის ამ ღვაწლს მრავალგზის წარმოაჩენენ, სულიერ დედასთან, წმიდა ნინოსთან მისი მიმართებით.

ერთგზის, შემდგომად საყოველთაო ნათლისღებისა, მეფემ მთიულთა მოქცევა ძალით განიზრახა; ხოლო სულიერი დედის, წმიდა ნინოს პირველსავე შეგონებაზე: “არა ბრძანებულ არს ღვთისაგან მახვილისა აღება, არამედ სახარებითა და პატიოსნითა ჯუარითა უჩვენოთ გზა ჭეშმარიტი მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ და მადლმან ღუთისამან განანათლოს ბნელი იგი გულთა მათი” (მიხეილ საბინაშვილი ხაზგასმით შენიშნავს, რომ ეს სიტყვები წმიდა ნინომ წარმოსთქვა. “საქართველოს სამოთხე”, გვ.149), - მეფე უსიტყვოდ ემორჩილება მას.

ეკლესიისადმი მორჩილების სახედ წარმოდგება ქართლის ცხოვრების ეპიზოდი, როდესაც საბერძნეთიდან მოწვეული ეპისკოპოსი იოანე და თანმხლები სასულიერო პირები “პირველ არა სამეფოსა ქალაქსა მოვიდეს”, არამედ მირიანთან წარდგომისა და მისი ნების გარეშე, ერუშეთსა და მანგლისში იწყეს ტაძრების შენება და წმიდა კონსტანტინესაგან წარმოძღვანებული სიწმინდეებიც იქვე დატოვეს. ამან მირიანი, როგორც მეფე დაამწუხრა და საეკლესიო იერარქთა “თვითნებურმა” ქმედებამ საგონებელს მისცა იგი; მაგრამ წმიდა ნინოს სწავლებას ღვთისმსახურთა ქმედებისათვის მეფე უმაღ შეისმენს: “ნუ

უკუე მწუხარე ხარ, პოი, მეფეო, რამეთუ ესრეთ ჯერ არს, ვითარცა მოვიდოდიან, ეგრეთვე სთესვიდნენ თესლთა ღვთისმსახურებისათაო”; ხოლო სულიერმა დედისმიერმა უწყებამ, რომ მცხეთაში უფლის სამოსელი - კვართი უფლისა მაცხოვრისა და მხსნელისა ჩვენისა განისვენებდა, რომელიც ღმერთმა მოანიჭა სამეფო ქალაქს სადიდებლად და მცუელად - მეფე მირიანმა განიხარა, “განიპყრნა ხელნი” და მადლობა აღუვლინა ღმერთს ქართველთა მფარველობისათვის და ასე ილოცა: “კურთხეულ ხარ შენ იესო, ძეო ღუთისაო ცხოველისაო, რამეთუ პირველითგანვე გინდა ხსნა ჩუენი ეშმაკისაგან და ადგილისა ბნელისა; ამისთვის სამოსელი იგი შენი წმიდა წარმოეც წმიდით ქალაქით შენით იერუსალიმით ებრაელთა მათ, ღუთაებისა შენისა უცხოქმნილთა ჩუენ უცხოთა ნათესავთა”.

წმიდა ნინოსადმი სრული, ყმაწვილური მინდობა და სულის სიწრფელე ცხადდება წმიდა მირიანისა, როდესაც იგი ცეცხლოვანი გვირგვინითა და ვარსკვლავებით გარშემორტყმულ ზეციდან სასწაულებრივად ჩამოსულ ჯვარს იხილავს. გაოცებული მეფე ყველას ეკითხება და ევედრება, განუმარტონ, რას ნიშნავს ეს მოვლენა და როდესაც პასუხს ვერავისაგან მიიღებს, მაშინდა შეებდავს წმიდა ნინოს და ჰკითხავს: “რა არს დედოფალო, ცხადად გამობრწინებული ეს სასწაული?!” მოციქულთასწორი დედა მას აუწყებს: “ჰე, მეფეო, ნუ ეძებ



წმიდა მეფე მირიანი და მისი ვაჟი, რევი.

გამოუძებნელსა და ნუ განსცდი გამოუცდელსა, რამეთუ საქმენი მისნი გამოუკვლეველ არიან. აწ უწყებულ იყავნ, ვითარმედ მოგხედნა შენ ღმერთმან და პატივცცა უფროს ყოველთა მეფეთა ქვეყანისათა. გიხაროდენ და მხიარულ იყავ, რამეთუ ჯუარი იგი, რომელსა ზედა თვით ნებსით თვისით ხელნი განიპყრნა, აწ იგი მოვივლინა შენ მხსნელად შენდა ყოველთაგან საფრხეთა მტერისა...”

წმიდა ნინოს ეს უწყება მალევე საჯაროდ დაამოწმა უფალმა და განადიდა თავისი მსახურის, წმიდა მირიანის, ღვაწლი: როდესაც ვერ გადაწყვეტენ ჯვარის აღმართვის ადგილს და ყველა თავისას ამბობს, წმიდა მეფე მირიანი ლოცვად დადგა და შემდგომად მრწამსის წართქმისა შესთხოვა უფალს: “გამოცხადებაი ადგილისაი, რომელსა აღმართოთ ნიში ჯუარისა შენისაი.” ღამით მეფეს ანგელოზი გამოეცხადა და უჩვენა ადგილი, ბორცვი მცხეთის მახლობლად, სადაც პატიოსანი ჯვარი უნდა აღმართათ.

მოციქულთასწორი მეფე მირიანი მის თავს განცხადებულ ღვთის მადლს სრულად სულიერი დედის, წმიდა ნინოს, ღვაწლს მიათვლიდა. იგი თავის ანდერძში ამბობს: “აღსავსე ვიყავ სიხარულითა და ვმადლობდი ღმერთსა”. მას ერთი სურვილია ჰქონდა - რომ ამქვეყნიდან სულიერი დედის ლოცვას გაეცილებინა; მაგრამ, მემატინის თქმით, “ფრიადი მწუხარება” დაატყდა თავს მას და “ყოველსა ერსა

ქართლისასა” - ღმრთივ მიიცივალა ქართველთგანმანათლებელი წმინდა ნინო,რისთვისაც წმინდა მირიანი ამბობს: “ობოლ ვიქმენით დედისა განმანათლებელისა ჩვენისაო”. მეფე მირიანი წმიდა ნინოს საფლავს შვიდი დღის განმავლობაში არ განშორებია და იგლოვდა ქართველთა სულიერ დედასთან განშორებას,უფლის სხვა მსახურებთან ერთად. მემატინის გადმოცემით, აუწერელია მწუხარება, რომლითაც წმიდა მირიანმა წმიდა ნინო გააცილა.

წმიდა მოციქულთასწორი ნინოს ღვაწლი კაცთაგან პირველმა წმიდა მირიანმა განადიდა, რომელიც სიკვდილის სარეცელზე მდებარე აღმოიტყოდა: “...ამან წმინდამან აღანთო გულსა ჩემსა სანთელი ნათლისაი და შუალამეს ოდენ მეჩვენა მე მზე ბრწყინვალე, ქრისტე ღმერთი ჩვენი... და მექმნა ჩვენ მოძღვარ და შემერთნა ჩვენ ერსა ქრისტესსა ნათლისღებითა წმიდითა და პატიოსნისა ძელისა თაყვანისცემითა, და მომცა ჩვენ შჯული ახალი... მე ვიქმენ მორჩილ ბრძანებათა მისთა, რომელიცა მასწავა...”; მიცვალებისას მეფე მთავარეპისკოპოს იოანეს “ჰვედრებდა, რათა დადვას დიდებაი მისი, რომელი ღირს არს პატივისცემისა”. ამ სიტყვებით წმიდა მირიანმა ქართველთგანმანათლებელის წმიდანად შერაცხვის საღმრთო ნება განაცხადა.

წმიდა მირიანმა, შემდგომად წმიდა ნინოს მიცვალებისა, სულიერი დედის ყოველი ღვაწლი და კურთხევა განასრულა: “რათა სული თვისი განაბრწყინოს და ერიცა თვისი მიაახლოს ღმერთსა” (“ქართლის ცხოვრება”). მან ღმრთისმშობლის საკუთარი მოწაფის, წმიდა ნინოს, სადგომი - მაყვლოვანი პირადი და საქართველოს ფერისცვალების დასაბამ ადგილად ცნო და სულიერი დედის ამქვეყნიდან გასვლის შემდგომ ტაძარი ააგო იქ, სადაც საუკუნო განსასვენებელი განიმზადა; ხოლო სვეტიცხოველი, რომელიც მატინანებში “ქვემო ეკლესიად” იწოდება, მისთვის და სრულიად ერისათვის თვალშეუდგამი “წმიდა წმიდათას” ხატად წარმოჩნდებოდა, რომლისთვისაც წმიდა მეფე მირიანი ამბობს: “და აღვაშენე ეკლესიაი მაყვლოვანსა მას შინა ნინოსსა, და ვქმენ მას შინა საქმეი, ქმნული უჩინოი და ცხადი, დიდებაი მაყვლოვანთა მათ... და აღვაშენე ზემოი ეკლესიაი თავისა ჩემისათვის ქვითა და ერისა სიმრავლითა, რამეთუ ქვემოსა ეკლესიასა ერქუა “წმიდა წმიდათაი” და ყოვლადვე ვერ ვიკადრებდი კართა მისთა განხმად თვინიერ ხოლო დღესა კვირიაკესა... რამეთუ შიში დიდი დაცემულ იყო ყოველსა კაცსა სუეტისა მისგან ცხოველისა. და ვერ ვიკადრე წინაშე მისსა აღმოკუეთად მიწაი სამარედ ჩემდა...” (“მოქცევაი ქართლისაი”).

“ანდერძი” მეფე მირიანისა, რომელსაც იგი ნანა დედოფალსა და თავის ძეს, რევს უტოვებს, იმავდროს სრულიად ქართველი ერისადმია აღმოთქმული, რომელიც უწინარეს რჯულის - მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვისაკენ მოგვიწოდებს და გვაფრთხილებს: “ხოლო შენ ფრთხილ იყავ, შვილო, საყვარელო, რევ, ვითარცა უწყებულ ვართ წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინოსაგან, მცნებანი მისნი დაიმარხნე და თავი შენი შეკვედრე სუეტსა მას ზეგარდამო დიდებულსა და ჯვარსა პატიოსანსა...”; ანდერძში მეფე ერთ-ერთ პირველ მოვალეობად გვიდებს წმიდა ნინოს, “ქვესკნელიდან ჩვენს აღმომყვანებელის” პატივსა და დიდებას და რათა თავი შევავედროთ და მივანდოთ “სუეტსა მას ზეგარდამო დიდებულსა და ჯვარსა მას პატიოსანსა...”

“და აღესრულა მირიან მეფე და დაეფლა ზემოსა ეკლესიასა, საშუალსა სუეტსა სამხრითსა ჩრდილოთ კერძო და მას სუეტსა შინა არს ნაწილი ღუთივადმართებულისა მის სუეტისა და მეორესა წელსა მოკვდა ნანა დედოფალი და დაეფლა მასვე სუეტსა, დასავლით, სადა მირიან მეფე დამარხულ იყო” (“საქართველოს სამოთხე”).

პირველი ღმრთივეგვირგვინოსანი მეფე მირიანის და ნანა დედოფლის ღვაწლი ქართულ, ბიზანტიურ და სხვა წყაროებში აღწერულია და განდიდებული. ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის წინაშე გაწეული დაუცხრომელი ღვაწლისათვის, წმიდა ეკლესიამ ისინი წმიდათა დასში შერაცხა და მოციქულთასწორად სახელდვა: საქართველოს ქრტიანული სახელმწიფოს დამყარებისათვის;

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დამტკიცებისათვის; მართლმადიდებელი ერის ერთობისათვის (ბიზანტიასთან ურთიერთობა) გაწეული ღვაწლისათვის;

მოციქულთასწორ წმიდა ნინოს თაყვანისცემის დადებისათვის; საქართველოში ჯვრის დღესასწაულის დაწესებისათვის; უდიდესი ქრისტიანული სიწმიდეების მოხვეჭისათვის; საუფლო კვართის პირველშემოსვისათვის და პირველ ტაძართა შენებისათვის; იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწის ნაკვეთის მოხვეჭისათვის;

წარმართული ცდომილების აღმოფხვრისათვის; მართლმადიდებელი სარწმუნოების კავკასიაში გაგრძელებისათვის; ქართული სულიერ-კულტურული წეს-ჩვეულების, ცნობიერების ჩამოყალიბებისა და მისი ისტორიის წარმართვისათვის საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მოციქულთასწორთ წმიდა მეფე მირიანს და ნანას მაღლობით უგალობს და აღიღებს:

**„მოციქულთასწორნო წმიდანო, მეფე მირიან და დედოფალი ნანა,**

**ევედრენით მოწყალესა ღმერთსა,**

**რათა ცოდვათა შენდობა მოგვანიჭოს**

**და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა”** (ტროპარი).

**„იხარებს მეფობაი ქართლისა დღესასწაულსა შენსა, ნეტარო მირიან, რამეთუ საცთური ბნელისა მოიძულე და განასპეტაკე ნათლითა ღვთაებისათა;**

**ვინაცა შემდეგ ჭეშმარიტებისასა, ნინოს ნიშთა მიერ მის მიერთთა იმოდვრე და ერი შენი მიჰგარე ქრისტესა, რომელსა ევედრე ჩვენ ყოველთათვის.”** (კონდაკი).

ბიბლიოგრაფია

1. „ქართლის ცხოვრება“ 1955.
2. ... ძეგლები, I 1963.
3. მ. საბინაშვილი „საქ. სამოთხე“ 882.
4. „წმიდა ნინო“, კრებული I 2008, თბ.
5. Натроев, А. - “Мцхет и его собор Светицховели”.
6. “Пастырь”, 1988.

...

**მარიამ ნიაურცი**

# წმიდა აბიბოს ნაქრისელი

(„აბიბოს ბრძენსა – ნათლისა ძესა“)

VI საუკუნის ივერიაში შუამდინარეთიდან სამოღვაწეოდ მოვლენილ ასურელ ბერებს ქრისტეს რჯული უნდა განემტკიცებინათ ახლადმოქცეულ ქვეყანაში. „ესე ვითარნი ქუეყნისა ანგელოსნი, ნათელნი სოფლისანი, სავსენი ნელ-საცხებელითა, რომლითა თვსთა სიმხნითა განაშვენეს სოფელი ჩვენი“, - გვაუწყებს მემატიაზე წმიდა მამათა შესახებ, რომელთა სახელები უკავშირდება საქართველოში დიდი სამონასტრო კოლონიზაციის, ინტენსიური მისიონერული მოღვაწეობის დასაწყისს, მძლავრი სამეცნიერო-კულტურული კერების შექმნასა და ორიგინალური აგიოგრაფიული თუ ჰიმნოგრაფიული მწერლობის აღმოცენება-განვითარებას.

საქართველოში ჯერ კიდევ I საუკუნეში წმიდა მოციქულების - ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელისა და მატათას მიერ იქნა ქრისტიანობა ნაქადაგები და IV საუკუნის 20-იან წლებამდე ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე ქართლში ოფიციალურ რელიგიად არ გამოცხადდა მოციქულთასწორის წმიდა ნინოს მოღვაწეობით და ასევე მოციქულთასწორ მეფე-დედოფლის - მირიანისა და ნანას შემწეობით. IV ს-ში ქრისტიანობა საქართველოში უკვე ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა, თუმცა ამ აღმასვლამ დიდხანს ვერ გასტანა მტრის ფიზიკური თუ სულიერი მძლავრობის გამო. სპარსელთა შემოსევებმა, რომლის მიზანი ახლადმოქცეულ ქვეყანაში ქრისტიანობის აღმოფხვრა და ზოროასტრიზმის აღმოცენება გახლდათ, სერიოზული საფრთხე შეუქმნა ჭეშმარიტ აღმსარებლობას. ღმრთისმშობლის წილხვედრ ივერიაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ საჭირო გახდა „ასურელ მამათა“ საქართველოში საქადაგებლად გამომგზავრება.

ძველი წყაროების მიხედვით, მოღვაწე მამები „ათორმეტნი ან ათსამეტნი“ იყვნენ, ზოგიერთი წყაროს მიხედვით უფრო მეტნიც, როგორც ჩანს ქრისტესა და მისი 12 მოციქულის ანალოგიით.

ლიტერატურული წყაროებისა თუ საისტორიო თხრობათა მიხედვით, ქართლში სირიელ მოღვაწეთა შემოსვლის დროზე, მათ რაოდენობაზე, ეროვნულობაზე, ქართლში მოსვლის მიზეზებსა და მიზნებზე სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გავრცელებული. მკვლევართა ნაწილი ქართლში მისიონერ მამათა მოსვლას ათარილებს VI საუკუნის

დასაწყისით, უმრავლესობა - VI საუკუნის შუა ხანს უჭერს მხარს. უკანასკნელად, მამათაგან, აბიბოს ნეკრესელი შემოსულა - 571 წელს.

ასურელ მამებს წმიდა მამა იოანე, შემდეგში „ზედაზნელად“ წოდებული წინამძღვრობდა, განსწავლული ანტიოქიის იმ საგანმანათლებლო სკოლაში, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები ქრისტიანულ სამყაროში აღიარებული წმიდა მამები: კირილე იერუსალიმელი, იოანე-ოქროპირი, ნეტარი თეოდორიტი კვირელი გახლდნენ.



მინიატურა. ხელნაწერი H 2077

მემატიაწის ცნობით, ქართლის საზღვრებს მოახლებულმა მამებმა „ფეხდაულტობლად“ გადალახეს მდინარე და მცხეთაში შევიდნენ... ქართლის მეფე ფარსმან VI-ს და კათოლიკოს ევლავიოზს უფლის ანგელოზის ბაგით ეუწყათ შუამდინარეთს „აღმობრწინებულ“ მამათა საქართველოში მობრძანების შესახებ და მოწოდებით შეეგებნენ მათ. ნეტარმა იოანემ „წამსა შინა ისწავა ენა ქართველთა სულისა წმიდისა მიერ“ და ქართულად მიესალმა მეფესა და მის თანმხლებ კრებულს.

უფლის ანგელოზის მიერ ხელდასხმულმა თორმეტმა რჩეულმა მამამ (რომელთა შორის მოიაზრებიან: დავით გარეჯელი, შიო მღვიმელი, ანტონ მარტყოფელი, ისე წილკნელი, აბიბოს ნეკრესელი, იოსებ ალავერდელი, თადეოზ სტეფანწმიდელი, ზენონ იყალთოელი, პიროზ ბრეთელი, მიქაელ ულუმბოელი, სტეფანე ხირსელი და

ისიდორე სამთავნელი) ევლავიოზ კათოლიკოსის (552-560 წწ.) კურთხევითა და წმიდა იოანე ზედაზნელის წინამძღვრობით ზედაზნის მთას მიაშურა და იქ დასახლდა, სადაც ადრე ზადენის კერპი იყო აღმართული... სიმბოლური და ღვთის ნების გამოხატულება იყო ქრისტიანული სარწმუნოების მცველ მამათა ზედაზნეზე დასახლების ფაქტი.

ზედაზნის მთაზე მცირე ხნის მოღვაწეობის შემდეგ, წმიდა იოანე ზედაზნელს ღმრთისმშობლისაგან ეუწყა, მასთან მოღვაწე მამები საქადაგებლად დაექსაქსა „ქართლად“ და „კახეთად“. მათ შორის ნეტარი მამა აბიბოსი - ნეკრესს. აბიბოსი თავისი ნების წინააღმდეგ დამორჩილდა კათოლიკოსისა და მოძღვრის კურთხევას და საეპისკოპოსო დეაქლით შეიმოსა... „იქმნა ეპისკოპოს, მწყემსი გადმხრისა დიდოთურთ. ამან მოაქცინა უმრავლესი მთიულნი“, - კეითხულობთ ვახუშტისაგან „ქართლის ცხოვრებაში“.

ძველი წყაროებით ნეკრესი ქალაქს წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთს, ყვარლის ახლოს. ლეონტი მროველის ცნობით, ფარნაჯომ მეფემ “იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არ ნეკრესი...” ვახუშტის ქრონოლოგიით ფარნაჯომი მეფობდა 112-193 წწ. ე.ი. ძველი ისტორიოგრაფიით ნეკრესს საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანობის წინარე ხანაში, ნეკრესი შემდეგ მეფე არშაკ მირვანის ძეს გაუშენებია. IV ს-ში, მეფე მირიანის მეფობაში მისმა მამამძუქე “მირვანოზ ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყოველთასა მოამტკიცნა ზღუდენი ნეკრესისა ქალაქისანი” (“ქართლის ცხოვრება”).

ქრისტიანობის გავრცელების ახლო ხანებში ნეკრესს ეკლესია აუგიათ. “თრდატ მეფემ ნეკრესს კახეთისასა ეკლესიაი აღაშენა განსრულებით” (“მოქცევაი ქართლისაი”). ამ ფაქტს ლეონტი მროველიც ადასტურებს. ვახუშტი დასძენს: “თრდატმა აღაშენა ეკლესია დიდშენ, გუმბათიანი”. ამრიგად, ქართული წყაროებით ნეკრესში ეკლესია აუშენებიათ IV საუკუნის მესამე მეოთხედში. დღემდე შემორჩენილი ნეკრესში ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული ანსამბლი.

ნეტარი მამის მღვდელმთავრობა ნეკრესში მძიმე პერიოდს დაემთხვა. აგიოგრაფის ცნობით: “დაეპყრა ქართლი სპარსთა მეფეს და ბილწსა მას მსახურებასა აღასრულებდა, ვითარცა ესწავა ბოროტთა მასწავლელისა მათისა ეშმაკისაგან...” მაზღვანობა ფართოდ იყო მოდებული არამარტო ამ კუთხეში, არამედ მთელს აღმოსავლეთ საქართველოში. ყველგან ბომონები იყო აღმართული ჩაუქრობელი სარიტუალო ცეცხლით, რომელიც სპარსელებს ღმერთად შეეცხათ და ქართველებსაც თავიანთ ბოროტ მსახურებაში მონაწილეობას აიძულებდნენ, “მრავალთა დაუმტკიცებელთა სარწმუნოებასა და ნაკლულევანთა გონებითა შეაცდუნებდეს”, - გვამცნობს მემატეიანე.

საქართველოში ურჯულ კერპთაყვანისმცემელთა ასეთი მძლავრობა ქრისტიანობის დასუსტება-აღმოფხვრასა და ზოროასტრიზმის აღორძინებას ემსახურებოდა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ივერიელთა ჭეშმარიტ აღმსარებლობას. ყოველივე ამის მხილველი ნეტარი ეპისკოპოსი აბიბოსი “აღიძრა შურითა საღვთოითა”. მან მკაცრად გაილაშქრა მაზღვანთა წინააღმდეგ: “დალეწნა კერპნი და უღმრთოთა მათ არწმუნა ქრისტე და ნათელ-სცა მათ”. ნეტარმა მღვდელმთავარმა მოგვთა მიერ ღმერთად აღიარებული ცეცხლიც შეურაცყო... “...მივიდა მახლობლად უცხოისა მის სამსახურებელისა მათისა, დაასხა წყალი და ხენეში იგი ცეცხლი მათი დაშრიტა...” ამით მან მაზღვანთა უმეტრება და მზაკვრობა ამხილა, რომელიც თავის მხრივ, იესოს მიერ უკეთურებისათვის მხილებულ მწიგნობართა და ფარისეველთა დარად აღიძრნენ, რათა მოეკლათ იგი... აღშფოთებულებმა ნეტარი მამა შეიპყრეს და “ესოდენ გვემეს, ვიდრედ სიკვდიდ საგონებელ იყო ნეტარი იგი”. ნაგვეში ეპისკოპოსის საპრობილემოში ჩააგდეს, ეს ამბავი კი სპარსეთის მარზპანს აცნობეს, რომელიც იმ დროს ზენას სოფელს რეჰსს იმყოფებოდა. მარზპანმა აბიბოსის მასთან მიყვანა ბრძანა...

ღირს სვიმეონს - ანტიოქელს, მღვდელთმოძღვრის მეგობარს, “რომელთა შორის შესწავება იყო მხოლოდ



მინიატურა. ხელნაწერი S - 4978

წიგნითა და მოციქულითა...” ღვთისაგან ეუწყა აბიბოსის მომავალი წამების შესახებ და გზად, სოფელ იაღლოსთან წამებად გამზადებულ ნეტარ მამას ეპისკოლე, ევლოგია და კვერთხი გაუგზავნა მოციქულის ხელით. ქრისტესმიერი ძმის ძღვენმა გაახარა და კვლად გააძლიერა ტანჯვა-წამებად გამზადებული ახოვანი მოღვაწე... იქვე, გზად ქართველებმა მღვდელმთავარს შესთავაზეს: “უკეთუ არა გნებავს წარსვლის, უკუნგაქციოთ ყოველადვე შენდა”. ნეტარმა მამამ უარყო მტარვალთა ხელიდან განთავისუფლების იდეა, “...რამეთუ სუროდა მარტვილობად ქრისტეისთვის...” და ამისათვის მზადაც იყო.

უფლისგან “სუფევად გამზადებულმა” მამამ წმიდა შიოს ნახვის ნება გამოსთხოვა მტარვალებს, “რამეთუ იცოდა იგი წინაითვე და სურვიელ იყო ხილვად მისსა”. თანხმობის მიღების შემდეგ, მივიდა “უდაბნოდ და იხილა ნეტარი იგი ბერი”. წმიდა მამებმა ურთიმოთხოვითხვის შემდეგ, ილოცეს. წმიდა ეპისკოპოსმა სასწაულმოქმედ მეუდაბნოეს სთხოვა ელოცა მისთვის, “რამეთუ უსჯულონი ესე სპარსნი განმეინდეს... ამპარტავენებითა თვისითა... ბადე განაგდეს და შეაყენეს კაცნი და თავყვანიაცემინეს ცეცხლსა...”

“არაუმეტარ არს სიწმიდეი შენი, რამეთუ მრავლითა ჭირითა გვიღირს შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა... ნუ შეძრწუნდები მათისა მისგან მძლავრებისა, ვინაითგან იტყუის მოციქული მაჭირვებელთა თქვენთა - ჭირი, და თქვენ ჭირვეულთა - ლხინი, უწყოლი, რამეთუ მათი შენ დიდება გექნეს წარუვალ და ჭირი ევე შენი მათ - დაცემა და განბნევა”.

წმიდა ბერისაგან ამ სიტყვებით სულიერად კიდევ უფრო განმტკიცებული ნეტარი აბიბოსი მხნედ წარსდგა უსჯულო მარზპანის სამსჯავროზე. “რასათვის უვარ-ჰყავ უფლები მეფეთ-მეფისაი და მოჰკალ ღმერთი ჩვენი?” - მრისხანედ ჰკითხავდა მარზპანი ნეტარ მღვდელთმსახურს. “მე არავინ ვიცი მეუფელ,

გარნა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ხოლო ცეცხლი იგი, რომელ დავშირტე, რაითამცა საცთური განვაქარვე ეშმაკისაი”, - არ შეუშინდა ნეტარი აბიბოსი გამძვინვარებულ მარზპანს. უფრო მეტიც, წმიდა მოწამემ არ უარყო თავისი მოქმედება, პირიქით, მოუწოდა მარზპანს: “გლოცავ რაითა განეყენენ უნდოსა მას მსახურებასა და ქვეყნის შემოქმედი ღმერთი მხოლოი იცანთ... რამეთუ წერილ არს - უფალსა ღმერთსა თაყვანისსცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდეთ...”

ასეთი პასუხით გაგულისებულმა მარზპანმა მიმართა აბიბოსს: “მე გკითხავ რაისათვის მოჰკალ ღმერთი ჩვენი და შენ გნებაეს, რაითამცა შენისა ღმერთისა წარგუიყვანეი”. ნეტარი მამა მშვიდად უხსნის მაზღეანს, რომ მას ღმერთი არ მოუკლავს, მხოლოდ ცეცხლი ჩააქრო. “არა არს იგი ღმერთი, არამედ სხვა ბუნებათაგანი არს, ერთისა ნივთისაგანნი მცირედ ნაწილი,



რომლითგან აღჰმართან ღმერთმან სოფელი ესე”. აღნიშნულ საკითხზე გამართული მსჯელობა ჭეშმარიტ ქრისტიანსა და წარმართ მოძალადეს შორის დიდ ფილოსოფიურ და რელიგიურ დატვირთვას იძენს იმ იდეოლოგიურ ბრძოლაში, რომელიც გააფთრებით მიმდინარეობდა იმ პერიოდის საქართველოს სინამდვილეში, ახალფეხადგმულ ჭეშმარიტ სარწმუნოებასა და ზოროასტრიზმს შორის.

“აწ მიკუთრს თქვენი ესევითარი სიცოფე, ვითარ არა სირცხვილ გინნს სახელის დებად ღმერთად, რომელსა ესეოდენი სული აქუს?” - მიმართა ნეტარმა ეპისკოპოსმა უსჯულოთ. ქრისტეს უშიშარი მხედარი მრავლისა გვემისა და საკვირველითა ტანჯვისათაითა “ქვითა განტვინეს”, როგორც ზაქარია წინასწარმეტყველი, წმიდა იოანე ნათლისმცემლის მამა...

ოღითგანვე დიდი იყო საზოგადოებრიობის ინტერესი მისიონერი მამების ცხოვრება-მოდგაწილებისადმი. ავიოგრაფები, პიმიოგრაფები და მემატრიანეები ხოტბას ასხამენ “ღვაწლთა” და “ვაებათა” წმიდა მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელისას. სამწუხაროდ, უადრესს ტექსტებს ჩვენამდე არ მოუღწევია, საქართველოს ავბედითი ისტორიის გამო.

ცალკე თხზულებას აბიბოს ნეკრესელზე, რომელიც VI-VII სს. უცნობ ავტორს ეკუთვნის, ჩვენამდე არ მოუღწევია. შემორჩენილია ქართლის კათოლიკოსის

არსენ დიდი საფარელის (IX ს.) მიერ ამ თხზულების საფუძველზე შედგენილი აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებისა და მარტვილობის ტექსტი.

აბიბოს ნეკრესელის მოქალაქობისა და წამების წიგნი მოღწეულია ორი რედაქციით, ვრცელი და მცირე რედაქციით. მკვლევართა შორის საკითხი ამ რედაქციების, ავტორთა ვინაობის, მათი შექმნის დროისა და ურთიერთმიმართებისა, რადიკალურად განსხვავებულია. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, პირველი რედაქცია მოღწეულია მხოლოდ ერთი დეფექტური ნუსხით და დათარიღებული XIII -XIV სს. (ხელნაწერი A 832). მეორე რედაქციაში შესულია მეტაფრასული რედაქციის ტექსტები, რომლებიც მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერით (A 130, 170, 173, 210) აღნიშნულ ხელნაწერთა ტექსტები ფასდაუდებელი განძია არამარტო წმიდა მღვდელმთავრის ცხოვრება-მარტვილობის შესასწავლად, წმიდა ლიტურატურულ-ტექსტობრივი თვალსაზრისით, არამედ იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესწავლის მიზნით.

\* \* \*

„ვაქებდეთ კაცთა დიდებულთა მამათა ჩუენთა“- შეგვაგონებს ანტონ I თავის სიტყვაში: შესხმა „ღუ[ა] წლთა და ვებათა წმიდისა აბიბოს ნეკრეს ქალაქის ეპისკოპოსისა“-დმი. (ხელნაწერი S3638, ანტონ I, „მარტირიკა“, 1799). აღნიშნულ სიტყვას წინ უძღვის იამბიკო სათაურით: „აბიბოსათვის“:

**„აბიბოს ბრძენსა, მცხინუარედ აღმომზესა,  
ნათლისა ძესა, ენებათა ზესთა ზესა,  
გონება დღესა, ცნობათა განმადღესა,  
ბრკმულთა მაგესა, მადლ მადენს ბაგესა,  
მმარხუიელთა მზერა, უძღუნი დღეს  
შესხმა ლექსსა.“**

\* \* \*

უბიწო მღვდელმთავრობისა და მხნე მოწამის ღვაწლით “ორითა გვირგვინითა” გამშვენებული ჰბრწყინავს ნეტარი ეპისკოპოსი აბიბოს ნეკრესელი ქართველ მოწამეთა დასში. იგი მარადის მეოხია სრულიად საქართველოს კათოლიკე-სამოციქულო ეკლესიისა, სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრისა, სადაც ფერისცვალების ტაძრის საკურთხეველის წმიდა ტრაპეზის ქვეშ განისვენებს ნეტარი მოწამის უხრწნელი ნაწილები, “ვითარცა ძღვენი სამსხვერპლო” და მისგან მომდინარე კეთილსუნუნელება ნელსაცხებელივით ეფინება მოწამეთა სისხლით გაჟღენთილ საქრისტიანო საქართველოს მადლმოსილ მიწას.

ვევედროთ უფალს ჩვენსას იესო ქრისტეს და წმიდა მოწამე აბიბოს ნეკრესელს ღირს ვიყვნეთ ჩვენც მიბაძვად სათნოებათა მათთა...

ბიბლიოგრაფია:

1. ს. ყუბანეიშვილი, „ძვ. ქართ. ლიტ...“ თბ. 1946.
2. ილ. აბულაძე, „ასურელ მოღვაწეთა...“, თბ.; 1955წ.
4. ... ძეგლები; I. თბ.; 1963.
5. მ. საბინინი, „საქართველოს სამოთხე“. 1882.
6. ლ. მენაბდე „ძვ. ქართ. მწერლობის კერები“. ტ. I. თბ. 1961.

ციალა (ნანა) გაგნიძე

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მხნეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II და სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი

სამთავროს ფერისცვალების წმიდა ნინოს დედათა მონასტრის გვიანდელი ისტორია მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება, რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ. როდესაც მცხეთაში სამთავროს საეპისკოპოსო და მასთან არსებული მონასტერი მოშალეს, მლოცველთაგან დაცლილ “მაყვლოვანში” მოშურნე დედებმა დაივიწყეს



უწმიდესი და უნეტარესი ილია II მშობლებთან: მამა – გიორგი, დედა – ნატალია მხატვარი დ. მორგოშია

და სამონასტრო ცხოვრება კვლავაც ააღორძინეს. მათ მიერ დანთებული ლოცვის ლამპარი აღარასოდეს ჩამქრალა და უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე წმიდა ნინოს დედათა მონასტერი საქართველოს სამონასტრო ცხოვრებაში დიდ ღვაწლს ადასრულებდა; XX საუკუნის ბოლოს სამონასტრო ცხოვრების აღდგენა ამ მონასტრიდან დაიწყო და ამიტომაც ეწოდა მას “დედა მონასტერი”.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია თითქმის ორი საუკუნე იბრძოდა ღმრთივ-მინიჭებული ადგილობრივი სამოციქულო ეკლესიის უფლება-მოვალეობის აღსადგენად და მრავალთა და მრავალი ღვაწლის შემდგომ საქართველოს ავტოკეფალიის საბოლოოდ აღდგენაც, სამთავროს ფერისცვალების ტაძარს და “მაყვლოვანს” დაუკავშირ-

და, რამეთუ აღმასრულებელი ამ საღმრთო განგებულებისა იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II, რომლის ღვაწლიც უშუალოდ არის დაკავშირებული წმიდა ნინოს სამთავროს მონასტერთან: “ჩემი სულიერი ცხოვრება, სულიერი მოღვაწეობა და სულიერი ზრდა ამ მონასტერში დაიწყო... მე აქაურმა დედებმა გამზარდეს, ამ ადგილმა გამაძლიერა”. – ბრძანებს მისი უწმიდესობა (“საპატრიარქოს უწყებანი” 1999 №31).

სამთავროს წმიდა ნინოს მონასტრის იღუმენია ზოილემ სამი დღის ყრმა მიირქვა და არქიმანდრიტმა ტარასიმ (შემდგომ წილკნელი ეპისკოპოსი) ქრისტეშობის დღესასწაულზე წმიდა ნინოს ტაძარში მონათლა მომავალი პატრიარქი. ნათლულს მონაზონმა ზოილემ ირაკლი უწოდა, სახსენებელად მეფე ირაკლისა.

მშობლებს ხშირად მიჰყავდათ მონასტერში ყრმა ირაკლი ნათლიასთან, იღუმენია ზოილესთან, რომლის ხელმძღვანელობითა და მონასტრის სხვა დედათაგან განისწავლებოდა და განიმსჯელებოდა სამონასტრო ცხოვრების სულისკვეთებით. საქართველოს მომავალმა მამამთავარმა სამთავროს მონასტერში სამი წლის ასაკში მიიღო იმ დროს მოღვაწე კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს ლოცვა-კურთხევა. სულიერი ცხოვრების პირველსიყვარულის სამუდამო კვალით აღიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის სსოფნაში სამთავროს დედათა მონასტერი. ქალბატონ ნელი შიოლაშვილის (უწმიდესის ბიძაშვილი) თქმით, მან “ჯერ კიდევ II წლის ასაკში გადაწყვიტა, უფლის გზას შედგომოდა ...”



პირველ რიგში: უწმიდესი და უნეტარესი ილია II, არქიმანდრიტი გაბრიელი, უწმიდესის ნათლია, იღუმენია ზოილე, მონაზონი ეფემია. მეორე რიგში: შემდგომში იღუმენია ანა (აჭაიძე), შემდგომში სქემმონაზონი სუსანა და სხვ.



უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II (სიღამონიძე),  
უწმიდესი და უნეტარესი ილია II სამთავროს  
ფერისცვალების მონასტრის დედაბაბა

რუსეთის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის ბრწყინვალედ გასრულების შემდეგ, მომავალი პატრიარქის სულიერი აღმასვლა ბერად აღკვეცით აღიბუჭდა.

როგორც უწმიდესი მოგვითხრობს: “სასულიერო აკადემიის დასრულების შემდეგ თითქმის ოთხი თვის განმავლობაში ვიმყოფებოდი სამთავროში. სწორედ აქ შედგა ჩემი სულიერი მზადება მომავალი მოღვაწეობისათვის”.

იმხანად მღვდელმონაზონი ილია თითქმის ყოველ კვირას ატარებდა სამთავროს მონასტერში წირვა-ლოცვას და იგი აქ საღმრთო გამოცხადების საიდუმლოს ეზიარა, რომელიც მისმა უწმიდესობამ მონასტერში ქადაგების დროს გაანდო დედას:

“პატრიარქ ეფრემის დროს... იყო ასეთი შემთხვევა: მე მქონდა ფიქრი, როგორია სიახლოვე უფალთან, ადამიანსა და ღმერთს შორის? მე მაშინ ეს არ ვიცოდი (არც თქვენ იცით, რა თქმა უნდა). და აი, ერთხელ დაიწყო წირვა... საღიაკენეში დედა ეფემია (ხიზანიშვილი) შემოდითა, იმას მოჰქონდა მღუღარება (ლოცვა-კურთხევა ჰქონდა ამისა); სახარება წავიკითხე... და კითხვის დროს ჩემ უღირს თავზე მაღლი გადმოვიდა. წირვას ვასრულებდი; წირვა არ შემშლია, ყველაფერს ისე ვკითხულობდი, როგორც წერია, მაგრამ უკვე ვერაფერს ვხედავდი, მარტო უფალი იყო ჩემს წინ... არაფერი არ უთქვამს ჩემთვის, მაგრამ მისი ყოფნა ძალიან სასიხარულო იყო. აღუწერელი სიხარული დამეუფლა და სიყვარული უფლისა. ვერც დედას ვხედავდი, ვერავის – უფალი იყო და მე ვიყავი...”

და როცა დედა ეფემიამ მღუღარება შემოიტანა, “მამაო ჩვენოს” შემდეგ, იმ წუთს ვივარძენი, რომ ტაძარში ვარ, მონასტერში და მაშინ ამ სიახლოვემ... ისეთია ეს სხეული, ვერ იტანს უფალთან სიახლოვეს, არ შემეძლო არც ჭამა, არც დაღევა და ვიწქი და მთელი დღე ვიწქი. ეს იყო ასეთი დალოცვა მომავალი ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. დიდება უფალს! აი, ასე დაიწყო ჩემი ცოდვილი თავის მოღვაწეობა...

ღმერთმა ძალა მოგცეთ და მაღლი... ეს იყო ისეთი მაღლი, რომელიც მე არ განმიცდია მას შემდეგ არც ერთ დღეს. მინდა ვთქვა, რომ უფალთან სიახლოვე

მძიმეა, რადგან ჩვენ მაინც მიწიერი და ხორციელი ვართ. ამიტომაც იყო, რომ წირვის შემდეგ მარტოდ დარჩენილი ნეტარებაში ვიყავი, მაგრამ ფიზიკურად დაუძღვრებული და არც ჭამა არ შემეძლო. მაღლი რა თქმა უნდა ყოველ წირვაზე და ლოცვაზე გადმოდის, მაგრამ ეს იყო განსაკუთრებული და ვმადლობ უფალს, რომ ეს აქ მოხდა. ეს მაგალითი იმისთვის მოგიყვანე, რომ უფალმა აქ მომცა ის პირველი მაღლი, რომელიც შემდგომში ჩემი თანამგზავრი უნდა გამხდარიყო. ეს იყო 1960 წელს, ანუ 44 წლის წინ. “

სამთავროს დედათა მონასტერთან უწმიდესისა და უნეტარესის უხილავ სულიერ კავშირს გვაუწყებს კიდევ ერთი ფაქტი:

მაშინ მისი უწმიდესობა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი იყო და მცხეთის სასულიერო სემინარიის პირველი რექტორი. მონასტრის მცირე სენაკში ყოფნისას მან ვახტანგ გორგასლის წინასწარმეტყველური ჩვენება იხილა: მეფემ ჯერ კიდევ მიტროპოლიტი ილიას თაყვანი სცა და ხელზე ეამბორა;.. და თუ საქართველოს ისტორიიდან გავიხსენებთ, რომ სწორედ წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი არის საქართველოში პირველი კათოლიკოსის გამომთხოვნელი და ჩამომყვანებელი და საქართველოს ეკლესიის



უწმიდესი და უნეტარესი ილია II, იღუმენია ქეთევანი,  
არქიმანდრიტი ლაზარე,

აგტოკეფალიის მომპოვნელი (აგრეთვე, უწმიდესი ილია II-ის წინაპრის შიოლას ნათლია), მაშინ მეტად ნიშანდობლივი ხდება “ბოლო უამის” პატრიარქობაზე თქმულიც...

სამთავროს ფერისცვალების ტაძრიდან მოციქულთასწორთა წმიდა ნინოს, წმიდა მეფე მირიანისა და წმიდა ნანა დედოფლის მიერ ლოცვებით გაძლიერებული მღვდელმონაზონი ილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ჯვარს იტვირთავს და საქართველოს ხელახალი ფერისცვალების ღვაწლს შეუდგება... მისმა უწმიდესობამ კატაკომბურ პირობებში მყოფი დევნილი და ხმამიღებული საქართველოს ეკლესია იტვირთა.

უწმიდესი ილია II-ის უშუალო წინამძღოლობით იწყება სამთავროს მონასტრის აღდგენა. ძველი თაობის ბოლო იღუმენიას, დედა ანას (აჭაიძე) გარდაცვალების შემდეგ მისმა უწმიდესობამ 1988 წელს იღუმენიად აკურთხა და მონასტრის წინამძღვრად გამოარჩია დედა ქეთევანი (კოპალიანი), რომელიც

პატრიარქის უშუალო მორჩილებით განისწავლებოდა; ხოლო სამონასტრო ცხოვრების წეს-განგების შესასწავლად უწმიდესმა იგი პიუხტიცის დედათა მონასტერში გააგზავნა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მონასტერში ცხოვრება-მოღვაწეობის კურთხევა მისცა მღვდელ-მონაზონ გაბრიელს (შემდგომში არქიმანდრიტი), ძველი საბერძნეთის სკოლის მემკვიდრეს, რომელიც დიდად შეეწოდა სამთავროში მოღვაწე დედებს. იღუმენია ქეთევანი მამა გაბრიელის განსაკუთრებულ სულიერ შეწევნაზე მრავალს მოგვითხრობს და იხსენებს, თუ რა დიდი სიყვარულითა და პატივით ხვდებოდნენ ერთმანეთს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და ღოცვით დამაშვრალი ბერ-მონაზონი მამა გაბრიელი.

იღუმენია ქეთევანს წილად ხვდა მონასტერში ახლად შედგომილთა წარმართვა-განმტკიცების მძიმე დეაწლი. მისი გადმოცემით, უწმიდესი და უნეტარესი არა მარტო სწავლიდა და ხელმძღვანელობდა მას, არამედ იგი, როგორც მზრუნველი მამა, ყოველგვარ განსაცდელში გვერდით ედგა, ხილულად თუ უხილავად და დაადგინებდა, ამხელდა და განადგიერებდა წინამძღვრის ურთულეს მოვალეობაში, რომელიც დედა ქეთევანისათვის განსაკუთრებით მძიმე იყო მისი წინამძღვრობის პირველ წლებში, როცა მონასტერი ახლად ყალიბდებოდა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ჯერისამებრ პატივჰყო იღუმენია ქეთევანის თავდადებული დეაწლი და ერთგვის გამშვენებული ჯვარი და პარამანი უბოძა, ხოლო 2006 წლის 24 აპრილს იგი გამშვენებული ოქროს ჯვარით დააჯილდოვა და აღნიშნა, “მინდა გითხრა, რომ ეს მონასტერი არის დედა მონასტერი, იმიტომ რომ აქედან გაიშალა საქართველოში ახალი მონასტრული ცხოვრება. და თქვენ ხართ მისაბაძი მაგალითი მათთვის. მე გავითვალისწინე ამ მონასტრის დამსახურება და ნიშნად მადლიერებისა, დედათა მონასტრის იღუმენია ქეთევანი მინდა დავაჯილდოვო სამთავროს მონასტრის განსაკუთრებული პატივის ნიშნით – მეორე ჯვარის ტარების უფლებით და გადაეცა მას გამშვენებული ჯვარი”.

იღუმენია ქეთევანი იმასაც აღნიშნავს, რომ მისი უწმიდესობა კვლავაც შეახსენებს მას საბერძნეთისა და ზოგადქრისტიანულ საზრუნავზე, სულის უკვდავებისათვის ზრუნვაზე, სამუდამო სამყოფელზე: სულ ახლახანს, სამთავროს ჯერისამებრ მოხილვა-მოლოცვის შემდეგ, მისმა უწმიდესობამ ჰკითხა დედა იღუმენიას:

– იცი შენი ადგილი, სადაც უნდა დაიმარხო?

მცირედი დუმილის შემდეგ სამთავროს მონასტრის წინამძღვარმა მიუყო:

– სადაც მაკურთხებთ, თქვენო უწმიდესობავ.

უწმიდესი ფერისცვალების ტაძრის მარჯვენა კედელთან, ძველი მონაზვნების საფლავებთან შედგა და მიუთითა:

– აი, აქ! – შემდეგ კი სიკვდილისათვის ბერ-მონაზვნის მზაობის ნიშნად, უწმიდესმა ილია მეორემ სახედ ანდერძისა აღმოთქვა: – იცი, მე სად უნდა დავსაფლავდე? – სიონში, ბოლოში, იქ, სადაც აშუამად მაცხოვრის გარდამოხსნაა დაბრძანებული.

უწმიდესის ღოცვა-კურთხევით სამთავროს მონასტერს დაუბრუნდა კუთვნილი ისტორიული ნაგებობა-ტერიტორიები, სადაც მონაზონთა საცხოვრებელი

სენაკები განთავსდა; მნიშვნელოვნად განახლდა და რესტავრაცია ჩატარდა ფერისცვალების ტაძარსა და წმიდა ნინოს სამლოცველოს; გამშვენდა და გემოვნებით მოეწყო წმიდა მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის განსასვენებელი. მონასტერში მაღალპროფესიული მგალობელთა გუნდი ჩამოყალიბდა; კეთილმოეწყო მონასტრის ტერიტორია, მონაზონთა საცხოვრებელი გარემო; აღორძინდა სასანთლე, სამხატვრო, სამკერვალო და სხვა სახის სახელოსნოები... მონასტერი მუშაობს ცალკეულ გამოცემებზე და დღეისათვის მომზადებული აქვს პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე შესრულებული, აკადემიური გამოცემა “სამთავრო”, აგრეთვე მოგონებათა წიგნი ბერ-გაბრიელზე – “ბერის დიადემა”; მზადდება მონასტრის ინტერნეტ ვებგვერდი. მონასტერში ყოველგვარ მნიშვნელოვან სარემონტო-სამშენებლო თუ სხვა სახის საქმეებს იღუმენია უწმიდეს ილია II-სთან ათანხმებს.

განსაკუთრებული სიფიხილით წარმართავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მონასტრის დედათა სულიერ ცხოვრებას და მათი ცხოვრების წეს-განგების ტიპიკონს განკარგავს. იგი მონასტრის სულიერი წინამძღვარიც არის.

მონაზონთა კურთხევა უწმიდესის ღოცვა-კურთხევით აღესრულება. მონასტრის იღუმენია წარუდგენს სათანადო კანდიდატებს. უწმიდესი გამოიკითხავს მონასტერში მათი ყოფნის ხანგრძლივობას, სულიერებას და დასძენს ხოლმე: “მორჩილებისა და სიმდაბლის გარეშე, მხოლოდ კაბის კურთხევით, ვერავინ ცხოვნდებაო”; ხოლო ერთ-ერთი სამონაზვნისათვის შეუხსენებია: “იცი რა არის მორჩილება? როცა გეუბნებიან კერე – უნდა კერო, გეუბნებიან რეცხე – უნდა რეცხო. ეს არის მორჩილება. იღუმენია ქეთევანი დამწყები მონაზვნებისათვის ერთ მეტად საინტერესო რჩევას იხსენებს, რომელიც მას უწმიდესმა მონასტერში წასვლის წინ მისცა: “მონასტერში რომ მიხვალ, ნურავის შეხედავ, გამოსწორება შენი თავიდან დაიწყეო”. უწმიდესი დაპირისპირებულ მხარეებს ყოველთვის მშვიდობისაკენ მოუწოდებს, სხვათა განკითხვასაც არ ისმენს, არამედ საკუთარ ცოდვებში ჩადრმავებას მოუწოდებს და სულიერ შვილებს შეაგონებს: “მოყვასის ცოდვა დამალეთ და ღმერთი თქვენს ცოდვებს დაფარავსო”.

უწმიდესი ილია II, საბერძნეთისა და წესისამებრ, ხშირად საკუთარი მაგალითითაც სწავლის სულიერ შვილებს. იღუმენია ქეთევანი იხსენებს, თუ როგორ შეიყვანა მონასტრის დედები მცირე სენაკში და უთხრა: “– აი, ხომ ხედავთ, რა პატარა სენაკია, თქვენს სენაკებზე პატარა სენაკი მაქვსო.”

უწმიდესის სწავლება სამთავროს მონასტრის დედების ძველ სამონასტრო წეს-განგებას ეფუძნება და ახლად შემონაზვნებულებში ძველი დედების ცხოვრების ტრადიციებისადმი მოშურნეობის აღდგენას ესწრაფვის, რომელთა უმთავრესი დეაწლიც “ათონური” ტიპიკონით ღოცვის აღსრულება იყო. დღევანდელი დედებიც აგრძელებენ ამ ტრადიციას, რომლისთვისაც უწმიდესი და უნეტარესი ილია II დედებს შეახსენებს: “ისინი ათონური ტიპიკონით ცხოვრობდნენ, ადრე დგებოდნენ, ხანგრძლივად ღოცულობდნენ და ბევრს შრომობდნენ... სამთავროს დედებს ასეთი ტრადიცია ჰქონდათ, როდესაც რომელიმე და მონასტრის გალა-



ვანს გარეთ გადიოდა, ყველას დაუწოქებდა და შენ-  
ლობას სთხოვდა, რადგან არ იცოდა, უკან ცოცხალი  
დაბრუნდებოდა თუ არა...”

სამთავროს მონასტრის დედაებს ქადაგებაში ხში-  
რად შეასვენებს ხოლმე საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქი მათი მოღვაწეობის ადგილის, “მაყვლოვა-  
ნის” მადლმოსილებასა და მათ მაღალ მოვალეობაზე:  
“ნუ გგონიათ, რომ წმიდა ნინომ IV საუკუნეში და-  
ამთავრა თავისი მოღვაწეობა. იგი დღესაც აგრძე-  
ლებს საქართველოს მოქცევას!...” უწმიდესი კვლავ  
და კვლავ მიაპყრობს მათ ყურადღებას მონასტრის  
ტრადიციებზე, ძველ მოღვაწე დედათა მოშურნეობაზე:  
“თქვენ კარგად იცით, როგორი წმიდაა ის ადგილი, რო-  
მელშიც თქვენ მოღვაწეობთ. აქ მოღვაწეობდა წმიდა  
ნინო. მრავა-

ლი ღირსი დე-  
და და მამა...”,  
“შინდა გავიხ-  
სენო ჩვენი წი-  
ნაპრები, რომ-  
ლებიც მოღ-  
ვაწეობდნენ  
აქ, ამ წმიდა  
მონასტერში.  
უპირველეს  
ყოვლისა ეს  
იყო ილუმენია  
ნინო (ამილახ-  
ვარი). ცნო-  
ბილია მისი  
დიდი სიკეთე  
და სულიერე-  
ბა. ასევე უნდა  
გავიხსენოთ  
ისეთი დიდი



ილუმენია, როგორიც  
იყო დედა ნინო (   
ბარათაშვილი). მან

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და სამთავროს  
დედათა მონასტრის წინამძღვარი, ილუმენია ქეთევანი

უწმიდესისათ-  
ვის პირჯვა-  
რი, ლოცვით:  
“სახელითა  
მამისათა და  
ძისათა და  
სულისა წმი-  
დისათა”. მა-  
შინ იერუსა-  
ლიმური დიდი  
სკვნილი უწე-  
ქებია მისთვის  
უწმიდესს;  
ხოლო დედა  
ანას თავდახ-  
რით უთქვამს:  
“მე არაფერი  
გამიკეთებია,  
მაგრამ ხომ  
ვევლე მონას-  
ტერში, იქნებ  
ამით შემიწყალოს  
ღმერთმა.” და მარ-  
თლაც, მიცვალებუ-

ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სულიერებასთან  
ერთად გარკვეული საქმეც შემოეტანა მონასტერში  
და ამ მიზნით საფიქრო დაზგები დადგა და დედები  
დაასაქმა... “უწმიდესი მონასტრის აწინდელ დედებს  
წინაპარ მონაზონთა სათნოებებს, მათი ცხოვრების  
წესს აცნობს და მონაზვნობის მაღალი წოდების  
წინაშე პასუხისმგებლობით სწავლის: “არ შემოიღია  
არ გავიხსენო ისეთი დიდი მონაზონი, როგორიც იყო  
დედა პარასკევა (უგრესელიძე). ის 70 წელს იყო მი-  
ტანებული და ეშინოდა მონაზვნად აღკვეცისა. ასე  
ამბობდა: „მე რა ღირსი ვარ მონაზვნობისათ“. მთე-  
ლი ცხოვრება აქ გაატარა და ბოლოს უწმიდესმა და  
უნეტარესმა ეფრემ II-მ უბრძანა, აღიკვეცეო და ასე  
გახდა მონაზონი, დედა სალომე უწოდეს. იგი მოწყა-  
ლებით გამოირჩეოდა...”

მე მახსენდება მათი მაღალი სულიერება, მათი  
ღვაწლი; მახსენდება ჩემი ნათლია, დედა ზოილე.  
ერთხელ მას იატაკის შეღებვა შევთავაზე, მიპასუხა:  
რას ამბობ, რომ შევღებო, რაღა მონასტერი იქნებო.  
მე აქ ფუფუნებისთვის არ მოვსულვარო – აი, ასეთი  
უბრალოება და უპოვარების სიყვარული ჰქონდათ  
მათ; მახსენდება დედა სიდონია, მარხვაში ხის კუნძი  
ელთ თავიქვეშ და იმაზე ეძინა. დედა ზოილე, ვხედავდი,

ნაშუადამევეს მუხლებზე იდგა და ლოცულობდა... აი,  
ასეთები იყვნენ და თქვენ მათი ტრადიციების გამ-  
გრძელებლები ხართ...”

უწმიდესი დიდი სიყვარულით იგონებს დედა ანას  
(აჭაიძე): “დედა ანამ ტიპიკონი ზეპირად იცოდა, გა-  
ლობდა, ბევრს შრომობდა, საბნებს კერავდა, ძროხებს  
უვლიდა”. მონასტრის აწინდელი ილუმენია ქეთევანი  
იხსენებს, რომ ერთხელ სნეული ილუმენია ანას სა-  
ნახავად მისულ პატრიარქს დაუწოქია და უთხოვია:  
“- დედა ანა მაკურთხე, ჯვარი გადამსახეო.” – მე  
როგორ გადაგსახო ჯვარი, პატრიარქი ბრძანდები-  
თო!” – მორიდებით, თავაუღებლად მიუგია ილუმენია  
ანას, მაგრამ პატრიარქის დაუინებულ თხოვნაზე, ილუ-  
მანიას ათრთოლებული ხელით სამეზის გადაუსახავს



კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და სამთავროს  
დედათა მონასტრის წინამძღვარი, ილუმენია ქეთევანი

უწმიდესისათ-  
ვის პირჯვა-  
რი, ლოცვით:  
“სახელითა  
მამისათა და  
ძისათა და  
სულისა წმი-  
დისათა”. მა-  
შინ იერუსა-  
ლიმური დიდი  
სკვნილი უწე-  
ქებია მისთვის  
უწმიდესს;  
ხოლო დედა  
ანას თავდახ-  
რით უთქვამს:  
“მე არაფერი  
გამიკეთებია,  
მაგრამ ხომ  
ვევლე მონას-  
ტერში, იქნებ  
ამით შემიწყალოს  
ღმერთმა.” და მარ-  
თლაც, მიცვალებუ-

ლი დედა ანასათვის უწმიდესსა და უნეტარეს ილია  
II-ს დაუხედია და უთქვამს: “დედა ანა ცხონდა”.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ის უმთავრესი სწავ-  
ლება მართლადსარებისა, რომლითაც სრულიად სა-  
ქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II არა  
ოდენ ბერ-მონაზვნებს, არამედ სრულიად მართლმა-  
დიდებელ საქართველოს მოუწოდებს: “ქართველმა  
ერმა არ უღალატა ჭეშმარიტ მართლმადიდებელ  
სარწმუნოებას. თქვენ იცით, იმ დროს, როცა მწვალებ-  
ლობამ მთელი მსოფლიო მოიცვა, ჩვენი წინაპრები  
მართლმადიდებელ სარწმუნოებას მტკიცედ იცავ-  
დნენ. ისტორიიდან ცნობილია ისიც, რომ სწორედ აქ  
იყო მოყვანილი და ხელდასხმული იოანე გუთელი  
ეპისკოპოსად იმიტომ, რომ მართლმადიდებელი სარ-  
წმუნოება შეურყვნელად მხოლოდ აქ იყო დარჩე-  
ლი... ქართველ ადამიანს არ ეპატიება ურწმუნოება,  
მწვალებლობა, სექტანტობა. ეს უდიდესი ცოდვია.  
ესაა ღალატი სჯულისა, ჭეშმარიტი სარწმუნოებისა  
... თქვენ იცით, როგორი რწმენა ჰქონდათ ჩვენს წი-  
ნაპრებს, რამდენი ეწამა ქრისტესთვის, რამდენმა სიკ-  
ვდილი არჩია სიცოცხლეს, ოღონდაც რწმენისთვის  
არ ეღალატა”.

# სამთავროს ნიღა ნინოს დედათა მონასტრის ისტორია



სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი მდებარეობს საქართველოს უძველეს დედაქალაქში - მცხეთაში. ამ წმიდა ადგილიდან უქალაქო ქართველებს ქრისტეს სჯული მოწოდოდა, კაპადოკიელმა ნეტარმა ქალწულმა ნინომ, სამთავროშივე აიღვა ფეხი ქართულმა ქრისტიანულმა მრწამსმა

გის ასული გუდაბერიძე, დაბადებული 1777 წელს; მელანია ლაზარეს ასული მჭედლიშვილი, დაბადებული 1804 წელს; დარეჯან გიორგის ასული კობახიძე, დაბადებული 1805 წელს.

დედებს ნინო ამილახვრის წინამძღვრობით დაუწყოთ მოღვაწეობა და საფუძველი ჩაუყრიათ წმიდა ნინოს დედათა მონასტრისთვის. 1827 წელს მონაზვნებს აღუდგენიათ წმიდა ნინოს მცირე ეკლესია და 1828 წელს მის სახელზევე უკურთხებიან. ვინაიდან სამთავროში ღვაწლმოსილი დედების ნებით აღმდგარა სამონასტრო ცხოვრება, ამიტომ საეკლესიო მმართველობას 1830-იან წლებში დედათა მონასტრის ოფიციალურად დამტკიცება განუზრახავს. სამწუხაროდ, იმ დროს მონასტრის დამტკიცება ვერ მოხერხდა. მონასტრის დამაარსებელი ნინო ამილახვარი გარდაიცვალა 1839 წელს. იგი დაკრძალულია "მაყვლოვანში", წმიდა ნინოს ეკლესიასთან. ქვაზე ამოკვეთილია წარწერა: "ლოდი ესე ჰფარავს სავანესა თავადის ქაიხოსრო ამილახვრის ასულის მონოზონისა ნინასასა, რომელმაც დააარსა მონასტერი ესე 1820 წელს და გარდაიცვალა 1839 წელს თებერვალსა 11-ს". მონაზონ ნინოს დაუღალავმა ღვაწლმა და მონდომებამ საეკლესიო მმართველობის ყურადღება მიიპყრო. ნინო ამილახვრის საქმე გააგრძელეს მისმა აღზრდილებმა და 1857 წლის 18 ივნისს სამთავროს დედათა მონასტერი ოფიციალურად გაფორმდა და დამტკიცდა.

და თვითშეგნებამ, აქედან მოეფინა ნათელი სრულიად საქართველოს.

სამთავროს დედათა მონასტრის დაარსების თარიღად 1820 წელი უნდა მივიჩნიოთ. ამ მოსაზრების საბუთად გამოგვადგება რამდენიმე ცნობა. ერთ-ერთ მათგანში ნათქვამია, რომ 1802 წელს თავადის ქალი ნინო ამილახვარი და რამდენიმე განდევნილი დედა მისულან, აუცილებლად სენაკები და ეგზარქოს თეოფილაქტეს ნებართვით დასახლებულან სამთავროში. მონაზვნებს მხოლოდ შემოწირულობით უცხოვრიათ, ამასთან თურმე ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიდნენ და მცირე გასამრჯელოსაც იღებდნენ. თავიდან მხოლოდ ოთხნი ყოფილან, შემდეგ კი სხვა დედებიც შემატებიან.

არქიმანდრიტ საბას წვრილად გამოუკითხავს მონაზვნები, რომელთაც თავიანთ წინამძღვრად ნინო ამილახვარი დაუსახელებიათ. იმ დროისათვის (1830 წ.) სამთავროში სულ ათი დედა მოღვაწეობდა. ესენია: ნინო ქრისტეფორეს ასული ამილახვარი, დაბადებული 1784 წელს; თეკლა გიორგის ასული ბიძინაშვილი, დაბადებული 1770 წელს; დომნა თამაზის ასული გოგნიაშვილი, დაბადებული 1780 წელს; მარიამ ზაზას ასული ევაძე, დაბადებული 1796 წელს; თეკლე (თონა) გიორგის ასული ბერიძე, დაბადებული 1772 წელს; თათიანა ევსტატეს ასული ბიჭიკაშვილი, დაბადებული 1769 წელს; ქრისტინე ბესის ასული ოქროპირიძე, დაბადებული 1799 წელს; მარიამ გიორ-



სამთავროს მონასტრის წინამძღვარი, იღუმენია ნინო (უმცროსი) მონასტრის ქალთა სასწავლებლის მოსწავლეებთან

ეგზარქოსმა იხილორე ნიკოლსკიმ (1844-1868 წწ.) 1846 წლის 19 ნოემბერს მონასტრის წინამძღვრად

დანიშნა სამეგრელოს თავადის, ხიტუ ფაღავას ასული, დარია ფაღავა. წინამძღვარი დარია ფაღავა და მცხეთის "სობორის" დეკანოზი იოსებ ბარისოვი შეუდგნენ მონასტრის აღდგენის საქმეს. ამ პერიოდის სამშენებლო საქმიანობა დეტალურად განხილულია რამდენიმე სტატეტიკურ სტატიებში. წინამძღვარი დარია ფაღავა გარდაიცვალა 1853 წლის დასაწყისში. თუმცა ამ მოკლე დროშიც შეძლო ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება სამთავროსათვის და რაც უმთავრესია, მისი ძალისხმევით მოხდა სამთავროს დედათა მონასტრის დამტკიცება ოფიციალურ მონასტრად. დედა დარია ატარებდა სამთავროს პირველი ილუმენიას წოდებას. დარია ფაღავას გარდაცვალების შემდეგ მის მოვალეობას ასრულებდა მონაზონი ქრისტინე ოქროპირიძე; შემდეგ კი - მინადორა ავთანდილის ასული ფურცელაძე, რომელმაც მისი მოვალეობის მცირე დროშიც მრავალი სასიკეთო საქმე გააკეთა.

1863 წლის 15 სექტემბეს. გარდაცვლილი ილუმენია მინადორას ნაცვლად ამავე წლის 8 ოქტომბერს მონასტრის სამთავროს მონასტრის ქალთა სასწავლებელი. 1880-იანი წლები. გამგებლად დაუნიშნავეთ ნინო (ანა ამილახვარი), ხოლო 1865 წლის 8 ოქტომბერს მონაზონი ნინო ამილახვარი (უმცროსი) ეგზარქოს ევსევის ილუმენიის ხარისხში აუყვანია. ნინო ამილახვარი მონასტერს 40 წლის განმავლობაში წინამძღვრობდა. იგი იყო მონასტრის პირველი წინამძღვრების - უფროსი ნინო ამილახვრის, დარია ფაღავასა და მინადორა ფურცელაძის წმინდა საქმის ღირსეული გამგრძელებელი.




ილუმენია ნინო ციციშვილი – სამთავროს დედაბიძა

მისი ძალისხმევით შეკეთდა სამთავროს ტაძარი, აიგო ახალი სამონასტრო შენობები, დაარსდა ობოლ გოგონათა სასწავლებელი, აშენდა ახალი, გუმბათიანი ეკლესია. ნინო ამილახვრის დაუშრეტელმა ენერჯიამ და მუდმივმა ღვაწლმა სამთავრო საქართველოს უპირველეს დედათა საფანედ აქცია.

## სამთავრო მეოცე საუკუნეში

1904 წლის 29 დეკემბერს გარდაიცვალა წინამძღვარი ნინო ამილახვარი. იგი დაკრძალეს მისივე თაოსნობით აგებულ წმიდა ნინოს ახალ, გუმბათიან ეკლესიაში, რომლის მშენებლობა დასრულდა 1904 წელსვე. დღეს ამ ეკლესიის საძირკვლის ნაშთებია შემორჩენილი.



1905 წლის 10 თებერვალს მონასტრის გამგებლად ეგზარქოს ალექსი I დაუნიშნავს თავად ციციშვილის ქალიშვილი ელენე ციციშვილი-ბარათაშვილისა, რომელიც საქართველოს ეგზარქოსმა ინოკენტიმ (ბელიავევი) 1910 წლის 16 მაისს ილუმენიის ხარისხში აიყვანა. მანამდე კი წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა მონასტრის ხაზინადარი, ნისიმე ციციშვილი.

1910 წელს მონასტრის ხაზინადარად დაუმტკიცებიათ ანუსია კოჭლამაზაშვილი, რომელმაც მრავალი წელი იღვაწა მონასტრის საკეთილდღეოდ და მონასტრის გაუქმების შემდეგაც შემწედ და მცველად ედგა ამ წმიდა სავანეს. 50-იან წლებში მას ილუმენიადაც კი მოიხსენიებენ. I მსოფლიო ომის დროს მონასტერს ეკონომიურად უკიდურესად გაუჭირდა, მაგრამ მან გაუძლო ყოველგვარ განსაცდელს. პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ადრე, 1917 წლის 12 მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და 106 წლის შემდეგ ეკლესია-მონასტრებში აღდგა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე.

1921 წელს საქართველოს ფაქტობრივი ანექსია მოხდა საბჭოთა რუსეთის მიერ. ათეისტი კომუნისტები, რა თქმა უნდა, არაფერ სასიკეთოს არ მოუტანდნენ მონასტერს, თუმცა თავდაპირველად რელიგიის აშკარა დევნა არ დაუწყიათ. სამთავროს მონასტერს უჭირდა, მაგრამ ჯერჯერობით მაინც არსებობდა.

1922 წელს საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა. კომუნისტებმა იწყეს რელიგიისა და ღვთისმსახურთა სასტიკი დევნა. კომუნისტურმა მმართველობამ ვერ აიტანა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის მიერ გენუის 1922

წლის აპრილის საერთაშორისო კონფერენციისადმი მიწერილი მიმართვა, სადაც იგი ამხელდა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ფაქტს. საქართველოში კვლავ მძვინვარებდა პოლიტიკური რეაქცია. ხელი-სუფლებამ დააპატიმრა პატრიარქი და საკათალიკოსო საბჭოს წევრები. დახურეს ეკლესიები, მონასტრები და მათ შორის, სამთავროს დედათა მონასტერიც. მონასტერში უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი მოეწყო. მონაზვნები მონასტრიდან განდევნეს, შემდეგ მათ მხოლოდ ერთი ოთახი დაუთმეს. 1924 წელს ჩამოუყალიბებიათ მცხეთის სამეურნეო არტელი "ქალთა შრომა", რომელშიც მონაზვნები გაერთიანებულან. მონაზვნებს კარგა ხანს საარჩევნო ხმის უფლებაც ჩამორთმეული ჰქონიათ. ეს უფლება მათ 1931 წელს აღუდგინეს. 1933 წლის საბუთი კი წარმოადგენს I საფეიქროს მუშების სიას, რომელშიც წინამძღვარი ნინო ციციშვილი ამ საწარმოს რიგითი წევრია, თავ-მჯდომარედ კი ანუსია კოჭლამაზიშვილი აურჩევიათ. აქ, რა თქმა უნდა, გარკვეული როლი უნდა ეთამაშა ნინო ციციშვილის თავადურ წარმოშობას, რაც იმ დროისათვის არასასურველად ითვლებოდა.

1930-იან წლებში სამთავრო კულტურის ძეგლად გამოცხადდა. 1938 წელს ანუსია კოჭლამაზიშვილი ძეგლის მცველად არის მოსენიებული.

ხელისუფლების დაჟინებული მცდელობის მიუხედავად, სამთავროში ამ სასტიკ წლებშიც (საქართველოს გასაბჭოების შემდეგ), არ დამცხრალა სულიერი ცხოვრება. მონასტერი ოფიციალურად გაუქმებული იყო, თუმცა დედები მაინც ახერხებდნენ ფარულად სამონასტრო წესით ცხოვრებას. ეს კარგად ჩანს ამ პერიოდის მონასტრის დედებისა და ღვთისმსახურთა პირად მიმღწერაში. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე დედები და მათი სულიერი დები და ძმები ერთმანეთს ამხნევენდნენ ამ წერლებით. წერილებიდან ისიც ჩანს, რომ ქართველი სამღვდლოება სამთავროს მონასტერს მოქმედ მონასტრად მიიჩნევა.

1941 წელს გარდაიცვალა მონასტრის ილუმენია ნინო ციციშვილი. 1944 წელს კი ანუსია კოჭლამაზიშვილი მოსენიებულია სამთავროს ისტორიული ძეგლის დამლაგებლად (უხელფასოდ). კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II გადმოცემით, II მსოფლიო ომის შემდეგ სამთავროს მონასტრის ილუმენიად უკურთხებიან ანუსია კოჭლამაზიშვილი.

1950-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირში ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ დაწყებული ე.წ. "დათბობის პოლიტიკამ" საქართველომდეც ჩამოაღწია. მეზობლად "უღმერთოთა" ათეისტურ გარემოში ჯერ კიდევ სასწაულებრივ შემორჩენილ მრევლს საშუალება მიეცა მორწმუნეთა ე.წ. "ოცეულები" ჩამოეყალიბებინა, რაც სათანადო კრებით უნდა დამტკიცებულიყო. ამგვარი კრება მცხეთაში გაიმართა 1961 წლის 28 ივნისს. ამ "ოცეულის" წევრები ძირითადად სამთავროს მონასტრის დედები იყვნენ, რომელთაც ოთხი ათეული წლის მანძილზე გაუძლეს უკიდურეს გაჭირვებასა და დამცირებას და მიმქრალი სული ხელახლა შობებრეს სამთავროს.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II იგონებს, რომ ამავე პერიოდში მას მოსკოვის სასულიერო აკადემია ახალი დამთავრებული ჰქონდა (1960 წელი) და წირვა-ლოცვას სამთავროში ატარებდა. 1960 წლიდან იგი ახლადგახსნილი სამთავროს სასულიერო სემინარიის პირველი რექტორი გახდა.

სამთავროს მონასტრის აღორძინებაში დიდი წვლილი შეუტანია ზოილე დვალიშვილს, რომელიც წინამძღვრობდა მონასტერს 1960-70-იანი წლებში. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დედა ზოილე დვალიშვილის ნათლულია და მისი უწმიდესობას ბავშვობის საუკეთესო დედები სამთავროში გაუტარებია. წინამძღვარი ზოილე დვალიშვილი გარდაიცვალა 1973 წელს. სამონასტრო ტიპიკონი, სრულად, სამთავროში მხოლოდ 1980-იან წლებში აღდგა. ამ დროს მონასტრის ილუმენია იყო ანა აჭაიძე, იგი გარდაიცვალა 1986 წელს და ისევე როგორც სხვა ილუმენიები, დაკრძალულია ტაძრის ეზოში.

1991 წლიდან სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარია ილუმენია ქეთევანი (კოპალიანი), რომელიც განუხრელად აგრძელებს სამთავროს დეაწმომოსილი წინამძღვრების ტრადიციას.

### სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვრები, ილუმენიები:

**ნინო ქაიხოსროს ასული ამილახვარი (1784-1839)** - მონასტრის პირველი წინამძღვარი (სამთავროში მოვიდა 1820 წლის 10 ოქტომბერს, სამონაზვნედ შეიმოსა 1810 წელს. მონაზვნად აღიკვეცა 1812 წელს), რომელმაც რამდენიმე დასთან ერთად განაახლა სამონასტრო ცხოვრება სამთავროში. ამ დროიდან სამთავრო დედათა მონასტერია. მონასტრის დამაარსებელი დაკრძალულია სამთავროს მაცველოვანში, წმიდა ნინოს ეკლესიის სამხრეთ ფასადთან. საფლავის ქვაზე ამოკვეთილია წარწერა: "ლოდი ესე ჰყვარავს სავანესა თავადის ქაიხოსრო ამილახვრის ასულის მონაზონის ნინოსსა, რომელმაც დააარსა მონასტერი ესე 1820 წ. და გარდაიცვალა 1839 წ. თებერვალსა". მონასტერს ხელმძღვანელობდა 1830-1839 წლებში.

**ღარია ხიტუშ ასული ვაღაპა (1805-1853)**. სამთავროში მოვიდა 1831 წელს, სამონაზვნედ შეიმოსა 1832 წელს, მონაზვნად აღიკვეცა 1846 წელს. ილუმენია ღარია მონასტერს წინამძღვრობდა 1846-1853 წლებში.

მონასტრის პირველ ილუმენიად იხსენიება ღარია ფაღავა, ოდიშის თავადის ასული, რომელსაც მცხეთიდან სამეგრელოში ჩასულ ვაჭრისაგან სძენია საქართველოს საპატრიარქოსა და მასთან ქართლის საეპისკოპოსოს გაუქმება; ეპისკოპოსისაგან სამთავროს დატყვება და იქ მოღვაწე ბერების ღტოლვა, მონასტრისა და ტაძრის უპატრონოდ დარჩენა. მაშინ თავადის ერთადერთ ასულს, ღვთის განგებით, უყოყმანოდ დაუტოვებია მშობლები, შვიდი ძმა, მშობლიური კერა და მამაკაცის შესამოსლით გამოწყობილი, როგორც მოჯამაგირე, მაღვით გამოყოლია ვაჭარს მცხეთაში. ამ ზეპირი გადმოცემის ძირითადი აზრი ამოკვეთილია ღარია ფაღავას საფლავის ქვაზე მთავარი ტაძრის საკურთხევლის წინ, ჩრდილო ნაწილში. დედა ღარიამ ექვსი წელიწადი უწინამძღვრა სამთავროს დედათა სავანეს.

**მიწალორა ანთანდილის ასული უშრცველაძე (1902/4 - 1863 წწ.)** სამთავროში მოვიდა 1832 წ. მონაზვნად აღიკვეცა 1844 წ. წინამძღვარი, ილუმენია - 1858-1863 წწ.

მონაზონი მინალორა მონასტრის გამგებლად ეზ-ხარქოს იხიღორეს 1857 წელს დაუდგენია, ხოლო

იღუმენიის ხარისხში აუყვანია მასვე 1858 წლის 6 მარტს. მინადორა ფურცელაძე 1804 წ. დაბადებულია (საერო სახელი მართა). 1844 წ. მინადორას სახელით მონაზვნად აღუკვეცია ბერმონაზონ ტარასის. იღუმენია მინადორა დაკრძალულია სამთავროს ტაძრის სამხრეთ კარიბჭის ეკვდერში. საფლავის ქვა განახლებულია ძველი წარწერით (იღუმენიას უმცროსი და მიტრადორა დაკრძალულია მონასტრის ეზოში წმიდა ნინოს ეკლესიის სამხრეთით ხის ძირას).

**ნინო/ანა ამილახვარი (1815-1904).** მონაზვნად აღიკვეცა 1855 წ. წინამძღვარი, იღუმენია - 1865-1904 წწ.

ანა ამილახვარი, შემდგომში სამთავროს მონასტრის დეაწლმოსილი წინამძღვარი, იღუმენია ნინო, მონასტრის დამაარსებლისა და პირველი წინამძღვრის, ნინო ქრისტეფორეს ასულ



ამილახვრის ძმისწული ყოფილა. 1863 წლის 15 სექტემბერს გარდაცვლილი (იღუმენია მინადორას ნაცვლად) მონასტრის გამგებლად დაუნიშნავეთ. ანა ამილახვარი დაბადებულია 1815 წლის 26 იანვარს. სოფელ საამილახვრო ჭალაში. მონაზვნად აღკვეცა არქიმანდრიტმა ტარასიმ 1855 წლის 19 ივნისს, ხოლო 1865 წლის 8 ოქტომბერს

მონაზონი ნინო ამილახვარი (უმცროსი) ეგზარხოს ეკსევის იღუმენიის ხარისხში აუყვანია.

**ნისიმე იოსების ასული ციციშვილი (1814-1906).** სამთავროში მოვიდა 1834 წ. წინამძღვრის მოვალეობის აღმსრულებელი - 1904-1906 წწ.

1905 წ. მონასტრის გამგებლად ეგზარქოს ალექსი I-ს დაუნიშნავს თავად ციციშვილის ქალიშვილი ელენე ციციშვილი-ბარათაშვილისა (მონაზვნად აღიკვეცა ნინოს სახელით 1909 წელს). 1910 წელს ნინო ციციშვილი იღუმენიას ხარისხში აიყვანეს.



**ნინო/ელენე ციციშვილი (1862/72 - 1941).** მონაზვნად აღიკვეცა 1904 წ. წინამძღვარი, იღუმენია - 1909-1922 წწ.

ნინო ციციშვილი იყო უკანასკნელი იღუმენია საქართველოს გასაბჭოებამდე მოქმედი მონასტრის იღუმენიათა შორის და ღირსეული გამგრძელებელი წინამორბედ წინამძღვართა დეაწლისა.



**ანუსია/ნინო ნოდარის ასული კოჭლამაზაშვილი (1878 - ?)** სამთავროში მოვიდა 1898 წ. სამონაზვნედ შეიმოსა 1907 წ. მონაზვნად აღიკვეცა - 1913 წ. წინამძღვარი, იღუმენია - 1950-იანი წლები.

1950-იანი წლებიდან იღუმენიად იხსენიება ანუსია კოჭლამაზიშვილი. II მსოფლიო ომის შემდეგ იგი სამთავროს

მონასტრის იღუმენიად უკურთხებიათ.

**ქეთევანი/ათანასე ღვთისმშობლის ასული გობლაძე (1876 - 1968 წწ.)** სამთავროში მოვიდა 1908 წ. წინამძღვარი, იღუმენია 1960-იანი წლები.



**ზოილე/ეკატერინე სპირიდონის ასული ღვალიშვილი (1892 - 1973 წწ.)** სამთავროში მოვიდა 1934 წ. წინამძღვარი, იღუმენია 1960-70-იანი წლების დასაწყისი.

60-იანი წლების დასაწყისიდან მონასტერს წინამძღვრობდა იღუმენია ზოილე დვალიშვილი (კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ნათლია, რომელიც ბედიის

მონასტრის უკანასკნელი წინამძღვარი ყოფილა. ბედიის მონასტრის დახურვის შემდეგ, კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს კურთხევით, დედა ზოილე ვლადიკავკახის ქართულ ეკლესიაში გადაუყვანიათ მედავითნედ. სამთავროში დედა ზოილე 1930-იანი წლების შუახანებში მოვიდა. 60-იან წლებში კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ სამთავროს მონასტრისთვის გაწეული დეაწლისათვის, იღუმენია ზოილე დვალიშვილი ოქროს ჯვრით დააჯილდოვა. იღუმენია ზოილე გარდაიცვალა 1973 წ.



**ანა/ღარია მიხეილის ასული აჭაიძე (1893 - 1986 წწ.)** წინამძღვარი, იღუმენია 1971-1986 წწ. მონასტერში მოვიდა 1924 წლის 21 იანვარს.

80-იან წლებში სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვარია იღუმენია ანა. იგი გარდაიცვალა 1991 წ.


**ქეთევან/ზოილე ერმილეს ასული კოპალიანი.** დაიბადა 1948 წ. სამთავროში მოვიდა 1984 წ. სამონაზვნედ შეიმოსა 1986 წ. მონაზვნად აღიკვეცა 1991 წ. წინამძღვარი, იღუმენია - 1991 წლიდან. 1991 წლიდან დღემდე სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვარია.




მომზადდა ალბომის „სამთავრო“. 2008 წ. მიხედვით. რედაქცია.

# MOGONEBEBI ARQIMANDRIT GABRIELZE

(1929-1995)



  
ՅՈՐՏԱՆԻ ԱՐՄԱՆՅԱ ՏՈՒՆՈՒՄ  
ՆԱՏ ԵՆՆՈՒՄԻ ԱՐՄԱՆՅԱ

• Միտքեղծը և սկզբնական եկեղանակները  
հիմնական խառնուրդայիններն են։ Կրթական  
յարակները և գաղափարները  
հիմնական և եկեղեցին զանազան խառնուրդ  
գաղափարներ և հիմնականներ  
ՎԻՍՏԻ ԿՐԹԱԿԱՆՈՒՄԻ

• Այնպես ինչ կարողացաւ մարտնչել իր հայրենի երկրում  
միջակայքում և կարողացաւ կենսական կյանքը  
կարողացաւ մարտնչել իր երկրում  
հայրենիքում և մեծարժեք զգացումներ  
հայրենիքում և մեծարժեք զգացումներ

• Մեծարժեք զգացումներ

• Կրթական և մարտնչական կյանքը ինչ կարողացաւ իր  
ստանդարտները մարտնչել մարտնչել - իր կարողացաւ  
մեծարժեք զգացումներ և կարողացաւ իր  
կարողացաւ մեծարժեք զգացումներ  
և իր կարողացաւ մարտնչել

• Ինչպէս կարողացաւ մարտնչել ինչ կարողացաւ իր  
և սկզբնական կարողացաւ և մեծարժեք զգացումներ  
և իր կարողացաւ կարողացաւ իր  
և ինչ կարողացաւ կարողացաւ իր  
և ինչ կարողացաւ կարողացաւ իր  
և ինչ կարողացաւ կարողացաւ իր  
և ինչ կարողացաւ կարողացաւ իր  
և ինչ կարողացաւ կարողացաւ իր  
և ինչ կարողացաւ կարողացաւ իր  
• ինչ կարողացաւ կարողացաւ իր  
• Կարողացաւ կարողացաւ իր

# IRU MENIA QE TEVANI (KO PALIANI)

„ქრისტიანული ეკლესია ემსგავსება ხომალდს, რომლის მესაჭე თვით ქრისტეა, ხოლო ანძა - მისი მსხნელი ჯვარი. ვინ მოთვლის ერეტიკოსთა ცრუ მოძღვრების ტალღებმა რამდენჯერ შემოუტიეს ამ სულიერ ხომალდს! ბევრჯერ იყო ისეთი დრო, როცა მართლმადიდებელ ეკლესიას ამ მძვინვარე ტალღებში თითქოსდა ელოდა დაღუპვა და მაინც უვნებელი რჩებოდა თავისი ზეციური მესაჭის – ქრისტეს წინამძღოლობით. ნეტარია, ვინც არ მიატოვებს ღვთის ამ ხომალდს. იგი მასზე უეჭველად მიაღწევს ზეციური სასუფეველის მშვიდ ნავსაყუდელს“ (წმიდა მამები).

ღვთის ხომალდის ერთ-ერთი უძლიერესი მგზავრი, რომელმაც ღრმა რწმენით შეძლო უხილავი სამყაროს აღქმა, გახლდათ ბრძენი მამა და მოძღვარი, არქიმანდრიტი გაბრიელი.

აღბათ, ბევრს ემასხოვრება თბილისის ქუჩებში ბერის კუნკულ-ბარტყულში, ზოგჯერ ფეხშიშველიც, ოქროსფერი რეალის დიადემით, ძველი, გახუნებული სამოსით მოსიარულე ბერი სალოსი.

მამა გაბრიელი პირველად ოციოდე წლის წინ რუსთაველის გამზირზე ვიხილე; ხელაპყრობილი მოუწოდებდა ხალხს: „ქართველებო! გამოფხიზლდით, გონს მოდით, საქართველო რა დღეშია, წმიდა შუშანიკის საფლავი რა დღეშია, მეტეხის ტაძარში თეატრს რა უნდა?!“

ბერი სალოსი ეკლესიისა და ერის სატკივარს ხმამაღლა გოდებდა და ჩიოდა. ხალხი თანაგრძნობით ჩერდებოდა და ისმენდა, ზოგსაც ეღიმებოდა. ამ ამბის შემდეგ მოვიხილე მეტეხის ტაძარი და წმიდა შუშანიკის საძვალე. მართლაც, საფლავზე უპატიოდ ეყარა თეატრის გამოუყენებელი ნივთები.

გავიდა ხანი, ღვთის მადლითა და წყალობით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით მრავალ ეკლესიაში აღდგა მსახურება. წმიდათა საფლავებიც დიდებულად იმკობიან.

მეორედ ამ საოცარ ბერს სიონის ტაძარში შევხვდი. წირვა ახალი დამთავრებული იყო, მრევლი მამა გაბრიელისაგან ლოცვა-კურთხევას იღებდა. იგი ზოგს – ღმერთის, ზოგს – ღვთისმშობლის, ზოგსაც – წმიდა ნინოს სახელით ლოცავდა. მეც მივუახლოვდი და მოკრძალებით ვემთხვიე.

„ღმერთმა დაგლოცოს, შვილო. იცოდე, შენ საქართველოს დედა იქნები...“ საოცრად გამიკვირდა და შემრცხვა. ძალზე გადაჭარბებულად, თითქმის არასერიოზულად მივიჩნიე, რამეთუ ქართლის დედად მიჩნეულია წმიდა ნინო, ასევე ქართლის დედა, რომელსაც ყოველთვის სატვერით ხელში წარმოვიდგენდი, როგორც ნარიყალაზე მინახავს.

მართლაც, გამოსხდა ხანი და ღვთის ნებით მისმა უწმიდესობამ მონაზვნად მაკურთხა. რამდენიმე წლის შემდეგ სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში იღუმენია უნდა დაედგინა საქართველოს პატრიარქს. ვშიშობდი, ჩემთვის არ დაედოთ

ეს მძიმე ჯვარი. ჩემი შიში მამა გაბრიელს გავანდე, ბერმა მანუგემა: „ნუ გეშინია, დაო, მაღლი გიახლოვდება, ხელს ნუ ჰკრავ, თუ პატრიარქი გაკურთხებს, ღვთის ნება იქნება. იღუმენობა მარტო ხარისხი კი არ არის, დასამდაბლებელიცაა, ზოგს საცხოვრებლად მიეცემა, ზოგსაც – წარსაწყმედელად“.

პატრიარქი იმ დროს ხშირად სტუმრობდა სამთავროს. ერთ-ერთი სტუმრობისას იმ ოთახში შევიკრიბეთ, სადაც ადრე უწმიდესსა და მის ნათლიას-დედა ზოილეს (დეალიშვილი) უცხოვრიათ. მოულოდნელად სენაკში ბერი გაბრიელი შემოიჭრა და მიუხედავად სივიწროვისა, უწმიდესის ფეხებთან დაემხო, თავი იატაკზე ჰქონდა დადებული. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა მარცხენა ხელი ჩემკენ გამოიწვდინა და პატრიარქს სთხოვა: „უწმიდესო, ეს აკურთხე იღუმენიად, ღირსია“. პატრიარქმა ყველას თვალი მოგვაგლო და განაცხადა: „მე აქ საიღუმენოდ ვერავის ვხედავ“. მამა გაბრიელმა, ისე რომ თავი ზევით არ აუწვია, თხოვნა გაუმეორა: „უწმიდესო, ნუ დააგდებ ჩემს სიტყვას, ეს აკურთხე, ღირსია“. მერე სასწრაფოდ წამოდგა და უხმაუროდ გავიდა სენაკიდან. შემინდოს მისმა ნათელმა სულმა, ძალიან გავბრაზდი მასზე. შევშინდი, მის უწმიდესობას ჩემგან წამოსული არ ჰგონებოდა ეს თხოვნა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 1991 წლის 13 ივლისს, სვეტიცხოველში, თორმეტი მოციქულის ხსენების დღეს, მონასტრის წინამძღვრად დამადგინა იღუმენის ხარისხით. ჯილდოდ კვერთხი და გამშვენებელი ჯვარი გადმომცა. (აცხადდა ბერის წინასწარმეტყველება; სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი საქართველოს დედა მონასტრად ითვლება. მისი იღუმენია კი საქართველოს დედაა. – დ. მ.).

მამა გაბრიელი შემწვანარებლობის განსაკუთრებული მადლით გამოირჩეოდა. ყოველ ადამიანში ღვთის ხატებას ხედავდა, არავის განახსვავებდა. ყოველთვის თანაუგრძნობდა უძღურებს. იგი უსაზღვროდ თავმდაბალი იყო. თავს უკანასკნელ ცოდვილად მიიჩნევდა, ჩვენს სიმაბლისაკენ მოგვიწოდებდა. ხშირად გემოძღვრავდა: „ღმერთის წინაშე ყოველგვარი ცოდვა ზღვის კენჭებივითაა, არ არსებობს ცოდვა სინანულს რომ აღემატებოდეს“. მოყვასის განკითხვას სასტიკად გვიკრძალავდა: „დადაცათუ იხილო კაცის მკვლედი, გინა მეძავი, გინა ლოთი მიწაზე ეგდოს, ნურავის განიკითხავ დაბადებულსა ღმერთისასა. რამეთუ მათი სადავეები უფალს მიშვებულნი აქვს. შენი სადავეები ხელში უჭირავს, რომ მიგიშვას, უარეს დღეში ჩაყარდები და დაიღუპები. უფალმა მეძავი შეიწყალა, ავაზაკი აცხოვნა. მარიამ მეგვიპტელი მეძავი იყო, რა ვუყოთ მერე, ღვთის მადლით, უდაბნოში მოღვაწეობით, მარხვითა და ლოცვით სძლია ვნებებს, განიწმიდა და სასუფეველის ღირსი შეიქმნა. უფალი დაამდაბლებს და უფალი ადამაღლებს. როცა თავი ვინმეზე კარგი მგონია, თავზე რკინის რგოლს ვიკეთებ, ფეხშიშველა გამოვდივარ. ხალხი რომ მიყურებს და იცინის, მაშინ ვმდაბლდები, ვხედავ ჩემს

თავს, რა ნაგავიცა ვარ“.

ბერი სიმდაბლით გამოსცდიდა ადამიანებს, ზოგს დააჩოქებდა, ზოგს განურისხდებოდა, ზოგს ამხელდა, ზოგსაც ღვთიური სიბრძნით დამოძღვრავდა.

ერთხელ, მონასტერში, ტრაპეზის შემდეგ, მამა გაბრიელმა კარები ჩაკეტა და დედები გართ არ გაუშვა. მაშინ სამონაზვნე ვიყავი. ჭურჭელი მომტანინა და ყველას ხელები დააბანინეო, მითხრა. მე თავი დავექნიე, ბერის კურთხევა უმაღვე აღვასრულე. ხელების ნაბანი წყლით საგსე თასი უკან მივეტანე. ბერმა გამომცდელად შემომხედა და თქვა: „ეს თასი ბოლომდე დაცალე!“ „სულ?“ - გავიკვირე. „ღო ღნა“- იყო პასუხი. დაფიქრების დრო აღარ მქონდა. მამა გაბრიელის სიტყვა შეუვალი მეჩვენა. უმაღვე შევსვი. გულში ჩამიკრა და სიყვარულით დამლოცა.

მასხოვს აღელვებულმა შევჩვიე: მამა გაბრიელ, აღარ შემიძლია, ჯვარი უნდა მოვიხსნა-მეთქი. ბერი შეყოვნდა, ჩვეულებისამებრ ხატებისაკენ მიბრუნდა, ხელაპყრობილმა ილოცა და შემდეგ დასძინა: „ მოთმინება იქონიე, დაო და დედაო, შენით ნუ მოიხსნი ჯვარს, ვინც მოგხსნის, პასუხს იგი აგებს. განა პატრიარქს არ უჭირს? შენ არ იცი, „კათალიკოსის“ ჯვარი რა მძიმეა, იგი ხომ ორ ჯვარს ატარებს - ერისას და ეკლესიისას, იმან რაღა ჰქნას? ბევრი განსაცდელი გელოდება, ღმერთი გახურებულ ღუმელში შეგაგდებს, რომ გამოგცადოს და გაგწმინდოს“... ბერის რჩევამ არ დამაკმაყოფილა, შენდობა ვთხოვე და მის უწმიდესობასთან, ჩემს პირველ სულიერ მოძღვართან წავედი. ხშირად პატრიარქისა და მამა გაბრიელის აზრები ერთმანეთს ემთხვეოდა. ამჯერადაც ასე მოხდა. უწმიდესმა სიყვარულით მიმიღო და დამლოცა, მე ყვედრებით მივმართე: თქვენო უწმიდესობა, რატომ დამადეთ ასეთი მძიმე ჯვარი-მეთქი? უწმიდესმა მწყრალად შემომხედა და მკვახედ მითხრა: „ეს ჯვარი მე კი არა, ღმერთმა დაგადო, რაც უფრო გაექცევი, მით უფრო დაგამძიმებს; ქელი მოიდრიკე, ხალხს სიყვარული აჩვენე; შენ ბალახივით უნდა იყო - როგორც ბალახს თელავენ, ისე უნდა გაგთელონ. უძღურთა შემწე ღმერთია, წმიდა ნინო შეგაძლებინებს“- მითხრა, ჯვარი გადამსახა, დამლოცა და უკან გამომისტუმრა.

მონასტრული ცხოვრების სირთულეების დასაძლევად, რჩევისათვის მამა გაბრიელს მივმართე: რა ვქნა, როგორ მოვიქცე? ზოგს შენიშვნას რომ ვაძლევ, არ ღებულობს, იქნებ სჯობს არაფერი არ ვუთხრა? არ მივაქციო ყურადღება, რაც უნდა ის აკეთონ. ღმერთი ხომ ყველაფერს ხედავს. ბერი ერთხანს დაფიქრდა, მერე მკაცრად მითხრა: „ მერე, შენ ხომ იღუმენია ხარ! მაპატიე დაო და დედაო, არქიმანდრიტის ჯვარი გკიდია და ღმერთი იმისათვის დაგსჯის, შენიშვნას რომ არ მისცემ. მხილება აუცილებელია, განკითხვა სხვა რამ არის. როგორ შეიძლება ცუდ საქციელზე თვალი დახუჭო, შენ უნდა მიუთითო, მათ უნდა შეასრულონ! თუ არ შეასრულებენ, უფალი თვითონ მოკითხავთ.

მამა გაბრიელი სიწმიდეების დიდი პატივისმცემელი იყო. ყველაფერს ეძიებდა და პოულობდა კიდევაც. მისი საყვარელი საქმე იყო ხატების გაწმენდა,

ჩარჩოებში ჩასმა, შანდლების გაპრიადება. ხშირად ალაგებდა საკურთხეველს. მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას სვეტის ნიშში, ადრე, ძელიცხოვლის ნაწილი ჰქონდა მოძიებული. როცა პირველად შევეხე, რაღაც ძალამ უკან გადმომაგდო,- ყვებოდა ბერი. მართლაც, იქ დიდი სიწმიდე აღმოჩნდა. მეუფე დანიელმა და ბერმა გაბრიელმა ეს სიწმიდე საკურთხეველში ფრთხილად გადმოაბრძანეს, სადაც დღემდე ასვენია.

სამთავროს ტაძარში კანკელის ხატების ხატწერული ნიმუშებით შეცვლა გადაწყდა. მამა გაბრიელი მათი შეცვლის სასტიკი წინააღმდეგე იყო. ღვთივ-განბრძნობილი ბერი წინასწარ ჭკრეტდა ხატების ღვთაებრივ ძაღმოსილებას. მართლაც, მოკლე ხანში ხატები მირონით დაიცვარა. ეს სასწაული მამა გაბრიელმა მონასტრის დედებს ახარა. მირონის დენა ერთი თვის მანძილზე არ შეწყვეტილა.

მიტროპოლიტი დანიელი მონასტრის კრებულთან სამონასტრო ცხოვრების საკითხებს განიხილავდა. ერთ-ერთი მონაზონი საყვედურს გამოთქვამდა იღუმენის მიმართ. ბერი კიბეზე ამოდიოდა, ყური მოჰკრა თუ არა, მაშინვე მიუახლოვდა და დაემუქრა: „რაო, იღუმენია შენი სატარტაროა? რომ ტარტარებ, რას ტარტარებ? ხმა გაკმინდე!“ მერე სწრაფად მიიჭრა მეუფე დანიელთან და ხმამაღლა უთხრა: „ ამას გაუფრთხილდი, ეს შეიბრაღე“. ყველანი ხმაგაკმენდილი ვუსმენდით, შემდეგ უეცრად მოტრიალდა და კიბეებზე დაეშვა.

გაოცებულმა მეუფემ მოგვიანებით აღნიშნა: „ რა საინტერესოა, სულ სხვა რაღაც უნდა მეთქვა, სხვა რაღაც მქონდა გადაწყვეტილი, მამა გაბრიელმა კი სულ შემაცვლევინა სათქმელი, თითქოს ღმერთმა მიბრძანა მისი პირით... მართლაც რა უცნაურია?!“

ერთხელ სამთავროს მონასტერში სტუმრად მოვიდა საქართველოს მთავრობის ყოფილი მეთაური, ჯუმბერ პატიაშვილი, მეუღლესთან ერთად უზარმაზარი თაიგულითა და დიდი შემოწირულობით. პატრიარქის რეზიდენციაში შევედით და იქ ვსაუბრობდით. ბატონი ჯუმბერი მღვდლის შთამომავალია და ცხოვრების ქრისტიანული წესი და ამჟამინდელ მკაცრ ანტირელიგიურ პირობებში ეკლესიისათვის კეთილი საქმეების კეთება არასდროს იყო მისთვის უცხო. საუბარი სულიერ საკითხებს ეხებოდა. სხვათა შორის, ბატონმა ჯუმბერმა ბავშვური გულწრფელობით აღიარა, რომ ერთხელ მარხვა მოკოლადით დაარღვია. ამ საუბარში ვიყავით, რომ უეცრად მამა გაბრიელმა, რომელიც თავისი კოშკის წინ იჯდა, ისეთი ყვირილი და აყალმაყალი ატეხა (დედა პარასკევას ეჩხუბებოდა), რომ სტუმარი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, გადაიხედა და გაკვირვებულმა იკითხა: ეს კაცი ვინ არის, ამ კაცს აქ რა უნდა?! მისთვის წარმოუდგენელი იყო ვინმეს, მით უმეტეს მამაკაცს, მონასტრის, ამ მყუდრო საგანის, ეზოში ასე მოურიდებლად ეყვირა. მე ავუხსენი, რომ ეს ჩვენი მამა გაბრიელი იყო, თუმცა ამ ორომტრიალის გამო ჩვენი საუბარი დიდხანს აღარ გაგრძელებულა. მეც უხერხულად ვგრძნობდი თავს და სტუმრებიც მალე წავიდნენ. მათი წასვლის შემდეგ მივედი და ვკითხე: „ მამა გაბრიელ, იცოდი



ვინ იყო ჩემთან, რაღა მაინცდამაინც მაშინ აყვირ-  
ლი?“ მამა გაბრიელმა უსიტყვოდ თავი გააქნია და  
არაფერი უთქვამს. მივხვდი, რომ ნაწყენი დამრჩა. მეც  
ადარ გამიგრძელებია საუბარი.

მაშინ მე ვერ გავეუგე ბერს, გაგებრაზდი კიდევ მას-  
ზე. მაგრამ განვლო ხანმა და მივხვდი, რომ ძვირფასი  
სტუმრები ჩემთან კი არა, მამა გაბრიელთან უნდა  
მიმეყვანა. ლოცვა-კურთხევა მისგან უნდა მიეღოთ.  
ვინ იცის, რამდენ სიხარულს მოაკლდნენ, რამდენ  
ტკივილს შეუმსუბუქებდა მათ თავისი მადლიანი  
ლოცვით. ამ აყვირებით მამა გაბრიელმა ჩემი ამ-  
პარტავნება ამხილა.


ამ ცოტა ხნის წინ ბატონი ჯუმბერი მეუღლეს-  
თან ერთად კვლავ ესტუმრა სამთავროს. როგორც  
გაირკვა, მისი ოჯახის წევრები ხშირად მოდიან სა-  
ლოცავად ჩვენს მონასტერში და ბერი გაბრიელის  
საფლავსაც დიდ პატივს მიაგებენ. მათ ბევრი სმე-  
ნიათ მამა გაბრიელის მიერ სიცოცხლეში და გარ-  
დაცვალების შემდეგ აღსრულებულ სასწაულებზე.  
წიგნი „ბერის დიადემა“ ბატონმა ჯუმბერმა ახლახან  
წაიკითხა და რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, რო-  
ცა გაიგო, რომ ეს წმიდა ბერი სწორედ ის მრისხანე,  
დაბებკილ ტანსაცმელში გამოწყობილი მამა გაბრი-  
ელი იყო, რომელიც კოშკის გვერდით, პატარა ბაღში  
მიწას ამუშავებდა და ვერაფრით იფიქრებდით, რომ  
ღვთისმსახური შეიძლება ყოფილიყო.

ხშირად გაგმხდარვარ მამა გაბრიელის ღვთიე-  
ბობეზული, უდიდესი ძალით აღსრულებული სასწა-  
ულის მომსწრე და თვითმხილველი. მინახავს, რო-  
გორ გავიდოდა ხოლმე გზატკეცილზე, შუა გზაზე  
გაჩერდებოდა და ხელაპყრობილი დიდი სისწრაფით  
მომავალ მანქანებს წინ გადაუდგებოდა. მანქანაც  
ზუსტად მის წინ ჩერდებოდა. მძღოლი მანქანიდან  
გადმოდიოდა და მამა გაბრიელის დარად ისიც დიდი  
სიყვარულითა და სიხარულით გადაეხვეოდა ხოლმე  
უცნობ ბერს. მამა გაბრიელი  
კი ჩვეული არტისტულიობით  
წარმოსთქვამდა სიტყვებს: „  
როგორები ვართ?!“

ერთხელ, სვეტიცხოველში  
სოლიდურად ჩაცმული უც-  
ხოელები შესულან. მამა გაბ-  
რიელი სვეტთან - უფლის  
კვართთან მდგარა. ერთხანს  
უყურებია, მერე კი ყვირილი  
აუტეხია: „ არ გესმით, სად  
დგახართ? მაღალ ღმერთს  
დიდება შეშვენის, თქვენ კი  
ხელები უკან დაგიწყვიათ!“

თუმცა გიდი არ უხსნიდა, მაგრამ ისინი ქვეცნობიერად  
ხვდებოდნენ, რასაც ბერი ამბობდა. ჯოხითა და  
მუქარით კინაღამ გარეთ გამოუდევნია..

ბერს მასთან მიმსვლელთათვის უკითხავს: რის-  
თვის მოდიხართ ჩემთანო. მათ უპასუხიათ: გვენატ-  
რებით მამა გაბრიელ და იმიტომ. დაუყვირია მათ-  
თვის: რას ჰქვია გენატრებით, რომელი ნატა ვაჩნადე  
მე ვარ. ჩემთან მხოლოდ სულიერი შეჭირვების დროს  
უნდა მოხვიდეთო.



ამათა მკვლელი ომის დროს სამთავროში შეი-  
არაღებული ჯგუფი შემოვიდა. ორმოცამდე იქნებოდ-  
ნენ. მამა გაბრიელმა ისინი სიყვარულით დალოცა,  
იარაღი ააყრევინა, ტაძარში შეიყვანა, მუხლმოდრე-  
კით „მამაო ჩვენო“ ათქმევინა, ჯვრები აჩუქა და ამ-  
ბიონიდან ერისა და ღვთის სიყვარულზე უქადაგა.  
შემდეგ შეეკითხა: „საით გაგიწყვიათ? რა საქმეზე  
მიდიხართ?“... მათ ომახიანად უპასუხეს: ზუგდიდში  
მივედივართ საომრადო. „ მერე ვის უნდა ებრძოლოთ,  
იქ ხომ ქართველები არიან?“ ბერმა ხელები ასწია  
და დაიყვირა: „ მესროლეთ, მე ვარ საქართველო!“  
შემდეგ აიღო კვერთხი და შეუძახა: „ამით დაგიმ-  
ტვრევთ თავებს, თქვენ ქულები კი არა, ლეჩაქები უნ-  
და გეხუროთ!“ „რაინდები“ ისე გაცვივდნენ, კინაღამ  
იარაღის წაღება დააიწყეს.

მამა გაბრიელს გამორჩეულად უყვარდა სამთა-  
ვროს ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწა-  
ულთმოქმედი ხატი, „ცისა და ქვეყნის დედოფალს“  
უწოდებდა წმიდა მარიამს და ქებით განადიდებდა.  
ხატის წინ ხელებს ადაპყრობდა და თავისი ბრწყინ-  
ვალე ხმით „ღირს არს“...უგალობდა.

აწ განსვენებულმა მცხეთელმა ქალბატონმა სო-  
ფიო ხამხაქემ, რომელიც მონასტრისთვის აცხობდა  
სეფისკვერებს, საინტერესო რამ გვიამბო:

1921 წელს საქართველოს დროებითი მთავრობის  
წევრები ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით მოსა-  
ლოცად სამთავროს დედათა მონასტერში მოვიდნენ.  
ამ დროს ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი  
ატირდა. ისინი გააკვირვებით უყურებდნენ, ვერ გა-  
გოთ, რა ხდებოდა.

ღვთისმშობელმა, ალბათ, წინასწარ იგრძნო ქარ-  
თველი ერის განსაცდელი და მართლაც, მალე მოხდა  
რუსეთის იმპერიისაგან საქართველოს ანექსია.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი  
ხატის სამთავროს მონასტერში მობრძანება დაკავ-  
შირებულია პავლე ჯაფარიძესთან, რომელსაც ასე  
აფასებდა საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი  
უწმიდესი და უნეტარესი  
კალისტრატე (ცინცაძე):  
„ეპისკოპოს პავლეს შე-  
ეძლო ქადაგებით მოექ-  
ცია ხალხი ეკლესიისკენ,  
განუსხვავებლად წლო-  
ვანებისა, სქესისა და გა-  
ნუსხვავებლად რჯულის  
მიმდევრობისა. სულში  
ჩამწვდომი მქადაგებელი,  
შეუბღალავი, სუფთა ცხოვრების ადამიანი იყო.“

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერის  
უხუცესი მონაზონი ეფემია (ხიზანიშვილი) წერდა: „  
ეპისკოპოსი პავლე იყო დიდად განსწავლული კაცი,  
შესახედავად სასიამოვნო, ხორციელ მშვენიერებაში  
ჩაქსოვილი სულიერი სილამაზით, თავმდაბალი, და-  
უზარელად მოღვაწე, დიდად მლოცველი და მქადა-  
გებელი, მოყვარული სამშობლო საქართველოსი“.

ეს დიდებული ღვთისმსახური, წილკნელი ეპის-

კობოსი პავლე ჯაფარიძე, გარდაიცვალა 1929 წლის 3 ნოემბერს, დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძრის შესასვლელთან, მარჯვენა მხარეს.

მამა გაბრიელს ყოველთვის, დედადამ გულზე ეკიდა დიდი ჯვარი და ხუთნაწილიანი წმიდა სანაწილე. როდესაც უჯვროდ დამინახავდა, იტყოდა: „მაპატიე, დაო და დედაო, ახლა შენ იღუმენია კი არა, ლიტონი მონაზონი ხარ. ჯვარშია მთელი ძალა, როგორ შეიძლება იღუმენია უჯვროდ გალაუნის გარეთ გადავიდეს“.

მამა გაბრიელი განუწყვეტლივ ზრუნავდა დედათა სულიერი განწმედისა და სრულყოფისათვის. მან მონასტერს მონოზონთა სახელმძღვანელოდ

- ესე არს იწრო ბზა მონოზონებისა**
1. მოყმობა მუცლისა;
  2. ზედგობა დამე ყოველ გალობითა;
  3. სმა წყლითა სასწორითა;
  4. ნაკლულევანება პურისა;
  5. დათმენა კდემისა და ყვედრებისა;
  6. შეწყნარება ბასრობისა და კიცხვეისა;
  7. მოწყვედა ნებათა თვისთა;
  8. შეურაცხებასა ზედა უდრტვინეველობა;
  9. ჭირთა მოთმინება;
  10. გინებათა თავსდება;
  11. ძვირის ხილვათა ტვირთვა;
  12. შეურაცხებასა ზედა არა განრისხება და თუ მიგვიხვეჭდეს, მიუტეოთ უსიტყველად და უკეთუ ვინმე გვიზრახვიდეს, არა შეგსწუსდეთ, მოთმინებით მოვითმენდეთ;
  13. მიუტეოთ და ნაცვალსა ნუ ვეძიებთ;
  14. გინა თუ ვინმე განგვიკითხვიდნენ, წინაშე მათსა დაგმდაბლდეთ უსიტყველად.

შემოსწირა ჩარჩოში ჩასმული წესდება:

არ იყო წუთი, როცა მამა გაბრიელი ღმერთზე არ ფიქრობდა, იგი ყოველთვის ცდილობდა ჩვენც გამოვეფხიხლებინეთ. როცა ვინმე ლოცვას ჩქარა კითხულობდა, არ მოსწონდა, შეაჩერებდა და ეტყოდა:

„რატატატა, რატატატა... ლოცულობ თუ ჩხუბობ, რა ჩაპავეის „პულიმიოტივით“ მიაყარე, გაზეთს ხომ არ კითხულობ? შიშითა და მოწიწებით, აუჩქარებლად უნდა ილოცო. როცა ლოცულობ, გაიაზრე, ვის წინ დგახარ, ვის ესაუბრები, ქრისტე უხილავად არს ჩვენთან, სულ არს ღმერთი...“

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში სტუმრად იმყოფებოდა იერუსალიმის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის იღუმენია გეორგია. მე მას პიუხტიცის მონასტრიდან ვიცნობდი. დედა გეორგიამ მოისურვა ბერ გაბრიელთან შეხვედრა. მის სენაკში საკმაოდ დიდი ხანი დაჰყო. სიხარულისაგან ტიროდა და გამოსვლისას მითხრა „ თქვენ ჭეშმარიტი „სტარეცი“ გყავთ, სამოთხეში ხართ“.

მართლაც, ჭეშმარიტი ქრისტიანი, ბრძენი მოძღვა-

რი, დიდი იმედი იყო ჩვენთვის. მას ღვთისაგან არა მხოლოდ სულიერი, არამედ ხორციელი კურნების მაღლიც ჰქონდა ბოძებული.

ერთხელ მონასტრის ერთ-ერთ მონოზონს, დედა ნინოს, საღამო ჟამს, ეზოში ქვეწარმავალმა უკბინა ფეხზე და ორი ღრმა კვალი დაამჩნია. შეშფოთებული დედები მამა გაბრიელთან შეცვიდნენ. ბერმა ზეთისცხებითა და აიაზმის სხურებით, ღვთისშეწვევით იმწამსვე განკურნა იგი. მაგრამ მერე, სიმდაბლის გამო, თავისი ძალა რომ დაეგარა, მოულოდნელად შეუვალი ტონით წარმოთქვა: „აბა, ჩქარა ექიმთან წადით“.

ეს იყო ჟამი ძნელბედობისა, როცა საქართველოს ძალიან უჭირდა. კლინიკაში დედა ნინოს პირველადი სამედიცინო დახმარება ვერ აღმოუჩინეს. ექიმები მოსალოდნელ უბედურებას უმწეოდ შესცქეროდნენ. დედა ნინო უვნებლად გადარჩა, ხოლო მამა გაბრიელი თავის სენაკში წყალობისათვის ცრემლებით გულმხურვალე სამადლობელს აღუვლენდა უფალს.

ბერს არ უყვარდა კაცთაგან ქება. ასეთ შემთხვევაში თავისი სალოსური ქმედებით ყველაფერს განაქარვებდა. ხოლო თუ ვინმე სიმდაბლით რჩევისათვის შევიდოდა მასთან, სახარებისეულად ესაუბრებოდა.

მასხოვს, მამა გაბრიელი გადაჭარბებული პატივისცემით მოვიკითხე; ბერმა გამომცდელად შემომხედა და მითხრა: „ აბა, როგორ ვიქნები, დაო და დედაო; ვჭამ და ვსომ, ვსომ და ვჭამ, ამოტოლა სასმელ-საჭმელი ფარაონებსაც არ ჰქონიათ. არ ვიცი, სად წავიღო, გეხვეწები რაიმე შეჭამე“.

სუფრა ყოველთვის გაშლილი ჰქონდა, მაგრამ არასოდეს მინახავს, როდის ჭამდა. ბერის საიდუმლო მხოლოდ უფალმა უწყის.

თუ ადამიანს რწმენაში განმტკიცება სჭირდებოდა, მაშინ მამა გაბრიელი არ ერიდებოდა მის მიერ აღსრულებული სასწაულების გაცხადებასაც კი.

ერთხელ, ბერს სახლში, მის მიერ აშენებულ სამლოცველოში ვესტუმრეთ, მან იქ მომხდარი სასწაულის შესახებ გვიამბო: „ წვიმა ჩამოდიოდა, გვიქრობდი, ამოტოლა ხატებს რა ეშველებათ. მჭირდებოდა რამდენიმე კუბმეტრი მასალა, არანაირი სახსარი არ გამაჩნდა. ძალიან დაღონებული ვიყავი. ბოლოს ღმერთს შევთხოვე შემწეობა. ამ დროს უცნობი ერისკაცი მეწვია. მეორე ოთახში გავედი და საუბარი დავიწყეთ. პროფესიით ინჟინერი აღმოჩნდა. იგი ხატებს უცქერდა და მერე გაოცებულმა მითხრა: საოცარია, ძალიან მეჩქარებოდა, მაგრამ რაღაცა ძალამ აქ მომიყვანა. იცით, ახლა ეს ხატი რას შთამაგონებს? რამდენიმე კუბმეტრი მასალა შემოწირე ბერსო. მაცხოვრის დიდ ხატზე მიმითითა, რომელსაც შემწეობა ვთხოვე. ამ სასწაულით გაოცნებული ერისკაცი სიხარულით დამპირდა მასალის შემოწირვას და აასრულა კიდევ“.

იელოველებსა და სხვა ერესის მიმდევრებზე მამა გაბრიელი ამბობდა: ისინი ხილული ეშმაკები, სატანის მიმდევრები არიან. მაგათთან კამათი როგორ შეიძლება; როგორც სახარებაში წერია: „ ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფნოთ მარგარიტსა თქვენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დაჰსთრგუნონ

იგი ფერხითა მათითა“ (მათე,7,6) და თან დასძენდა: „ღმერთი აერთებს, ეშმაკი განაბნებს“.

მამა გაბრიელს ავადმყოფობის დროს მომვლელად მონაზონი პარასკევა მიუწოდებდა. ბერს სიმდაბლის გამო უარი არ უთქვამს. იმ დღიდან დედა პარასკევა არ მოშორებია, აღსასრულამდე გულწრფელად უერთგულა.

ერთხელ, პროფესორი გოგი ბოჭორიშვილი ოჯახით ეწვია მონასტერს. კოშკის გვერდით სკამლოგინზე იწვა ბერი. სტუმრებმა თანაგრძნობით მოიკითხეს. მერე რაღაცა მკურნალობა შესთავაზეს, რაზედაც მამა გაბრიელმა მწყრალად უპასუხა: „არ გავიკეთებ, მაპატიე, მე ბერი ვარ, არა მაქვს უფლება, როგორც მინდა ისე მოვექცე ჩემს თავს, ჯერ ღმერთია მკურნალი, მერე ექიმი“. ლაპარაკი კამათში გადაიზარდა. მე მის შვილს (მასაც გოგი ჰქვია) ბოდიში მოეუხადე, ცოტა უცნაური ბერია-მეთქი. გოგომ გაიცინა და მითხრა: დავაცადოთ, იკამათონ, მამაჩემიც უცნაურია და ერთმანეთს კარგად გაუგებნო.

მადლიერების ნიშნად მამა გაბრიელმა თავის მკურნალ ექიმს - ზურაბ ვარაზაშვილს მონასტრისადმი შემოწირული ცხვარი აჩუქა, რამეთუ: „მუშაკი ღირსია სასყიდლისა. რომელი არა ჰმადლობენ ექიმსა, არა ჰმადლობენ უფალსა“. უანგარო ექიმმა „უვერცხლო“ მკურნალთა მსგავსად, მორიდებული უარი განუცხადა. ცხვარი იმ დღესვე მოკვდა. შემდეგ შეხვედრისას ბერმა მკურნალს უსაყვედურა: „მოყვასო, რატომ გამოიჩინე ურჩობა? მონასტერს არ ახსოვს შემოწირული ცხვარი რომ მომკვდარიყო“.

სანაცვლოდ სხვა ცხვარი მაინც გაატანა.

2000 წლის 22 მაისს, შიო მღვიმელის ხსენების დღეს, სამთავროს მონასტრის დედაბა მოვილოცეთ შიომღვიმის მონასტერი. წირვა ადავლინა მიტროპოლიტმა დანიელმა. საღამოს მობრძანდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, რომელმაც წმიდა შიოს საძვალეში სამღვდლოებასთან ერთად პარაკლისი გადაიხადა. ვიდრე სუფრა გაიშლებოდა, სატრაპეზოში ავედი, რომლის აივნინდანაც კარგად ჩანს ეკლესიის კანკელი და ფრესკები. ჩუმად ვლოცულობდი სკვნილზე, მერე მამა გაბრიელზე დავიწყე ფიქრი. მოულოდნელად გვერდზე გავიხედე და თვალებს არ დავუჯერე, საოცრება ვიხილე. მალეა ფრესკა ანათებდა. თვალისმომჭრელად იყო გაბრწყინებული. გვირგვინში ხუცური წარწერა ამოვიკითხე: ღირსი გაბრიელ ქართველი; ხელთ ღვთისმშობლის ხატი ეყრა. მის გვერდით დიდმოწამეთა - შუშანიკისა და ქეთევანის ხატები მოვიხილე. „მამა გაბრიელის საყვარელი ხატები“- გავიფიქრე უნებურად. საოცარი გრძობა დამეუფლა. რამდენჯერ ვყოფილვარ შიომღვიმეში და არასოდეს შემიძინა ეს ხატები. სიხარულს ვერ ვმაღავდი. შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტ მიქაელს გავანდე: ბერმა სასწაული მიხვეწა-მეთქი. მამა გაბრიელმა, ღირსი გაბრიელ ქართველის სახით მისი მფარველობა მაგრძნობინა. ამ მოვლენამ სულების უკვდავებაში კიდევ უფრო განამტკიცა, დიდი ნუგეში და მეოხი მაპოვნინა სალოსი ბერის სახით.

## ARQI MANDRI TI LAZARE (GAGNI ZE)

მამა გაბრიელი... არქიმანდრიტი გაბრიელი...

შუა საუკუნეების აყვავებული და მეოცე საუკუნის დევნილი ბერმონაზვნობის იშვიათი სინთეზი, მამათა ცხოვრების წიგნის ფურცლებიდან, უძველეს საისტორიო ფოლიანტებიდან ნაცნობი, საოცრად მიმზიდველი სახე მოსაგრე ცხოვრებით, დიდი სულიერებით გამორჩეული მამისა, გასხივოსნებული, ნათლისმფრქვეველი სახით, დახვეწილი, მეტყველი ქესტიკულაციით, ტკბილმოუბარი, რწმენაში გამოცდილთა დამაკვალიანებელი, რწმენაში გამოცდილთა ჩამომაკრისტალბელი, მკაცრი და ამავედროულად ბავშვივით ჩვილი...

1992 წლის მარტი, დიდმარხვის დასაწყისი... უფალმა ისე ინება, რომ მამა გაბრიელს შემახვედრა ჩემი ცხოვრების ორმოცდამეთხუთმეტე წელს, როგორც შემდგომ ერთმანეთს ჩვეული იუმორითა და ღიმილით ვეუბნებოდით ხოლმე „მეთერთმეტე უამს“, ჩვენი ცხოვრების დასაგაღს. მე - საერო ცხოვრებაში ცოდნითა და გამოცდილებით დატვირთული, სულიერ ცხოვრებაში ახალფეხადგმული, ბუნდოვანი წარმოდგენით საეკლესიო და სამონაზვნო ცხოვრების ცალკეულ ნიუანსებზე, და თქვენ წარმოიდგინეთ, ელემენტარულ ქცევის წესებზეც კი (რომლის დაც-

ვაც საჭირო იყო ეკლესიის მსახურთა გარემოცვაში მოხვედრისას), მამა გაბრიელი კი - სწორუპოვარი მოძღვარი, ტაძრისკენ მიმავალ გზაზე გამყვანი და დამკვალიანებელი, ნაცადი მწვრთნელი მათთვის, ვინც გამოხატა თავისუფალი ნება - იცხოვროს მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრების წესით.

გერმანიის, ავსტრიისა და უნგრეთის დიდებული ტაძრების თავბრუდამხვევი პომპეზურობით შთაგონებული, ბენედიქტიანელთა მონასტრებისა და მისი ბერების დახვეწილი მსახურებით მოხიბლული, გრიგორიანული საგალობლების და ბახის საორღანო მუსიკის წარუშლელი შთაბეჭდილებებით დატვირთული, სრულიად მოუმზადებელი აღმოვჩნდი მამა გაბრიელის ნათელმხილველური ინტუიციის ტყვეობაში. მამა გაბრიელზე ფიქრებში ჩაძირულს მაგონდება ჩემი პირველი აღსარება და წმიდა ზიარება მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში... პირველი მუხლდრეკა და მართლმადიდებლური წესით კურთხევის გამოთხოვა მწუხრის ლოცვაზე, სენაკიდან ტაძარში სალოცავად ჩამოსული მამა გაბრიელისაგან, რომლის დიდი სულიერება კარგად იყო ცნობილი ქართველ მორწმუნე საზოგადოებაში.

მე შემთხვევით არ ვაველებ პარალელს ბენედიქტიანელ ბერებსა და აღმოსავლურ ბერმონაზვნობას

შორის, სწორედ ამ უკანასკნელის საუცხოო წარმომადგენელი იყო მამა გაბრიელი. მკვეთრ სხვაობას ამ ორ ქრისტიან ბერმონაზვნობას შორის რეალურად შევეჯახე მამა გაბრიელთან. აღნიშნული სხვაობა შეიძლება შევადაროთ იმ სხვაობას, სიმღერის დახვეწილი შემფასებელი რომ შეიცნობს საგალობელთა ორღანოს თანხლებით შესრულებასა და საგალობელთა პოლიფონიურ შესრულებას შორის, ან ამ უკანასკნელსა და მაგნიტონაწერს შორის, ტაძარში მერხზე ჩამომჯდარ მლოცველებსა და თავმოდრეკით მდგომ მლოცველებს შორის, ამგვარი ლოცვით ადამიანები შინ მადლით დატვირთულები მიდიან, ისევე, როგორც მამა გაბრიელთან საუბრისას ხდებოდა ხოლმე.

მამა გაბრიელი თავისი დახვეწილი, კარგად შენისხლხორცებული მთაწმიდელების სახარებისეული ნატიფი ქართული ენით, ტკბილმოუბრობით, მასთან საუბრის დაწყებისთანავე თავის სასარგებლოდ განაწყო მის გვერდით ნებისთ თუ უნებლიედ აღმოჩენილ ყოველ ადამიანს; მას უყურადღებოდ ვერ ჩაუვლიდი, იგი ტაძარში მისულ მართლმადიდებლობაში სრულიად გაუცნობიერებელ ადამიანებსაც კი ანდამატივით იზიდავდა, კურთხევის მისაღებად და ამგვარად, დედათა მონასტერში მისულ მრავალ ადამიანში, დიდსა თუ პატარაში, ითესებოდა სამომავლო თესლი კეთილმორწმუნეობისა. აღარას ვიტყვი იმაზე, რომ მასთან ხშირად შეხვედბოდით სტუმრებს დედაქალაქიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, რომლებიც ცდილობდნენ მამა გაბრიელისაგან პასუხი მიეღოთ მათთვის პასუხგაუცემელ კითხვებზე.

დრომ თავისი მსახვრალი ხელი დარია ჩვენს ბერმონაზვნურ ცხოვრებას. ისინი გადააჩვია რაციონალურ შრომა-გარჯას, მამა გაბრიელი მონასტრის ტიპიკონის შესატყვისად მღვიძარებდა და ლოცვისაგან თავისუფალ დროს შრომაში ატარებდა, მაშინაც კი, როცა სენაკში ან მის გარეთ სტუმრებს ღებულობდა და ესაუბრებოდა, იგი ყოველთვის რაღაცას საქმიანობდა; ადაღენდა ან ამზადებდა ხატებისათვის ჩარჩოებს, ასუფთავებდა საეკლესიო ინვენტარს, მისთვის არ არსებობდა უმნიშვნელო და პატარა საქმე, ყველა საქმე დიდი იყო, და ყველაფერს ღვთის სადიდებლად ადასრულებდა.

საგულისხმოა, რომ მამა გაბრიელს ბევრი იცნობდა უაღრესად მკაცრ და მომთხოვნ პიროვნებად. პიროვნებად, რომელიც საჭიროების შემთხვევაში არ მოერიდებოდა და ნებისმიერ ადამიანს, ისე რომ არ დააყოვნებდა სათქმელს, მკაცრი ტონით, მაღალი და კატეგორიული ხმით ეტყოდა, თან დაჩოქებასაც მოსთხოვდა. ისე მოხდა, რომ ბრწყინვალე შვიდეულის გასულს მოძღვარმა ჩემი ეკლესიური ცხოვრების დაწყებიდან სულ რაღაც რამდენიმე კვირის შემდეგ, საკურთხეველში შემიყვანა და სტიქარი ჩამაცვა. ეს ჩემთვის ღვთიანობის იმდენად დიდი ჯილდო იყო, რომ მადლობა იმით გამოვხატე, იმავე დღეს წირვის

დამთავრების შემდეგ სამთავროს ტაძრის საკურთხეველი, სამკვეთლო და ამბიონი საპნიანი წყლით მოვხეხე და საგანგებოდ გავასუფთავე. დღის განმავლობაში მამა გაბრიელი რამდენჯერმე შემოვიდა საკურთხეველში ხელებდაკარწახებული, შრომაში გართული, ყურადღებით შემათვალიერა, მაგრამ ჩემდა გასაკვირად მის სახეზე ვერაფერი ამოვიკითხე. ასეთ ფაქტს იგი ხელიდან არ გაუშვებდა და ისეთ რამეს გეტყოდა, საქმეც მოიგებდა და თავსაც აუცილებლად დაგამახსოვრებდა. გავიდა რამდენიმე თვე... ფერისცვალებაზე რამდენიმე დღით ადრე მამა გაბრიელმა მიხმო და თბილად მითხრა: „შენ რომ კურთხევის გარეშე „გენერალური უბოროკა“ აღდგომის კვირაში მოაწვევ, ვერე არ არის, ჩვენ „უბოროკას“ ფერისცვალების წინ ვაკეთებთ, ზედმეტი არავინ გვინდა, მე და შენ ვეყოფით საქმეს“. ორი თუ სამი დღე თავაუღებლად ვაკრიალებდით ტაძარში ყველაფერს, ტაძრის ეზო-კარით და კედლებით დაწყებული, ინვენტარით დამთავრებული. საოცარი სანახავი იყო მაშინ მამა გაბრიელი, ხელებდაკარწახებული საგულდაგულოდ რომ აპრიალებდა კბილის ფხვნილის, ნავთისა და მწვანე იოდის ნაერთით სპილენძისა და თითბერის შანდლებს, კანდელებს და სხვა საეკლესიო ნივთებს.

ადამიანებთან ურთიერთობაში ხშირად გულფიცხი, გასაოცარი თავდაჭერილობით და სულგრძელობით ეკიდებოდა ჩემი უღირსობით ეკლესიური ცხოვრებისაკენ ნაგვიანვე შემობრუნებას. „საიდან ასეთი თავმდაბლობა, მოყვასო?“ - არტისტული ექსტიკულაციით, რიტორიკულად მომმართავდა ხოლმე და ქვეცნობიერად გულთამხილველი, იღუმალად თავადვე სცემდა პასუხს თავისსავე დასმულ კითხვას. ის დაჯილდოებული იყო უფლისაგან საოცარი უნარით: წაეკითხა მოსაუბრის აზრები, განეჭვრიტა მისი სულიერი მდგომარეობა, ეწინასწარმეტყველა მომავალი.

ძალიან მალე ახდა მამა გაბრიელის სიტყვები: „შენ უფლისაგან ამ სოფლად მოძღვრავა ხარ მოვლინებული“. 1992 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის დღეს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ხელი დამასხა დიაკვნად, სულ მალე კი მღვდლის ხარისხში ამიყვანა. იმ ხანებში მამა გაბრიელი ფიზიკურად უკვე ძალიან დასუსტებული იყო. სენაკიდან აღარ გამოდიოდა, დიდად გაიხარა, როცა ვუთხარი, რომ მის მიერ ჩარჩოში ჩასმული და შემკული წმიდა სამების ხატი ძეგვის წმიდა სამების ეკლესიაში დავაბრძანე.

ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ დაივანა მამა გაბრიელის უკანასკნელი დღეების გასხივოსნებულმა, ნეტარმა სახემ. მის ნათელ გამოხედვაში აღარ იკითხებოდა ბრძოლითა და წინააღმდეგობებით განვლილი გზის კვალი. მოთმინებით იტანდა მოძალეული მძიმე დაავადებებისაგან გამოწვეულ ტკივილებს მშვიდი, უფალს ბოლომდე მინდობილი...

# MRVDLI ZU RABI (CXOVREBAZE)

პირველად მამა გაბრიელი სამთავროს მონასტერში, 1988 წელს, მძიმე მარხვაში, შვიდჯერ ზეთისცხების დროს ვნახე: შემოვიდა ტაძარში და რიგრიგობით მიდიოდა სხვადასხვა მორწმუნესთან, ძირითადად ისინი ახალგაზრდები იყვნენ, მიუახლოვდებოდა მათ და მჭეკარედ დასძახებდა: “დაიხოქეთ!” მრევლი, მართლაც, იხოქებდა მის წინაშე. ეს ჩვენთვის განსაკვიფრებელი სახანაობა იყო.

1990 წლის მძიმე მარხვისას, ნაშუადღევს, მამა გაბრიელი სიონის საპატრიარქო ტაძარში ვნახე. ამ დროს ტაძარში არანაირი მსახურება არ მიმდინარეობდა, მამა გაბრიელი კი შესასვლელიდან ხელმარჯვნივ, სკამზე იჯდა და დიდი ხმით გაპყვიროდა: “სისხლი, სისხლი, საქართველოში სისხლი დაიდვრება. საქართველო სისხლში ცურავს!” – საოცარი და შემზარავი ხმით მოთქვამდა და გოდებდა, მის დამშვიდებას ორი ახალგაზრდა ბიჭი ცდილობდა, მაგრამ მამა გაბრიელი არ ცხრებოდა. ბოლოს წამოდგა და ნელი ნაბიჯით გაემართა ამბიონისკენ. მივხვდი, რომ კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მეც მივუახლოვდი ამბიონს. ამ დროს ტაძარში ძალიან

ცოტა, სულ რამდენიმე კაცი იყო და ისინიც თავიანთი საქმით იყვნენ დაკავებული. მამა გაბრიელი მოტრიალდა, თვალებში შემომხედა და ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკოსის გარდაცვალება იწინასწარმეტყველა, რაც შემდეგ მართლაც ასრულდა. ეს იყო 1990 წლის გაზაფხული, როდესაც თითქოს არავითარი საფრთხე საქართველოს არ ემუქრებოდა, ერთი შესვლით, ქვეყანა აღმავლობის გზაზე მიდიოდა, მაგრამ იმ მოვლენებმა, რომლებიც შემდეგ განვითარდა, აბსოლუტურად დაადასტურეს მამა გაბრიელის სევდიანი წინასწარმეტყველება.


ერთხელ მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში, ჩავედი მამა გაბრიელის სანახავად. იმ დროს სულიერად დამძიმებული ვიყავი. ჩვეულებისამებრ, მასთან კელიაში შესვლამდე ვთქვი ლოცვა და შესვლის უფლება მივიღე. მამა გაბრიელთან ვნახე მასთან მისული ერთი მცხეთელი ქალბატონი, რომელიც

მას თავისი შვილის ავადმყოფობის ამბავს უამბობდა. შესვლისთანავე საოცარი სინანული დამეუფლა და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს შიშველი ვიდექი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მასთან ყოველი შეხვედრისას სინანულის გრძნობა ეუფლებოდა ადამიანს, მაგრამ იმ დღეს ეს განსაკუთრებულად ძლიერი

იყო. კუთხეში ვიჯექი და, მიუხედავად იმისა, რომ მამა გაბრიელი იმ ქალბატონთან საუბრობდა, საოცრად მძიმედ და უხერხულად ვიგრძენი თავი, სინდისი მქენჯნიდა, ძალიან მინდოდა, იქაურობას გავცლოდი. უცებ გამახსენდა, რომ ერთხელ წერილმანი სიკეთე გავაკეთე. იქ მდგომი გამუდმებით ვიხსენებდი ამ მომენტს და საქებარ სიტყვებს, რომლითაც მაშინ მომმართეს, რათა ამ საქებარი სიტყვებით როგორმე ჩამეხშო სინდისის ქენჯნა ჩემში და გადამეფარა სინანულის ის გრძნობა, რომელმაც მაშინ მოვლი ჩემი არსება მოიცვა და რომლის დატევნაც უკვე მიჭირდა. ამ დროს მოხდა საოცრება, მამა გაბრიელმა, რომელიც ჩემგან გვერდულად იჯდა, უცებად თავი ოდნავ მოატრიალა ჩემსკენ, თვალი თვალში გამი-

ყარა და მითხრა: “აბა, როგორ ამბობ მაგას, (შემდეგ გამიმეორა ის საქებარი სიტყვები, რომლებსაც მე ვიმეორებდი გონებაში), როდესაც ყოველდღიურად ამას და ამას ჩაღიხარო, - და ის ცოდვები ჩამომითვალა, რასაც ჩავდიოდი. მან გამოიცნო არა მარტო ჩემი წინა დღეების სულიერი მდგომარეობა, არამედ ის ფიქრი, რომელიც მაშინ გონებაში მიტრიალებდა. ეს ისე მოხერხებულად ჩართო საუბარში, რომ მისი მოსაუბრე ქალბატონი ვერც მიხვდა, რა ხდებოდა და მამა გაბრიელმა კვლავ განაგრძო მასთან საუბარი, ისე, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

მან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ სინანული გამიძლიერდა. ცოტა ხანში მამა გაბრიელისგან კურთხევა ავიღე და წამოვედი. წამოსვლისთანავე ვიგრძენი შემსუბუქება, იმ წუთიდანვე ისევ ჩავდექი ეკლესიური ცხოვრების კლაპორტში. ერთხელ მამა გაბრიელმა მომიწოდა სინანული



მომხსენებელი. გავიდა გარკვეული ხანი და მორიგი სტუმრობისას ვუთხარი, რომ ვერ შევძელი სინანულის მოხვეჭა, რაზეც მან ასე მიპასუხა: “არა მაქვს სინანული იმიტომ, რომ არ მინდა!” და სხვა თემაზე განაგრძო საუბარი. ამ შეხვედრიდან სულ მცირე დროის შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, ისე, რომ არ მითხვია უფლისათვის სინანული, უცებ ჩემში სინანულის გრძობამ გაიღვიძა, რომელიც თანდათანობით ძლიერდებოდა და ჩემი სულიერი სწეულობების უფრო და უფრო მეტ სიღრმეს ეხებოდა. ეს გრძობა იმდენად მომძლავრდა, რომ ზოგჯერ საჭმლის ჭამაც კი მიჭირდა. ეს მდგომარეობა შეიძლება მივამსგავსოთ იმ ადამიანის განცდებს, რომელმაც მოულოდნელად ახლობელი ადამიანი დაკარგა და დიდი გაჭირვების, უბედურებისა და ტკივილისაგან საჭმლის მიღების თავიცი კი არა აქვს... გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც მამა გაბრიელზე მასალების შეგროვება დაიწყო, წავიკითხე ერთ-ერთი მორწმუნის მოგონება, რომელშიც იგი წერდა: “მამა გაბრიელმა ერთხელ ასე ამიხსნა, რა არის სინანული, მან მითხრა, რომ სინანული არის ისეთი მდგომარეობა, როცა საჭმლის ჭამაც კი არ შეგიძლია; აი, ეს არის ნამდვილი სინანული“. მისი წაკითხვის შემდეგ მივხვდი, რომ რამდენიმე წლის წინათ ჩემს გულში შემოსული მოულოდნელი სინანული, სწორედ, მამა გაბრიელის ღოცვით იყო მიღწეული.

ერთხელ მამა გაბრიელმა ჩემი იქ ყოფნის დროს დედა პარასკევას დაავალა რაღაც გაზეთი მოეძებნა. კარგა ხანს აძებნინა, შემდეგ კი წააკითხა. ამ გაზეთში განკითხული იყო სასულიერო პირი და მოყვანილი იყო არგუმენტები, რომლებიც იმ არეულობის პერიოდში (სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა) ხშირად მომდიოდა ხოლმე თავში.

მეხამუშა მამა გაბრიელისაგან ასეთი საქციელი და ვიფიქრე, თუკი მე, ჩემი სისუსტის გამო, ხანდახან ცხელ გულზე განვიკითხავ სასულიერო პირს, ადამიანებს, ასეთ დიდ ბერს რატომ ემართება მსგავსი რამ-მეთქი. მამა გაბრიელი კითხვისას კომენტარსაც დაურთავდა სტატიას. ეს კომენტარები ძალიან ჰგავდა ჩემს არგუმენტებს. შინ დავბრუნდი, გზად მიმავალმა უეცრად აღმოვაჩინე, რომ ის ყველაფერი, რასაც მამა გაბრიელი ამბობდა და გაზეთებში კითხულობდა, სხვა არაფერი იყო, თუ არა ჩემს მიერ სხვადასხვა დროს ნათქვამი და ნაფიქრი სიტყვები. მისი ამგვარი საქციელით გავაცნობიერე, რაოდენ არასწორი იყო ჩემი ფიქრები და განკითხვის სურვილი მომეხსნა. სიმძიმე ჩამომეცალა გულიდან, მივხვდი, რომ მამა გაბრიელმა ეს შეგნებულად გააკეთა, ეს იყო ჩემი აზრებისა და ფიქრების მხილება და არა მარტო მხილება, არამედ მისი განკურნება. ან თავის ღოცვით ეს ჩემი დაბრკოლება, ცდომილება, განკურნა.

იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც მამა გაბრიელი მოულოდნელად იწყებდა ცეკვას, სიმღერას, თითქოსდა დასალეკად მოითხოვდა ღვინოს; ცეკვის დროს უცნაურ მოძრაობებს აკეთებდა, წარმოთქვამდა სხვადასხვა სიტყვებს, ზოგჯერ შეიძლება უხამსი რამეც ეთქვა. ერთი სიტყვით, იქცეოდა ისე, როგორც ხალხი. საოცარი იყო, რომ რაც არ უნდა უცნაური

და თითქოსდა შეუფერებელი რამ ელაპარაკა, ეს არ ახდენდა ცუდ გავლენას ადამიანზე, არ ამძიმებდა მის სულსა და გულს, როგორც ეს შეიძლება მომხდარიყო, თუკი ამგვარ რამეს სხვა რომელიმე მომიოქმედებდა ან იტყოდა. თითქოს იგი ასეთი საქციელითაც რაღაცას გვეუბნებოდა, გვასწავლიდა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მასთან ურთიერთობის დროს არამარტო სიტყვას ჰქონდა დიდი ძალა და მნიშვნელობა, მის გვერდში ყოფნისას ისეთი რამ ხდებოდა ადამიანის სულში, რომ შედეგად ეს ადამიანი, მცირე ხნით მაინც, იცვლებოდა ხოლმე. ეს მართლაც საოცრება იყო, მამა გაბრიელს ისეთი შემოქმედება ჰქონდა ადამიანებზე, რომლის შესახებაც პატრიკებში წავიკითხავს და რომელიც ძველ წმიდა მამებს ახასიათებთ.

მასსოვს ერთხელ საუბრისას ღვინის სმას შეეხო... ისე მოხდა, რომ იქიდან წამოსულმა სამი კვირის განმავლობაში ღვინოს საერთოდ პირი ვერ დავაკარე. ღვინის დანახვაც კი არ მსიამოვნებდა. რა თქმა უნდა ესეც მამ გაბრიელის ღოცვით მოხდა.

ერთხელ, 90-ანი წლების დასაწყისში, მამა გაბრიელის კელიაში ვისხვით. ის სხვადასხვა საკითხებზე გვესაუბრებოდა და უცბად ასეთი სიტყვა წარმოთქვა: “ახლა რასაც ვამბობ, პასუხისმგებელი ვარ ღვთის წინაშე, აგერ, მეორედ მოსვლა კარზე არის მომდგარი!” როცა სათქმელი ჩაამთავრა, მოკრძალებით შევეკითხე: “მამა გაბრიელ, ხომ ყოფილა შემთხვევა, როდესაც წინა საუკუნეებში ადამიანებს ეკონათ, რომ მეორედ მოსვლა ახლოვდებოდა, მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა, იქნებ ახლაც ასეთი მდგომარეობაა?” მამა გაბრიელმა სიტყვა გამაწყვეტინა, თავი გააქნია და მითხრა: “არა, არა, შვილო, ახლა ნამდვილად ახლოსაა!”

საოცარი თვალები ჰქონდა, გამჭოლი. საკმაოდ ძნელი იყო მასთან ყოფნა, ძნელად იტველა ადამიანი იმ ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდებოდა ხოლმე. მისგან ძალიან დიდი ძალა მოდიოდა. ვამჩნევდი, რომ მასთან დიდხანს ყოფნა მიძნელდებოდა. მამა გაბრიელი არა მარტო სიცოცხლეში, არამედ გარდაცვალების შემდეგაც არ გვეტოვებდა, ჩემი ცხოვრების მანძილზე ხშირად მიგრძენია მისი შემწეობა და დახმარება. ეს იმდენად აშკარა იყო, რომ არანაირი საფუძველი არ არსებობს, ეჭვი შევიტანოთ ამაში. როდესაც მისთვის პანაშვილს გადავახდევინებდი ხოლმე განსაცდელის წუთებში, თუ რაღაც გადაწყვეტილების მიღებისას, მისგან აუცილებლად შემწეობას ვიღებდი და ვიღებ დღესაც. იგი ნამდვილად ჩვენს გვერდითაა და გვეფარველობს ყველა ადამიანს, რომელიც თავმდაბლობით, სასოებითა და იმედით მიმართავს მას. შემთხვევითი არაა, რომ სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში არსებული მისი პატარა საფლავი მომლოცველობის ადგილად იქცა, რომელისკენაც განუწყვეტლივ მიეშურებიან მორწმუნენი, არა მარტო საქართველოს ყოველი კუთხიდან, არამედ უცხოეთიდანაც და მის საფლავთან ყველა ჭეშმარიტად მლოცველი და სასოებით მიხლებული “ხელცარიელი” არასოდეს ბრუნდება უკან.

ღმერთმა მოიხსენოს მამა გაბრიელის სიყვარულის მოძღვარი.

# ქართული ბერმონაზვნობის და მონასტრების ღვანელი ღაღა აკლესიის და საზოგადოების წინაშე

(წიგნიდან: “Заслуги грузинского монашества и монастырей...” Тифлис.1899.)

(იბეჭდება მცირე შემოკლებით)



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები წმიდა კირიონ II (საძაგლიშვილი) და წმიდა ლეონიდე (ოქროპირიძე), მიტროპოლიტი ანტონი (გიორგაძე), არქიმანდრიტი ნაზარი (ლეჟავა), 1917 წელი.

სახელმწიფოში, გარდა სამხედრო ძალისა, სხვა, გაცილებით აღმატებული – ზნობრივი ძალა არსებობს და ქვეყნად ვერაფერი შეედრება მის მნიშვნელობას. მღუმარებასა და მეურნეობაში, სიმდაბლითა და სიმშვიდით, ძალუმად და დაუცადებლად იღვწის ეს დიდებული გარდამქმნელი ძალა. და როგორც დუღაბი ქვებს, იგი ისე ჰკრავს და ერთ მთლიანობად ამტკიცებს სახელმწიფოს დაქუცმაცებულ წევრებს; რომლებიც,

ძირითადად, სწორედ მისგან იწმინდებიან და სამოღვაწეო-დაც მათგანვე წარემართებიან; ეს არის ძალა, რომელიც მყარ საფუძველს უყრის სახელმწიფოს მომავალ ძლიერებას და მის ყოველ სათნო ზრახვას ხელთარსებული საშუალებებით შეეწევა. მშვიდობა, მშვიდობა, მშვიდობა, ერთაზრობა და ურთიერთნდობა, აი ის, რომლითაც ცალკეული წევრის მოღვაწეობას კაცობრიობის განვითარების და სრულყოფის საერთო საქმის სასარგებლოდ განიმსჭვალავს და ამასთანავე იგი არ არღვევს სახელმწიფო მოწყობის გეგმებს და მიზნებს – აი ის წმინდა კანონები, რომლითაც გამუდმებით ხელმძღვანელობს ეს უდიდესი ზნეობრივი ძალა – ქრისტიანული რელიგია და მისი იდეის ერთ-ერთი მთავარი მტვირთველი და წარმმართველი – მონაზვნობა.

საბერმონაზვნო ცხოვრება – რომელიც ქრისტიანულ მოძღვრებას ეფუძნება და მისი რწმენის და სიყვარულის სულისკვეთებით არის განმსჭვალული, რომელსაც თავის საგნად და მიზნად აღმატებული ქრისტიანული სრულყოფა და ღვთისა და მისი ეკლესიის განუხრელი მსახურება დაუსახავს – მით უფრო მნიშვნელოვანია და საგულისხმო, რაც უფრო აღმატებულია, წმიდა და განსხვავებულია საერო, სამოქალაქო და ოჯახური ცხოვრებისაგან. ერთხელ, სამონაზვნო ცხოვრების საერო ცხოვრებაზე უპირატესობის გადმოცემისას, წმიდა იოანე ოქროპირი შესძახებს: “და მათი მომავალი – რა სიტყვით გამოითქმის ან

რომელი გონება შეწვდება მას? . . . მათი ხვედრი ანგელოზებრივია, ენით აუწერელი ნეტარება და გამოუთქმელი მადლია“. მაშასადამე, მონაზვნობა, რომელიც ამქვეყნად ზეციური, ანგელოზებრივი ცხოვრების მსგავსებად და დასაბამად წარმოგვიდგება, როგორც ყოველთურთ სრულყოფილი ფორმა ქრისტიანული ცხოვრებისა და როგორც ღმრთივდადგინებული კრებული, რომელზედაც უხვად გარდამოდინდება და რომელში მკვიდრობს საღმრთო მადლის ძღვენი, ნეტარი იერონიმეს თქმით – ეს არის “სილამაზე” თავის თავში, “სურნელოვანი ყვავილი, ეკლესიის გამამშვენებელი უძვირფასესი ქვა”. ხოლო აღმოსავლეთის ეკლესიის დიდი იერარქი, წმიდა ვასილი დიდი, როდესაც მონაზვნებს მიმართავს, ამბობს: “თქვენში, მონაზვნებში უნდა იყოს დამარხული ღმრთისმოსაობის ნაშთი, რომელსაც ქვეყნად მოსული უფალი ჰპოვებს ამქვეყნად”. მონაზვნობა არის თავისუფალი, ღვთისმოსაობის განსაკუთრებული სიყვარულით ამაღლებული და სახიმიო აღთქმის ძალით განმტკიცებული დვაწლი ჭკრეტისა, სინანულისა, განმარტოებისა, უპოვარებისა, ქალწულებისა და მორჩილებისა.

ამიტომ მონასტერს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის შემადგენლობაში. . .

ჩვენგან შორეულ პერიოდში, როდესაც ეგვიპტის უდაბნოებსა და პალესტინის ქვიან ადგილებში, იმ ქვეყნებში, რომლებიც ყველაზე ძირძველ და ნაყოფიერ ნიადაგს წარმოადგენდნენ ასკეტიკური ჭკრეტისა და ცხოვრებისათვის, – ანტონი დიდმა (რომელსაც თავისი მკაცრი ასკეტიკური დვაწლის გამო, მონაზონთა პატრიარქი უწოდეს), პახომი დიდმა და წმიდა ილარიონმა მოღვაწეთა მთელი თემი ჩამოაყალიბეს. ღვთის ყოვლადბრძნული განგებულებით, ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის ჩვენდამი გამოუთქმელი მოწყალებისათვის, ზეციური დედოფლის ქვეყნიურ წილხვედრ ივერიაში ახალი იერუსალიმი აღიმართა; რომლის გარეგნული ვითარება თუმცადა შეჭირვებული იყო, მაგრამ სწორედ ამ მწირობის გამო კიდევ უფრო მაღლდებოდა მისი შინაგანი მდგომარეობა, რამაც საშუალება მისცა, რომ თავის შინაგან მყარ საფუძველზე მდგარიყო, ქვეყანა ყოველგვარი განსაცდელის უამს, რომელსაც ქრისტიანობის მტრები ატეხდნენ.

არ არსებობს ქრისტიანული ქვეყანა, სადაც სამონასტრო ცხოვრება ისე განვითარებულიყოს და ისეთი დიდი ისტორიული რო-

ლი ჰქონოდა, როგორც მოწამებრივ საქართველოში. ძნელია მოიძებნოს კაცობრიობის ისტორიაში სხვა, რომელიმე პოლიტიკური ძალა ან საეკლესიო საზოგადოება, რომელსაც მეტი მსხვერპლი გაელოს და მეტი სისხლი დაედგაროს მართლმადიდებლობის და ეროვნულობის დაცვად, ვინემ ეს ქართულმა სასულიერო წოდებამ და განსაკუთრებით კი მონაზვნობამ გაიღო იმ ურთულეს და საბედისწერო უამს, როდესაც მუსულმანური ძალა მთელს ევროპაში, აზიასა და აფრიკაში გრგვინავდა. . . და როდესაც მათი შიშით ქრისტიანულ ტაძრებში ზარები დადუმდნენ, ქართველი ბერ-მონაზვნები თავდავიწყებულ ბრძოლას ეწეოდნენ არა მარტო მუსულმანთა, არამედ მონოფიზიტ მწვალებელთა საცდურთა წინააღმდეგაც. მშობლიური ეკლესიის ბედზე ქართული ბერმონაზვნობის უდიდესი გავლენით, მონაზვნობის ისტორია საქართველოს საეკლესიო ისტორიული ცხოვრების ყველაზე მთავარი ნაწილი და უძვირფასესი მშვენება გახდა, ურომლისოდაც შემდგომი საუკუნეების ისტორია არასრული, გაუგებარი, უფერული და უსიცოცხლო იქნებოდა.

ქართული ბერმონაზვნობის დამაარსებელი იყვნენ ( უშუალოდ საქართველოში, რადგან წმიდა მთაზე ჯერ კიდევ IV საუკუნეში ჩნდებიან ქართული მონასტრები)\*, კაბადოკიელი წმიდა მამები, რომლებიც მშობლიურ მატრიანებში ასურელებად იწოდებიან, რომლებიც, თანახმად წერილისა : “ მახვილითა მოწყდეს, იქცეოდეს ხალენებითა და თხის ტყავებითა, ნაკლულევანნი, ჭირვეულნი, ძვირხილულნი. . . უდაბნოთა ზედა შეცთომილნი, მათა და ქუაბთა შინა და ხურელთა ქუეყანისათა” (ებრ. 11,37). მათი წინამძღვარი იყო ქართული მონაზვნობის დიდება, (“მათათა თვალი”) ღირსი იოანე ზედაზნელი, – ანტიოქიის მეუდაბნოე, რომელმაც თავისი მაღალი ასკეტური დვაწლით ანტიოქიის მხარე განამშვენა და წმიდა ცხოვრებით აღვსილი, ზეცისა და ქვეყანის დედოფლის მოწოდებას დამორჩილებული და სული წმიდით წარმართებული, თავის თორმეტ მოწაფესთან ერთად სვიმონ მესვეტის ლოცვა-კურთხევით ივერიაში წარმოემართა მოციქულებრივი დვაწლის აღსასრულებლად. აი, ღირსი იოანეს მოწაფეთა და მოღვაწეთა სახელები: “ მარხულობის ბრწყინვალე მაგალითი – დავით გარეჯელი; მესვეტეობის მანათობელი მზე – ანტონ მარტყოფელი; სანუკვარ ქალწულების ყვავილი – ამბა იოსებ ალავერდელი; ცოდნითა და ძალით დაგვირგვინებული – სტე-




ფანე ხირსელი; ტკბილმორჩილების ბურჯი – ზენონ იყალთოელი; წმიდა მოწამებრივი დვაწლით გამშვენებული – აბიბოს ნეკრესელი; ქრისტიანული გოდებისა და ცრემლფების სახე და ქართული სამეფოს სიმტკიცე – შიო მღვიმელი; საღმრთო სახე გოდებისა – პიროს ბრეთელი; წმიდა სარწმუნოებისა და ჭეშმარიტების სახე – თადეოზ სტეფანწმიდელი; ვენახი სათნოებათა – ისიდორე სამთავენელი; და ორღანო ყოვლადწმიდა სიყვარულისა და სიწმიდისა – ისე წილკნელი.

პროფესორ ა. ცაგარელის აზრით, წმიდა მამები კაბადოკიიდან საქართველოში ორგზის ჩამოვიდნენ: V საუკუნეში და მეორედ – სვიმონ მესვეტის (უმცროსის) დროს, როდესაც საქართველოში ფარსმან VI მეფობდა (542 – 557). ცამეტი კაბადოკიელი მამა (ივერიაში) უნდა ჩამოსულიყო VI საუკუნეში მონოფიზიტური მწვალებლობის გააქტიურების დროს . . .

. . . წმიდა იოანე ზედაზნელმა, როდესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარაგზავნიდა თავის მოწაფეებს, ასე მიმართა: “თქვენც ხედავთ, რომ ეს ქვეყანა სარწმუნოებისათვის ახალდანერგულია და წმიდა მოციქულთა სულისკვეთების მოძღვრებით დაპურებას და რწმენის ძირის გაპოხიერებას საჭიროებს”.

მოძღვრის სიტყვების განუხრელად მორჩილმა კაბადოკიელმა მამებმა მრავალი მონასტერი დააარსეს ივერიის სხვადასხვა კუთხეში: მიუწვდომელი მთის მწვერვალებზე, გამოქვაბულებში, მღვიმეებსა და ნაპრალებში და შორს განავრცობდნენ ქრისტიანული მოძღვრების წყნარ ნათელს. ისინი თავიანთ სულს ცოცხალი და ქმედითი რწმენის წმი-

და ალით განითბობდნენ და მათივე გულის სამსხვერპლოზე აკმევდნენ წმიდა და ღვთივსათნო საკმევებს; წმიდა მამები განმსჭვალულნი იყვნენ და განცხოველებულნი წმიდა სარწმუნოების და ჭეშმარიტი ღვისმოსაობის ტკბილი და მაცხოვნებელი გრძნობით. . . ამ წმიდა მოღვაწეებმა, რომლებიც ყოვლად-



**ცამეტი ასურელი მამა**

ხატმწერი მონაზონი ნანა (ქუთათელაძე)

წმიდა დედოფალმა თავის წილხვედრ ქვეყანაში წარმოგზავნა, განამტკიცეს და თავიანთი ზნეობრივი გავლენის ძალით ფართო განვითარება მისცეს სწორედ იმ მეუღაბნოე ცხოვრებას, რომელიც მთელ შემდგომ საუკუნეებში ჩვენი სამშობლის საეკლესიო-რელიგიური ცხოვრების საუკეთესო ნაწილს წარმოადგენდა და რომელმაც საქართველოს სულიერი ცხოვრება აღამაღლა და ხანგრძლივად უვნებელყო მისი რელიგიური სიწმიდე უცხო მომხდურთაგან. . .

**II**

. . . ვარსკვლავთა მირიადში გაბრწყინებული უზენაესის საყდრის მსგავსად,

საქართველოც გაბრწყინდა ღვთის წმიდა სათნომყოფელთა მთელ დასთა მეოხებით. როგორც აღმომავალი მზე უნებლიედ იპყრობს ადამიანთა მზერას, თავის სითბოთი და სინათლით, ისე მიიზიდა ქართველ მოღვაწეთა შორის გამობრწყინებულმა ქრისტიანული სათნოებების ნათელმა და სითბომ საქართველოს შვილები მონასტრის სავანეებში. მონასტრების კარი ღია იყო მიუსაფართა და მდიდართა, თავისუფალთა და მონათა, სწავლულთა და უსწავლელთა, სასულიერო და ერისკაცთათვის. მათში თავშესაფარს ჰპოვებდნენ და წარუშრთებდნენ ყოველს, ვინც სულის საცხოვნებლად მოღვაწეობას ესწრაფოდა; სამეფო დინასტიის წევრები სამეფო სასახლის ზღუდეებს და

პორფირს ტოვებდნენ და თავად-აზნაურიცა და გლეხიც, მუსულმანობასთან ბრძოლით დაქანცულები, ხმაღს კვერთხზე ცვლიდნენ და ჩაფხუტს ბარტყულაზე. და ქართველი ერის ხსოვნაში უკვდავმა, დიდი თამარის მეხობემ – შოთა რუსთაველმა, ქართული სიტყვის მძლავრმა მპყრობელმა, თავის დარჩენილი დღეები მონაზვნობას, იერუსალიმში გოლგოთის ძირას ცრემლებს და სინანულს უძღვნა. მონასტრებს ემშურებოდნენ ერის საუკეთესო სულიერი ძალები, მისი რჩეულნი, რომლებიც შემდგომ მასწავლებლები ხდებოდნენ. ქართული მონასტრებიდან ისეთი პირები გამოდიოდნენ, რომლებშიც მადლის უხვი, გარდამეტებული ნიჭებით, ღმრთისგანგებულების საღმრთო ძალა ცხადად იხსნებოდა, საქართველოს ეკლესიის სადიდებლად და სასიკეთოდ; – ისინი მუდამ და სრულად თავდადებულნი იყვნენ მართლმადიდებლობისათვის ხან მდაბლად, ხანაც ძალუმი სიტყვით, ხან წმიდად ცხოვრების მაგალითის მიცემით და ხანაც დაუცადებელი ღვაწლით და სწავლით იცავდნენ ქრტიანული ღვთისმოსაობის და სარწმუნოების მაცხოვრებელ ჭეშმარიტებას; და იგი, საკუთარ თავში, როგორც წმიდა ჭურჭელში დამახული, გადმოგვცეს ჩვენ მთელი სისპეტაკითა და სისრულით, სახსრად ცხოვნებისა და სადიდებლად უფლისა და სულის საუკუნო ცხოვრებისათვის.

მონასტრებში საბერძნონაზვნო ღვაწლით განსაკუთრებულ სულიერ ცოდნას იძენდნენ, რომლის მიღებაც ერში სასწავლო პროცესით არ მიიღებოდა. ამით აიხსნება, თუ რატომ მიდიოდნენ ცნობილი საერო სასწავლებლების დამთავრების შემდგომ მონაზვნობაში იმ ცოდნის შესაძენად, რომელიც მხოლოდ სამონასტრო ცხოვრებით მიიღება და ასე იქცეოდნენ ყველაზე განსწავლილი პირები, ისეთნი, როგორებიც იყვნენ დიდი წმიდა მამები: ბასილი დიდი, გრიგოლი ღვთისმეტყველი, და იოანე ოქროპირი. საკუთარი ცხოვრებიდან გამომდინარე, წმიდა იოანე ოქროპირი ამბობდა: “წადი და ისწავლე ბერებისაგან. ისინი არიან მნათობნი ამქვეყნად, ზღუდენი, რომლითაც მოიზღუდებიან და დაიფარვიან ქალაქები . . .

. . . ხშირად მიდი ბერებთან, რათა მათი ლოცვითა და მოძღვრებით შესისხლხორცებული მწიკვლისაგან განიწმიდო და რათა აწინდელი ცხოვრებაც რაც შეიძლება უკეთ განვლო და ღირსიქმნა მომავალი ნეტარე-

ბისა”, ამიტომ ყველა ცნობილი ქართველი მწერალი, საეროცა და სასულიეროც, სწავლებას მონასტრის კედლებში განასრულებდა და აქედან განავრცობდნენ ისინი მთელ საქართველოში სულიერ ცოდნას. . .

**მართლმადიდებელი საგანგებო დიდ და ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ, საუკუნეების მანძილზე, მაჰმადიანებთან მძვინვარე ბრძოლებში; ისინი დევნილი სარწმუნოების საყრდენნი იყვნენ და აქ სწავლობდა ქართველი ერი წმიდა მამათა ძვირფას მემკვიდრეობაზე მტკიცედ დგომას. მონასტერი წარმოადგენდა ზნეობრივი სრულყოფილების მაგალითს საზოგადოებისათვის და აგრეთვე მაგალითს აძლევდა მას ცხოვრებისეული საკითხების გაძღოლასა და შრომისმოყვარეობაში.**

**ქრისტიანთაგან თუ ვისმე შეეძლო თქმა, მაშინ მონაზონს განსაკუთრებით შეეძლო ემხილა და კიდევ წარმოთქვამდა ხოლმე ხელისუფალთა მიმართ მხილება-მუქარას, როდესაც ჭეშმარიტების გზიდან მის განდგომას ხედავდა.** ქართველმა მემკვიდრეებმა შემოგვინახეს ზოგიერთი მოშურნე, უშიშარი და მხნე მამხილებელთა სახელები; ასეთები არიან: წმიდა გიორგი მთაწმიდელი (“აღლესა მახვილი მხილებისა მეფეთა მიმართ”), კათოლიკოსი ნიკოლოზი – ქართველ მეფეთა და ხელისუფალთა მამხილებელი (“ მამხილებელი მეფეთა და მთავართა”), განდევნილი ვასილი – მამხილებელი მეფე დავით ნარინისა და დემეტრე თავდადებულისა, პიმენ სალოსი – გარეჯელი ბერი, მამხილებელი მეფე დემეტრე თავდადებულისა, რისთვისაც მას საქართველოს ისტორიის ნათანი შეარქვეს; დავით გარეჯის ლავრის წინამძღვარი იოანე სააკაძე – მამხილებელი გამაჰმადიანებული მეფე იესესი (ალი-ყული – ხანი), სვიმონი, თბილელი ეპისკოპოსი – იმერეთის მეფე ალექსანდრეს ძლიერად მამხილებელი; დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსები, მამხილებელნი და გამკიცხველნი ვნებათა: ნიკოლოზი, ევდემონი და ქრისტეფორე, ალავერდელი მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი, ანტონ ნაოხრებელი და სხვანი. . .

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია ჯერ კიდევ არ დაწერილა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი ჩვენი ქვეყნის ლოცვითი შეწვნა იქნება. როდესაც ქვეყნას თავს ატყუებოდა შიმშილი, ჭირი, მიწისძვრა, წყალდიდობა ან საერო საზოგადო რამ უბედურება, ჩვენი წინაპრები მუდამ ბერ-მონაზ-

ვნებს მიმართავდნენ და ისინი ლოცვებით ღვთის სამართლიან რისხვას შეაკავებდნენ და მათი მეოხებით მიძიმე განსაცდელთაგან შეიწყნარებდა უფალი ერს. ჩვენი სამშობლოს გასაჭირი და მოთხოვნები მუდამ წრფელ, გულიან გამოძახილს პოულობდა მონაზვნობაში, რომლებიც ზეციურ სამშობლოს მიესწრაფოდნენ და მუდამ ერთგულნი იყვნენ თავიანი მიწიერი სამშობლოსი – საქართველოსი; ისინი გულმხურვალე მლოცველნი იყვნენ ქვეყნისთვის თავდადებულ მეფეთა და სამეფო კარისა. . .

ქართველი ერის დამახასიათებელი იყო მხურვალე რწმენა და ღვთაებრიობა. სამშობლოსა და მართლმადიდებელი სარწმუნოების სიყვარული ქართველობას მუდამ თავგანწირვისა და თავდადებისაკენ მოუწოდებდა. . .

. . . ქართული მონასტრები თავისებურ მისიონერულ სადგურს წარმოადგენდა – ეს იყო ციხე-სიმაგრე, რომელშიაც უცხო აღმსარებლობის პროპაგანდისა და ანტიეროვნული მისწრაფებების წინააღმდეგ მებრძოლი მთავარი ძალები იყრიდნენ თავს. ქართველი ბერები არა მარტო საქართველოში იღვწოდნენ მართლმადიდებლობის დაცვის და გავრცელებისათვის, არამედ საქართველოს გარეთაც. როდესაც მართლმადიდებელ ბიზანტიას აჯანყებული ბარდასკლიაროსისაგან საშიშროება დაემუქრა (976წ), ბერძენ და ქართველ ისტორიკოსთა ერთობლივი მოწმობით, ქართველი ბერის, ყოფილი მხედართმთავრის, თორნიკე ერისთავის წინამძღოლობით, მართლმადიდებელი იმპერიიდან მტერი გააძევეს და იქ მშვიდობა დამყარდა. . .

. . . მრავალტანჯული ქართველი ერის ისტორიის ფურცლები გადასინჯეთ და ნახავთ, რომ ყველგან, სადაც კი ჩვენ მო-

ნასტრები გვქონდა, ისინი მეცნიერებასა და განათლების კერას წარმოადგენდნენ . . . ძველი ქართული ხელნაწერები და ნაშრომები დღესაც აკვირვებენ მკვლევარებს თავისი მრავალმხრივი და ენციკლოპედიური ხასიათით. . .

. . . X–XI საუკუნეები ქართული მონაზვნობის განსაკუთრებულად ბრწყინვალე დროა, რომელმაც ქრისტიანული სარწმუნოების მრავალი ჭეშმარიტი მოღვაწე მოგვცა, რომლებიც სულის გოლიათები და განალების მეცენატები იყვნენ; თითქმის ყველა დიდ მონასტერში და სამთავარეპისკოპოსო ტაძრებში სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება იხსნებოდა, რომელთაგან განსაკუთრებით განთქმული იყო ათონის წმიდა მთის ივერიის მონასტერი, იყალთო, პარხალი, შატბერდი, გრემი, ოპიზა, ტბეთი, ხახული, გელათი. . . ამ პერიოდში ბიზანტიაში განსაკუთრებით განითქვა ფართო საღვთისმეტყველო განათლებით წმ. გიორგი მთაწმიდელი (+ 1066). . .

ჩვენ ახლაც მრავლად გვყვანან ბერები, რომლებშიც ძველი ქართული მონაზვნური სულისკვეთება ცოცხლობს, რომელნიც ძველ მონაზონთა კვალს შედგომიან; იმავე წმიდა ცხოვრებით ცხოვრობენ და მოღვაწეობენ და იმ ღირსსახსოვარ დროს მოგვაგონებენ.

დასასრულ, დასკვნის სახით, უნდა ვთქვათ, რომ მოწამე საქართველოს ისტორიულ ხვედრში მონაზვნობა მუდამ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და მას მრავალი ნათელი ისტორიული ფურცელი ეძღვნება; ამიტომ, ეკლესიისა და საზოგადოების წინაშე ქართული მონაზვნობის ღვაწლმა მას ერის ყურადღებისა და აღიარების უფლება მოუპოვა.

თარგმნა **მარიამ ნიაურმა**

## სიჭყვა კათილმსენელთათვის



იმ დროს, როდესაც რომ უფალი იესო ქრისტე ქვეყანაზედ ჰქადაგებდა და მოძღვრიდა ხალხს, ყოველთვის დიდძალი ხალხი მივიდოდა მასთან, მისის სიტყვათა სმენისათვის. იგი ჰქადაგებდა, ხან ივაკებით და ხან მარტივის დარიგებით. ყოველი მისი ივაკით სიტყვები, საქმენი, მოქმედებანი და მიმოსვლანი, დიდმნიშვნელოვანი იყო; ამისათვის, როგორც მაშინ იყო საჭირო ახსნა, ყოველივე მისი სიტყვა-მოქმედებისა, ახლაც ისე გვკვირდება ჩვენ, მის მორწმუნე ერს, მისი სიტყვა-მოქმედების მნიშვნელობის გაგება; ამიტომ მოგახსენებთ მის მრავალ კეთილ მოქმედებათაგან მხოლოდ ერთს:

ერთ დროს ჩვეულებისამებრ შეკრბა იესოსთან დიდძალი ხალხი, დიდი და პატარა, ხოლო მან დიდხანს განაგრძო მათი სწავლა-მოძღვრება, და შემდგომად ხალხის სმენათაგან დაღალვისა, განუტევა მსმენელნი, მოციქულებიც წინ გაგზავნა ზღვის პირად ნავით და თვითონ მოუცადა ხალხის სრულიად წასვლას. და მერე იგი მთაზე აღვიდა ლოცვისათვის, და რო დაღამდა, მარტო იყო იქ, ხედავდა რომ მოციქულები ნავით დიდ მანძილზე განშორებულნი იყვნენ ქვეყანისაგან, და დიდ გან-

საცდელში იყვნენ; იმ პირად, სადაც ნავი იყო, ძლიერი ქარი სცემდა და იტანჯებოდა ზღვის დელვათგან. უფალი იესო მთაზე დაადგა ღამის მეოთხე საყარაულოს დრომდღი, რომელიც არის რიურაჟის დრო, მაშინ ჩამოვიდა იესო და მიაშურა მოციქულების შეველას, მიაღგა ზღვას და იწყო ზღვის წყალთა ზედა ფერხდაფერხ სიარული; ხოლო მოციქულებმა რომ დაინახეს, რომ იესო ქრისტე ზღვაზე ისე დადიოდა, როგორც ხმელეთზე, ძლიერ შეკრთნენ და შეეშინდათ და სთქვეს: ეს რა საოცარი რამე არის! და შიშისაგან დაღაღჳყვეს განცვიფრებულმა მოციქულებმა, ხოლო იესომ მსწრაფლადავე ხმა მისცა და უთხრა: მე ვარ ნუ გეშინიათ; მაშინ პეტრე მოციქულმა მისძახა: უფალო, უკეთუ შენ ხარ, მიბრძანე, რომ მეც შენსავით წყალზე ვიარო და მოვიდე შენთან. ხოლო იესომ უთხრა: მოვედ. მაშინ პეტრე დარწმუნდა უფლის სიტყვას, გადმოვიდა ნავიდან და იწყო წყალთა ზედა სიარული და მივიდა იესოსთან; ამ დროს ნახა პეტრემ, სასტიკი ქარისაგან ზღვა მწარედ დელავდა, შეეშინა და ამ შიშის დროს ეტყემა განვლო მის გულში, და სწორედ ამ ეტყვის გამო აღარ შეიმაგრა ზღვამ და ჩასძირა და იწყო დახრჩობა; პეტრემ მსწრაფლ ხმაჳყო იესოს: უფალო, მიხსენ მე! უფალმა სწრაფადვე უსმინა მას, წაავლო ხელი და ამოიყვანა იგი, კვალად წყალთა ზედა დაადგინა და უთხრა: მცირე მორწმუნეო, რად შეორგულდი? მივიდნენ ერთად ნავამდე და ნავში რომ შთასხდნენ, მაშინ ქარიც დასცხრა ხოლო, რომელიც იმ ნავში იყვნენ, მოვიდნენ და თავყანი სცეს მას და უთხრეს: ჭეშმარიტად რომ ძე დვთისა ხარ შენი!... მაშინ წარვიდენ ნავით და განვიდენ გერგესეველთა ქვეყანაში:

ზღვა ნიშნავს კაცის ხორციელი ბუნების ცუდ მოთხოვნილებათა, რომელიც მოუსვენრად იქით და აქეთ დელავს, ეკვეთება, ეძებს ცუდში განსვენებას და ვერ ჰპოვებს.

ზღვის მდელვარება: ნიშნავს, კაცის კეთილისა და ბოროტის სურვილების ერთმანეთთან ბრძოლას და შეჯახებას.

როგორა ჰგავს დელვა ხორცთა, დელვასა ზღვისასა?— მაგალითად, როგორც ზღვა გაუმაძღრად მიიღებს ყოველთა შემავალთა მდინარეთა, და რაც უნდა რომ ბევრი მდინარე შევიდეს, მაინც ვერ იფსება და ვერ კმაყოფილდება; ეგრეთვე, გაუმაძღრად მიიღებს კაცის გაღაღებული ხორცი, ყოველგვარ სოფლის გამოფნებათა, რომელიც ვერასოდეს ვერ კმაყოფილდება, ვერ ძლება, და კიდევ მოუსვენრად მეტი და მეტი უნდა!

იგი კაცი უკეთუ მიჳყვა განმეორებით იგივე ცოდვასა და არ მოიშალა, გახდება ცოდვების მონა, და მყრალი ჭურჭელი მისი. იგი მეკდარია სულით

და ცოცხალია ხორციით, ცოდვათა მოქმედებისათვის; მას შემდეგ სინდისიც არ ამხელს ცოდვათათვის, რადგან ბევრჯერ ამხილა და არ უსმინა სინდისს, ახლა მოსწყინდა სინდისს ცარიელა მხელა და წარვიდა მისგან. ასევე წარვიდა და განშორდა მისგან მისი მცველი ანგელოზიც. ამგვარი ადამიანი? რასაკვირველია, ჩავარდნილია უღრმეს ზღვის ცოდვათა ტალღებში, და მისდა უნებურად, მრავალთა ცოდვათა სურვილები მოუსვენრად იქეთა და აქეთ ახეთქებს და მოსვენებას არ აძლევს; ეს არის სააქაო სასჯელი მისი და საიქიო საუკუნო ჯოჯოხეთი... სიტყვისაებრ უფლისა: /სახარება მარკ. თ.9 და მუხლი 43/— ასეთივე საშინელი მოვლენა არის, არა მარტო ხორცთა მხურვალებასა და გარყვნილობაში, არამედ, ყოველგვარ ბოროტ სულის მომაკვდინებელ ცოდვათა შინა გარევაში.

მოციქულნი ნავით ზღვაში რომ შევიდნენ, საშინელი ქარიშხალი ატყდა. მაგრამ რადგან ივინი შიგნაში ღოცულობდნენ და ღმერთს შველას სთხოვდნენ, ამიტომ ღმერთმაც უშველა მათ. შეამაგრა ივინი და მაცხოვარი გაეშურა მათ საშველად და იხსნა ივინი:— ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ მორწმუნე კაცს, ასევე ემტერება ეშმაკი სხვადასხვა ღონისძიებით, ბოროტებით, მოტყუებით, საბრთხეებით და ჭირით და განსაცდელებით... და თუ მორწმუნე პირი, გულწრფელად ღოცულობს, და ღმერთს შველას ეხვეწება, უთუოდ ღმერთი გააძლიერებს მოთმინებაში, გაამარჯვებს მტრებზე და ყოველგვარ ჭირისა და განსაცდელთაგან საკვირველად იხსნის, ვითარცა მაცხოვარმან მისნი მოციქულნი.

რას ნიშნავდა პეტრე მოციქულის ნავიდგან გადმოსვლა და წყალზე სიარული?— ეს იმას ნიშნავდა რომ, ხორციელ კაცთა ბუნებასაცა მისცა ღმერთმა ნებართვა, ისე შეიმკოს ყოველივე კეთილსათნოებებითა, ვითარცა მაცხოვარი იესო ქრისტე. და განწმედელ და სასწაულთმოქმედი იქნეს, ვითარცა მაცხოვარი. ამისათვის სთქვა უფალმან: „იყვენით სრულ ვითარცა მამა ჩვენი ზეცათა შინა სრულ არს“. და სხვა მუხლში ბრძანებს: „და მოგცემ თქვენ ხელმწიფებასა დათრგუნვად გველთა და ღრიანკალთა“ და სხვ. ესეიგი, ყოველგვარი სულის წარმწყმედი ცოდვათა ვნებები, დაუმორჩილა ქვეშე ფერხთა მისთა. ამრიგად ღმერთს მიეახლება და შეუერთდება, ყოველი გულით მოღვაწე ღვთის მოყვარე კაცი, როგორც პეტრე მოციქული წყალზე მავალი მაცხოვარს მიეახლა და მივიდა და შეუერთდა მას.

რას ნიშნავდა, პეტრე მოციქულს რომ ქარისაგან შეეშინდა და ჩავარდნა წყალში და დანთქმა იწყო?— პირველად ნიშნავდა მას რომ, რადგან პეტრე მოციქულმა იმდენი მიიღო ღვთისაგან რომ, წყალი მღელვარე დაუმორჩილა; ესე იგი, ცოდვათა მღელვარება ფერხთ-ქვეშ მოუქცია, დასთრგუნა და მას ზედ აამაღლა, მაშინ თავისთან მიუწოდა და თავისთან გაიტოლა ღმერთმა, და ერთად წყალთა

ზედა ვიდოდნენ, და მერე ცუდი ეჭვი რომ განიზრახა, შთავარდა და ინთქმებოდა.— ეს ნიშნავს შემდეგს: რაც უნდა დიდს სიწმიდეში და სასწაულთმოქმედებაში იყოს კაცი, მაინც ღვთის შიშსა და დიდებაში უნდა იყოს, თორემ თუ სიამპარტავნე და ან სხვა რაიმე ცოდვა შეეპარა, იგი დაეცემა. ხოლო პეტრეს ძლიერი ქარისაგან შეშინების მიზეზი ის იყო, რომ ეშმაკს შეშურდა მისი სიწმიდე და აფიქრებია მაცხოვარზე: „იქნებ ეს ღმერთი არ არისო“, ამით სცოდა პეტრემ, რადგან ეჭვი შეიტანა მასზედ, და იმ წამსვე წყალმაც აღარ იკავა, როგორც ცოდვილი დასძირა და შთავარდა შიგ. ხოლო პეტრე მსწრაფლ მიხვდა თავის შეცდომას და შეჰლაღადა: „მიხსენ უფალო“. უფალმაც სწრაფად ხელი წაავლო შენანებულს და ამოიყვანა, დაადგინა კვალად წყალზე და ამხილა მისი შეცდომა და უთხრა: „რასა შეორგულდი მცირე მორწმუნეო?“ და ამრიგად ერთად მივიდნენ ნავამდის.

— პეტრეს შეცდომა, მისი შთავარდნა და მერე კვალად მისი ამოყვანა, კიდევ იმას ნიშნავს, უკეთუ ვინმე შესცდეს და შთავარდეს რაიმე ცოდვაში, იგი თუ არ ილოცებს, არ შეინანებს და არ შეჰლაღადებს ღმერთს შველას, წარწყმდება და თუ შეჰლაღადებს ღმერთს შველას და ცოდვათა შენდობას სთხოვს, შევრდომით, აღსარებით და აღთქმით, მას ღმერთი აპატივებს ცოდვებს და პირველსავე თავის ღირსებაზე დაადგენს, და კეთილადვე წარემართება ყოველივე ცხოვრება მისი.

მაცხოვრისა და პეტრეს ზღვიდგან ნავში ჩასხდომა და მაშინ ქარის დაცხრომა რას ნიშნავს?

— ეს იმას ნიშნავს, რომ უკეთუ ვინმე ღვთის შეწვევით და თავისი დიდი მეცადინეობით, გაატარებს ამ წუთისოფლის ცხოვრებას: სიწმიდით, ღვთის შიშით, ღოცვით, მარხვით, მღვიძარებით და ყოველივე კეთილი საქმის მოქმედებით, იგი განვალს ამ წუთისოფლის ცოდვათა მრეღვარებისაგან უვნებელის გარდაცვალებით და დაემკვიდრება იქ, /იმ ნავთსაყუდელს, ესეიგი, იმ სასუფეველს/ სადაც არა არს ჭირი, მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა; არამედ ნეტარება, სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

მოციქულების ნავში ყოფნა, რომელთაც თაყვანის სცეს მაცხოვარს, რას ნიშნავს?

— ნავი ნიშნავს ეკლესიას, სოფლის ცოდვათა მღელვარებისაგან ადამიანთა სულების დამცველს, საღმრთო სახლს: ხოლო მოციქულნი ნავში მყოფნი მორწმუნე ერს ნიშნავს, რომელნიც ერთობით მივალთ და ვეტყვით მაცხოვარს. ჭეშმარიტად, რომ ძე ღვთისა ხარ შენ, და შეგვიწყალე ჩვენ, მაცხოვარო ჩვენო, დიდება შენდა უკუნითი უკუნისამდე ამინ.



21 მარტი. სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტერში მონაზვნად კურთხევის წესი აღასრულა მონასტრის მოძღვარმა არქიმანდრიტმა მამა ლაზარემ (გაგნიძე). სამონაზვნო სქემით შეიმოსა მონასტერში მოღვაწე ოთხი დედა, რომელთაც ეწოდათ: დედა ანთუსა, დედა თეოდორა, დედა მარიამი, დედა ნონა.



5 აპრილი. აღდგომის მეორე დღეს, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე მცხეთას მობრძანდა მიცვალებული მშობლებისა და სახლეულთა საფლავებზე და მათი სულის მოსახსენიებები პანაშვიდი გადაიხადა, რასაც მისი უწმიდესობა ყოველწლიურად აღასრულებს. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ერთად ლოცვა აღავლინეს მეუფე სერაფიმემ და მეუფე გრიგოლმა; ლოცვის საგალობლები შეასრულეს სამთავროს დედათა მონასტრის მონაზვნებმა.

ლოცვის შემდეგ, საგვარეულო საფლავზე, მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად მისმა უწმიდესობამ უხვად გასცა საკურთხი: სააღდგომო კვერცხი, პასკა. . . და სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე მიიწვია ყველა იქ მყოფი.


საგვარეულო საფლავების კურთხევის შემდეგ, მისი უწმიდესობა სამთავროს დედათა მონასტერს ეწვია, თანმხლებ მღვდელმთავრებთან ერთად; მოილოცა ფერისცვალების ტაძარი; დალოცა და ამბიონიდან მიულოცა ქრისტეს ბრწყინვალე დღესასწაული მონასტრის დედებს და მრევლს და შემდგომ მონასტრის საფლავები აკურთხა.

მისმა უწმიდესობამ უწინარეს აკურთხა მამა გაბრიელის საფლავი, სადაც იგი ხანგრძლივად შეჩერდა; შემდგომ თავის ნათლის, იღუმენია ზოილეს, საფლავზე ანთო კელაპტარი . . . ; თანამიმდევრულად მოიხილა საფლავები და მოიხსენია მონასტერში განსვენებული სასულიერო თუ საზოგადო მოღვაწეთა სულები. დასასრულ მისმა უწმიდესობამ დედათა მონასტრის დამაარსებლის, იღუმენია ნინო ამილახვარის და მისი ძმისშვილის,

12 მაისი. არქიმანდრიტმა ლაზარემ სამონაზვნო სქემის კურთხევის წესი აღასრულა და მონაზვნად აკურთხა ორი მორჩილი, მონაზონი დარია (არჩვაძე) და მონაზონი მონიკა (სიხარულიძე).




იღუმენია ნინოს (უმცროსი ამილახვარის) საფლავებთან აღავლინა ლოცვა; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა იღუმენია ქეთევანს გადასცა თავის? სკვნილი სალოცავად და “ქისა” სეფისკვერისათვის; სწორედ ამ დროს მისმა უწმიდესობამ იღუმენიას ხელზე შენიშნა თავის მამის, გიორგის, საფლავიდან აღებული სკვნილი, რომელსაც იგი



უწმიდესი და უნეტარესი ილია II მშობლების საფლავთან

ყოველწლიურად ტოვებს საფლავზე და აკურთხა იღუმენია ქეთევანი, რომ ორივე სკვნილზე ელოცა და მოეხსენიებინა მისი მამა. აგრეთვე, მონასტრის დედებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მისალოცად გადასცა ნუგბარით სავსე კალათა.

26 მაისი. სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტერში მოწვეულმა სპეციალისტებმა მონასტრის ტერიტორიაზე დეზინფექცია და დეზინსექცია ჩაატარეს. სპეციალისტების მითითებით, მონასტრის დედებმა, პროფილაქტიკის მიზნით, გაწმინდეს მონასტრის და ტაძრის ხატები.



## მონაზვნის აღთქმა კითხვა-მიგება

უკეთუ მოხზულნაწ წინაშე ღუთისა, გკითხაე სიმშვიდით  
და მომიგე ზუენ ყოვლითა კრძალულებითა:

კითხვა: რაისათვის მოხზულნარ, მშათ, შვერდითით, წმიდასა  
ამხა მხვერბლის შეწირვასა და წმიდათა ამათ კრებულთა?

მიგება: მხებაეს განმთრება სთფლისაგან, პატიოსანთ მამათ.

კითხვა: ხებითა შენითა ღირს იქმნებია ანკლთხებრეხა ამხ სახესა  
და წესსა გუნდთა მონაზონთასა?

მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, პატიოსანთ მამათ. წინამძღუარმან:

ხლთ რაუამს აღ გინზეიეს კთილი და სანაქრული ესე  
საქმეი, უკეთუ გნებაეს განსრულება კთილისა საქმისა,  
შრომითა რულუნებითა, და ტკივილითა გახსნულდებს.

კითხვა: ხებსით გთნებითა შენითა მონუალა წინაშე უფლისა?

მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, პატიოსანთ მამათ.

კითხვა: დაიტკეა ქაღწულებასა შენსა ყოვლითა გთნებითა და სასოებითა?

მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, პატიოსანთ მამათ.

კითხვა: ცხორებასა შინა შენსა ვიდრე ხეკადმდე პყთუა  
მთრხილებასა უფროხისასა, და ყოველთა ქრისტეს მიერ მძათასა?

მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, პატიოსანთ მამათ.

კითხვა: დაითქნა ყოველსა ძვირისხილესა, იწრთებასა, ბორთცთა  
მიერ აღძრულსა მწაყუარებასა, სასუფეველითაივის ცათასა?

მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, პატიოსანთ მამათ.

სამთავრის წმიდა ნინოს დედათა  
მონასტერი მდებარე უსტა და  
ღაიტაკის გამომცემლობა  
„ეწილიანის“ ხელმძღვანელს,  
თამარ შარვაშიას და გამომცემლობა  
„თილისას“ ხელმძღვანელს,  
ბესიკ ხარაიშვილს, უფროსსა  
გამომცემთა თანადგომსა და  
დახმარებათაივის.